ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“

გიორგი ბარბაქაძე

სამაგისტრო ნაშრომი

ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები შიდა ქართლში

ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი
ვალერი არღუთაშვილი

თბილისი
2019

ანოტაცია

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი, დინამიური დარგია ზრდის მაღალი ტემპების და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო. იგი XX საუკუნის მეორე ნახევრის ეკონომიკურ ფენომენადაა მიჩნეული. ტურიზმზე მოდის მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის 10%, მსოფლიო ინვესტიციების 11,8%, მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 10% დასაქმებულია ტურიზმში.

ქვეყნის ტურიზმის განვითარება სტიმულს აძლევს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს, ასევე იგი ხელს უწყობს ქვეყნის კულტურის განვითარებას. რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ისეთი ქვეყნისათვის როგორიც არის საქართველო. რადგან ერის თვითმყოფადობა გამოიხატება სწორედ კულტურაში. საქართველოში უამრავი კულტურული ძეგლია, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შიდა ქართლში ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. თემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა რუსეთ საქართველოს ომის შემდგომ. სამეცნიერო ნაშრომის ძირითად ობიექტს წარმოადგენს შიდა ქართლში არსებული კულტურული, ისტორიული და ტურისტული ობიექტების კვლევა, აგრეთვე რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალის გაანალიზება.

ANOTATION

Tourism is one of the leading dynamic branch of world economy. Due to its high temp of growth and economical means tourism is considered as the economical phenomena of the second part of XX century. 10% of the whole world product and 11,8% of world investments comes on tourism, almost 10% of world population is employed in tourism.

Tourism in the world, as well, as in Georgia became one of the most significant activities. tourism stimulates many fields of industry, also development of culture. It's very important for Georgia, because nation's individuality is expressed by culture. There are many cultural monuments in Georgia and journey is often motivated by the desire to learn culture.

The aim of this study is problems and perspectives of tourism developement in Shida Kartli. The issue has become espessialy actual since Russian-Georgian war in August. The scientific work mainly targets on studying cultural, historical and tourism sightseeings in Shida Kartly, as well as analysing tourism potential in this region

შინაარსი

ანოტაცია

ANOTATION

შესავალი – – –

13%. უნიკალურია ტურიზმის ზრდის ტემპი. ამ თვალსაზრისით იგი საგრძნობლად აჭარბებს ეკონომიკის სხვა დარგების ზრდის ტემპს. უკანასკნელ 50 წელიწადში მსოფლიო ტურიზმის მოცულობა 35-ჯერ გაიზარდა (20 მილიონი ტურისტიდან 1950 წელს – 715 მილიონ ტურისტამდე). ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი, დაწყებული 1950 წლიდან, მნიშვნელოვნად გადააჭარბა მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპებს და 2001 წელს მიაღწია 462 მილიარდ აშშ დოლარს, რამაც ტურიზმს დაუმკვიდრა პირველი ადგილი მსოფლიო ვაჭრობაში. ეს ტენდენცია მომავალში არა მარტო შენარჩუნდება, არამედ გაიზრდება კიდეც და მსოფლიო ექსპერტთა მონაცემებით 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ უნდა მიაღწიოს 1.5 მლრდ-ს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ტურისტული ნაკადების ყოველწლიური ზრდის ტემპი განვითარებად ქვეყნებში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო მსოფლიო მაჩვენებლები. ამ ქვეყნებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების უფრო თვალსაჩინო ზრდაა დაფიქსირებული, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ანგარიშ გასაწევია ის გარემოებაც, რომ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს აქვთ დადებითი სავაჭრო სალდო ტურიზმში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ამასთან, იგი ასეთი ქვეყნებისათვის უცხოური ვალუტის მოზიდვის ძირითად საშუალებად იქცა.

ტურიზმს განვითარებადი ქვეყნებისათვის მრავალგვარი (ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიურიც კი) სარგებელის მოტანა შეუძლია. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მარკეტინგული სამსახურის მონაცემებით ტურიზმის განვითარების თანმდევი პროცესებია: დასაქმება (მათ შორის ალტერნეტიული; რეგიონებში ქალებისა და ახალგაზრდების); სიღარიბესთან ბრძოლა; სახელმწიფო შემოსავლების ზრდა; ინფრასტრუქტურის განვითარება; ეკონომიკის დივერსიფიკაცია; ადგილობრივი კულტურისა და ხელოსნობის ხელშეწყობა; გარემოს დაცვის ხელშეწყობა; პატრიოტული აღზრდა (შიდა ტურიზმი); საერთაშორისო ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

რაც შეეხება საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივას, საერთაშორისო ექსპერტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სხვა

უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან – ევროპასთან.

ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აღინიშნება ქვეყანაში უცხოელ ტურისტთა და ვიზიტორთა ზრდის ტენდენცია. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2004 წლის შემოდგომაზე საქართველო ერთიანი სტენდით პირველად წარსდგა ლონდონის მსოფლიო ტურისტულ ბირჟაზე და ეს პრაქტიკა გაგრძელდა 2005 წელსაც, როდესაც საქართველომ მონაწილეობა მიიღო მილანის, მიუნხენის, ბერლინის, სტამბულის, ბაქოს, ტოკიოს, კიევისა და ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში. ვარაუდობენ, რომ მომავალში გამოფენებში მონაწილეობა უფრო მასშტაბური გახდება, რაგან ეს ქვეყნისადმი ინტერესის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას.

ასევე დიდი სოციალურ–ეკონომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია ტურიზმის განვითარებას შიდა ქართლში, რომელსაც უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, მაგრამ იქ არსებული პოლოტიკური სიტუაციის გამო, მისი ათვისება სათანადოდ ვერ ხდება, არადა ტურიზმის განვითარება რეგიონში ხელს შეუწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირებას.

საქართველოს ეკონომიკის აღმავლობაში ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის პრობლემების მეცნიერული დამუშავება და დასკვნების პრაქტიკული გამოყენება მოითხოვს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესწავლას, დარგის განვითარების ეკონომიკურ ანალიზს, განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, ტურისტული ბაზრის პროგნოზირებას, სახელმწიფოს მარეგულირებელი მექანიზმების დამუშავებას.

თავი I. ტურიზმის ეკონომიკური შინაარსი

1.1 ტურიზმის განვითარების ისტორია

მართალია, წარმოდგენა მოგზაურობასა და ტურიზმზე ისეთივე ძველია, როგორც თავად ცივილიზაცია, მაგრამ ისტორია გვიჩვენებს, რომ მოგზაურობა ყოველთვის სასიამოვნო არ ყოფილა. მსოფლიო მოსახლეობამ უკვე გადააბიჯა II ათასწლეულის მიჯნას, ამიტომ საჭიროა ტურიზმის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა, რათა შევაფასოთ თანამედროვე ტურიზმის გარემო და მივიღოთ ტურიზმის გამოწვევა.

ადრეული ხანა – პრეისტორიული ცივილიზაციის პირველყოფილი ადამიანებისათვის მოგზაურობის ძირითად ლოგიკურ მოტივაციას საკვების შეგროვება, საფრთხისაგან თავის აცილება და სასურველ კლიმატურ ზონაში გადაადგილება წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში, რაც უფრო იზრდებოდა კაცობრიობის კვალიფიკაციის დონე, ოსტატობა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, მით უფრო მცირდებოდა მოთხოვნა მომთაბარე ცხოვრებაზე. თუმცა, ამის შედეგად გაჩნდა ახალი მოტივაცია მოგზაურობისათვის: ვაჭრობა და საქონლის ბარტერული გაცვლები. აფრიკაში, აზიასა და ცენტრალურ აღმოსავლეთში თანდათანობით ფართოვდებოდა ძველი მსოფლიოს იმპერიები. ამიტომ უფრო დაიხვეწა სამგზავრო ინფრასტრუქტურა, შეიქმნა სახმელეთო და საზღვაო გზები და განვითარდა სატრანსპორტო საშუალებები. იმის გამო, რომ მმართველები აგზავნიდნენ ემისრებს, რათა დაკვირვებოდნენ ომებსა და დაცემულ იმპერიებს, ან აეკრიფათ ბეგარა და გადასახადები, გაჩნდა ოფიციალური სამთავრობო მოგზაურობები. ეგვიპტური დინასტიის პერიოდში ტურიზმმა აყვავება დაიწყო. მოგზაურობა ამ დროისათვის წარმოადგენდა როგორც ბიზნეს-აუცილებლობას, ასევე პირად სიამოვნებასაც. ქალაქის ცენტრალური გზების გასწვრივ აშენდა მინი-სასტუმრო-ცენტრები, რათა დაებინავებინათ ხალხი, რომლებიც ცენტრალურ სამთავრობო პოსტებსა და გარე ტერიტორიებს შორის მოგზაურობდნენ. ასირიული იმპერიის აღმავლობის პერიოდში ტურიზმი კიდევ უფრო განვითარდა, განსაკუთრებით სამხედრო გამოყენების გზით. გაუმჯობესდა, აგრეთვე, გზებიც და დაიწყეს მანძილის აღმნიშვნელი საგზაო მაჩვენებლების გამოყენება. სპარსელებმა კი, რომლებმაც ასირიელები დაამარცხეს, კიდევ უფრო გააუმჯობესეს სატრანსპორტო გზები და განავითარეს ოთხბორბლიანი ეტლები.

ძველმა ბერძნებმა ტურიზმი და მოგზაურობა ორი ძირითადი კუთხით განავითარეს. პირველი ის იყო, რომ მონეტების მიმოქცევის განვითარების პერიოდში საჭირო იყო საქონლის გადატანა, რათა მოეხდინათ გაცვლა. მეორე კი ის იყო, რომ ბრძნული ენა ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელდა, ამიტომ მოგზაურებს უფრო უადვილდებოდათ ერთმანეთთან კომუნიკაცია. მას შემდეგ, რაც საბერძნეთის ქალაქების უმრავლესობა ზღვისპირეთში გაშენდა მოგზაურობა ძირითადად ხორციელდებოდა ზღვის საშუალებით. შეძლებული ბერძნები სიამოვნებით მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქალაქში, ძირითადად კი ათენში. ბერძნები მოგზაურობდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე, ფესტივალებზე და ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრებად, რომლებიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა.

რომის იმპერიის აღმავლობის პერიოდში, მაშინ როდესაც მთელ რომში მშვიდობა იყო, მმართველი მოხელეები თავს ათასგვარად ირთობდნენ. ისინი, ბერძნების მსგავსად, მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქალაქში ესწრებოდნენ ათლეტურ და რელიგიურ მოვლენებს. მდიდარ რომაელებს შორის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ ბევრი მათგანი სტუმრობდა საბერძნეთს. ჩვ.წ.აღ-ით 170 წელს ბერძენმა პაუსინიასმა გამოსცა 10 ტომიანი გზამკვლევი მოგზაურებისათვის. ამ წიგნს ეწოდებოდა „საბერძნეთის გზამკვლევი“, განკუთვნილი იყო რომაელი მოგზაურებისათვის და აღწერდა ბერძნულ ქანდაკებებს, მათ შესახებ არსებულ მითებსა თუ ისტორიებს.

რომალები მოგზაურობდნენ ეგვიპტეში სფინქსისა და პირამიდების სანახავად. რომაელი არისტოკრატებისათვის ალექსანდრია წარმოადგენდა კოსმოპოლიტურ ოაზისს, რადგანაც მასში ბევრი ეროვნების ხალხი იყო თავმოყრილი: ეგვიპტელები, ბერძნები, ებრაელები, ეთიოპელები, ინდოელები და სირიელები. ეგვიპტის მშრალი და მზიანი ჰავაც ხელსაყრელი პირობა იყო რომაელი ტურისტებისათვის. რომის იმპერიის მოქალაქეებს, ისევე, როგორც დღევანდელ ტურისტებს, ძალიან უყვარდათ საყიდლებზე სიარული, ამიტომ ნავაჭრის 25% წარმოადგენდა იმპორტს.

აზიურ ცივილიზაციებსაც გააჩნდა კურორტებზე ტურისტული მოგზაურობების ისტორია. როგორც ცნობილია, დიდგვაროვან აზიელებს, როგორც ჩინელებს, ასევე იაპონელებს გააჩნდათ მეორე სახლი ან სეზონური აგარაკები სხვა ქვეყანაში. ჩინეთის ტიტულოვანი არისტოკრატია და მათი სტუმრები ხშირად სტუმრობდნენ საზაფხულო აგარაკებსა და ვილებს სუძოუში, ჰანძოუში და სხვა დასასვენებელ ადგილებში.

შუა საუკუნეების განმავლობაში, დაახლოებით V–XIV საუკუნეების ჩათვლით, მოგზაურებისა და ვაჭრების რიცხვმა შედარებით იკლო, რადგანაც გზების უმეტესობა შესაკეთებელი იყო და არც მგზავრობა გახლდათ მაინცადამაინც უსაფრთხო. ამ პერიოდში ფართოდ ვრცელდებოდა ქრისტიანობა და იგებოდა ეკლესია-მონასტრები, ამიტომაც ქრისტიანული ეკლესია მოგზაურობისათვის მამოძრავებელი ძალა გახდა. ბერ-მონაზვნები ამხნევებდნენ ხალხს, რომ წასულიყვნენ წმინდა ადგილების მოსანახულებლად და უკვე XIVსაუკუნისათვის პილიგრიმები წარმოადგენდნენ კარგად ორგანიზებულ მლოცველებს, რომლებსაც სოციალური კლასისა თუ ფენის მიუხედავად ემსახურებოდნენ საქველმოქმედო თავშესაფრები.

XIIIსაუკუნის მეორე ნახევარში მარკო პოლომ აღმოაჩინა აზიიდან ევროპამდე უმცირესი სახმელეთო გზები. ჩინეთში მან ნახა კარგად განვითარებული საგზაო სისტემა, რომელიც პირველად ჩოუს დინასტიის (ჩვ.წ.აღ-მდე 1122-1221) პერიოდში აშენდა. მარკო პოლოს წიგნი ევროპელების აცნობდა თუ როგორ ცხოვრობდნენ აღმოსავლეთში ამ პერიოდის განმავლობაში. სხვა მოგზაურების წიგნები მოგვიანებით გამოჩნდნენ. მაშინ, როცა უკვე დაიწყო წიგნების ტირაჟული გამოცემები. 1357 წელს რამდენიმე ენაზე გამოიცა მანდევილის „მოგზაურობები“, სადაც აღწერილი იყო მოგზაურობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

XVსაუკუნეში უკვე გაჩნდა ტურისტული პაკეტი, რომელიც განკუთვნილი იყო ვენეციიდან წმინდა მიწამდე სამოგზაუროდ. ამ პაკეტის შეძენისას ფასში შედიოდა: მგზავრობის, კვების, დაბინავების, სახედრის დაქირავებისა და საჭიროების შემთხვევაში ხიფათის თავიდან ასაცილებლად მოსაქრთამი ფული. ამ დროისათვის წარმოიშვა სწრაფი კვების სტენდების ადრეული ვერსია. გადატვირთულ, პილიგრიმების სამოგზაურო გზებსა და გზატკეცილებზე ქუჩის

მოვაჭრეებს შეეძლოთ გზისპირა კარვებიდან გაეყიდათ ღვინო, ხილი, ხორცი, პური და ნამცხვარი.

რენესანსი – XIV-XVII საუკუნეების მოგზაურობის ძირითად მოტივაციას საზღვარგარეთ განათლების და გამოცდილების მიღება წარმოადგენდა. ინგლისის დედოფალმა ელისაბედ I-მა მომავალი დიპლომატებისათვის მოგზაურობის აუცილებლობა დააწესა, ხოლო ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში დაიწყეს მოგზაურობის, როგორც დისციპლინის შესწავლა. ასევე ესპანეთში – სალამანკას უნივერსიტეტში. ინგლისმა, აგრეთვე დააწესა მოგზაურის ლიცენზია, რომელიც ვარგისი იყო 2-3 წლის განმავლობაში და გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა მათ. მაგ.: თუ რა რაოდენობის თანხა უნდა ჰქონოდათ, რამდენი ცხენი და რამდენი მსახური შეიძლებოდა ჰყოლოდათ (ძირითადად 3). მოგზაურებს ასევე უნდა ჰქონოდათ პასპორტი გასასვლელ პოსტებში წარსადგენად. ამავე დროს, ყველა ქვეყნისათვის საჭირო იყო სხვადასხვა პასპორტის აღება. ისევე, როგორც დღეს, არსებობდა სამოგზაურო ჩეკები. „ელისაბედის მოგზაურები“ ძირითადად იტალიაში მოგზაურობდნენ პარიზისა და ფრანკფურტის გავლით.

შემდგომში „ელისაბედის ტურის“ სტრუქტურა უფრო დაიხვეწა და ცნობილი გახდა „გრანდ ტურის“ სახელით. გრანდ ტური წარმოიქმნა XVII საუკუნის შუა პერიოდში და დიდი პოპულარობით სარგებლობდა XVIII საუკუნის შუა წლებამდე. გრანდ ტურის მოგზაურებისათვის კვლავ ძირითად მოტივაციას ცოდნისა და გამოცდილების მიღება წარმოადგენდა. გრანდ ტური მაღალი ფენის წარმომადგენლებისათვის საგანმანათლებლო და კულტურული მონაპოვრების გაცნობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ არისტოკრატული და მდიდარი ოჯახის ვაჟები მიდიოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, რომ მოენახულებინათ ისტორიული ადგილები, შეესწავლათ ხელოვნება, არქიტექტურა და ისტორია. ამ დროისათვის არსებობდა „გრანდ ტურის გზამკვლევი“, რომელიც დაიწერა 1778 წელს ტომას ნუგენტის მიერ და დიდი ხნის განმავლობაში ბესტსელერად ითვლებოდ

სამრეწველო რევოლუცია – 1750 წლიდან 1850 წლამდე ანუ სამრეწველო რევოლუციის პერიოდში მოხდა ფართო ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები და წარმოიქმნა მასობრივი ტურიზმის საფუძვლები. სოფლის

მეურნეობის მუშაკები მანუფაქტორული წარმოებისა და ცხოვრების სტილზე გადადიოდნენ, წარმოიქმნა საზოგადოების საშუალო ფენა და მათი მოთხოვნები მოგზაურობაზე, როგორც თავისუფალი დროის გატარებასა და დასვენებაზე.

სამრეწველო რევოლუციის პერიოდში შეიქმნა ორთქმავლის ძრავა, რითაც მოძრაობდნენ მატარებლები და გემები. პროფესიულმა ცვლილებებმა თან მოიტანა სოციალური ცვლილებები, რაც ძირითადად განპირობებული იყო საშუალო კლასის წარმოქმნითა და გაფართოებით. მათ გართობისა და დასვენებისათვის უფრო მეტი დრო მიეცათ და მოთხოვნილება გაუჩნდათ ემოგზაურათ.

დასასვენებელი ტურისტული მოგზაურობები ძირითადად ერთდღიანი იყო, რადგან შეზღუდული შემოსავლები და კვირაში ხუთდღიანი მუშაობა მეტის საშუალებას არ იძლეოდა. XIX საუკუნის ბოლოსათვის დასაქმებულმა ადამიანებმა შემოიღეს ყოველწლიური შემოსავლები. ამ დროში ისინი გაურბოდნენ ქალაქის სიმჭიდროვესა და სიბინძურეს და მიდიოდნენ მინერალური წყლების კურორტებსა და ზღვის სანაპიროებზე. დასასვენებელი ადგილების რაოდენობა, რომლებსაც ადრე მხოლოდ მდიდარი ადამიანები სტუმრობდნენ, გაიზარდა. ამის მიზეზი სწორედ საშუალო ფენის აღზევება გახდა. კურორტებისათვის საშუალო კლასი გაცილებით დიდ ბაზარს წარმოადგენდა, ვიდრე მცირერიცხოვანი მდიდარი არისტოკრატები, ამიტომაც კურორტებზე თანდათანობით იწყეს ჩამოსვლა საშუალო ფენის წარმომადგენლებმა.

ინგლისურ ლიტერატურაში თანამედროვე კომერციული ტურიზმის განვითარების დასაწყისად 1841 წელი ითვლება, როდესაც ინგლისელმა კომერსანტმა თომას კუკმა პირველად გაუწია კომერციული მომსახურება სიფხიზლისათვის მებრძოლი საზოგადოების 570 წევრს. მან შეისყიდა მატარებლის ბილეთები და შემდეგ მიჰყიდა ისინი მგზავრობის მსურველებს, ხოლო გზაში ექსკურსიამძღოლის ფუნქცია თვითონვე იკისრა.

თანამედროვე ტურიზმი – ის, რომ დღეს მასიური ტურიზმი შესაძლებელია, ამის მიზეზია სურვილის, ცვალებადობის, მისაწვდომობის და მოთხოვნის კომბინაცია. მე-20 საუკუნეში შემოვიდა ახალი ტექნოლოგიები, როგორებიცაა ავიაცია, კომპიუტერული ტექნიკა, რობოტები და სატელიტური კომუნიკაციები, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ადამიანის ცხოვრებისა და მუშაობის სტილი.

მასიური ტურიზმი სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობითაა. ამისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობს: თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით გაიზარდა გასართობი დრო, დამატებითი შემოსავალი, ტელეკომუნიკაციები და შეიქმნა უფრო ეფექტური სატრანსპორტო საშუალებები.

დამდეგ ათასწლეულში ტურიზმი კვლავ დარჩება ერე-რთ ყველაზე დინამიურად მზარდ სექტორად გლობალურ ეკონომიკაში. მიუხედავად პერიოდული შეფერხებებისა, პოლიტიკური თუ ბუნებრივი კატაკლიზმებისა, ომებისა, საწვავის გაძვირებისა და სხვ. საერთაშორისო ტურიზმი ამჟამად წარმოადგენს მსოფლიო საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს. მისი მოცულობა სამჯერ მეტია ვიდრე ხარჯები თავდაცვაზე. ახლა უკვე ტურიზმი და მოგზაურობა არამხოლოდ მდიდარი, პრივილიგირებული ადამიანებისთვისაა, არამედ ამ მომსახურებით მსოფლიოში მილიონობით ადამიანი სარგებლობს, რომლებიც ათვალიერებენ ახალ ადგილებს და იძენენ შთამბეჭდავ გამოცდილებას.

მეოცე საუკუნის 50-იან წლების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტურისტული ქვეყნების დიაპაზონი. 50-იან წლებამდე ტურიზმი კონცენტრირებული იყო დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში, ტურისტები მოგზაურობდნენ ძირითადად ზაფხულში და ხანგრძლივი დროით ჩერდებოდნენ ერთ ადგილას.

თანამედროვე ტურიზმი ბევრად უფრო განსხვავებულია. ტურისტული მოგზაურობა განაწილებულია მთელი წლის მანძილზე და მეტად მრავალფეროვანია მოგზაურობის მიზნის, ხანგრძლივობისა და დაბინავების საშუალებების მიხედვით. გარდა ზაფხულის მოკლე ძირითადი შვებულებისა, წლის განმავლობაში მრავალი ადამიანი მიემგზავრება დასასვენებლად ხანმოკლე დროით.

დასვენების სექტორი ძლიერ განვითარდა კულტურული ტურიზმის, სპორტის, სათავგადასავლო, სასოფლო ტურიზმის, კრუიზების და სხვადასხვა სახის კომბინაციის მიმართულებით. გაფართოვდა კონგრეს-სემინარების სეგმენტი.

ტურიზმის ახალი ერა დგება, რომელზეც მოქმედებენ რიგი გარეშე ფაქტორებისა, როგორებიცაა: ეკონომიკური და ფინანსური განვითარება, ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაციები, გარემოსდაცვითი საკითხები,

მარკეტინგული ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორის სტრუქტურასა და პროდუქტის განვითარებაზე.

1.2 ტურიზმი, როგორც ეკონომიკური მოვლენა

ტურიზმის როლი თანამედროვე ეკონომიკაში მუდმვად იზრდება. იცვლება და მიმდინარეობს მისი შიდა გარდაქმნა. ქვეყნები, რომელთაც ადრე წამყვანი როლი ეკავათ ტურიზმში მეორე და მესამე პლანზე გადადიან. მათ ნაცვლად მოდიან ახალი ლიდერები. ეს ცვლილებები აიხსნება როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების ზემოქმედებით.

ეკონომიკასთან დაკავშირებით ტურიზმი უნდა განვიხილოთ:

- ✓ როგორც, წარმოების, გაცვლის და პროდუქციის განაწილების სფეროში, საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრული ერთობლიობა;
- ✓ როგორც ქვეყნის ეროვნული მეურნეობის კომპლექსის ნაწილი, რომელიც მოიცავს წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრულ დარგობრივ სახეებს;
- ✓ როგორც ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც ტურიზმს შეისწავლის, როგორც ქვეყნის ან რეგიონის მეურნეობის სფეროს;
- ✓ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც სწავლობს წარმოების სფეროში ტურისტულ პროდუქტს. მის მოხმარებას, განაწილებას და გაცვლას. ეკონომისტები აანალიზებენ ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებს, პროგნოზს უკეთებენ მის შედეგებს ფიზიკური პირებისთვის, ორგანიზაციისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის;
- ✓ როგორც თანამედროვე ეკონომიკური თეორია, რომელიც სწავლობს ადამიანთა ქცევებს ტურისტული ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე წარმოების, განაწილების გაცვლისა და ტურმომსახურების მოხმარების პროცესში. აგრეთვე სწავლობს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორც ოჯახის, ისე ფირმისა და მთლიანად საზოგადოების დონეზე.

ფუნდამენტური ეკონომიკის თვალსაზრისით, ტურიზმი არის ეკონომიკური კომპლექსი, რომლის განვითარება უმეტესწილად აიხსნება მსოფლიო მეურნეობრივი

პროცესებით და ურთიერთობებით ვიდრე იმანენტური (შიდა) მიზეზებით, მაგრამ ტურიზმი ამავე დროს არის ბევრი სწრაფადგანვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უმნიშვნელოვანესი კატალიზატორი, რადგან ასრულებს ქვეყნებს შორის შიდა ეროვნული პროდუქტის გადამანაწილებელი არხის როლს. სხვა სიტყვით, თუ იაპონელები მიდიან დასასვენებლად ფილიპინებზე, ხოლო ქართველები თურქეთში, მათ არა მარტო შეაქვთ იქ თავიანთი გამომუშავების ნაწილი, არამედ აგრეთვე იქ ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, თანამედროვე ტურიზმი, როგორც ეკონომიკური მოვლენა, უნდა დახასიათდეს შემდეგნაირად:

1. მას აქვს ინდუსტრიალური ფორმა;

2. იგი გამოდის ტურპროდუქტისა და მომსახურების ფორმით, რომელიც არ გროვდება და არ ტრანსპორტირდება;

3. ტურიზმი ითვლება ახალი სამუშაო ადგილების შემქმნელად და ეროვნული ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კატალიზატორად. არის ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ერთ-ერთი მექანიზმი: მას თვლიან, როგორც ქვეყნის ეროვნულ შემოსავლის ზრდის, დასაქმებისა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის მულტიპლიკატორად:

4. აქვს ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენებისა და სწრაფი უკუგების მაღალი დონე და ბუნების დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეფექტიანი საშუალებები;

5. აქვს შეთავსების უნარი მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგთან და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სახეებთან.

ამრიგად, ტურიზმს შეუძლია აქტიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკაზე, მის სამეურნეო, სოციალურ და ჰუმანიტარულ საფუძველზე, რომელშიც იგი ვითარდება.

ჩვენს დროშიც, საერთაშორისო ტურიზმის ძირითადი ცენტრები განლაგებული არიან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ტურიზმი გახდა ერთ-ერთი სიმბოლო საშუალო კლასის ასაყვავებლად და მასობრივი მოთხოვნილების პროდუქტის დასაკმაყოფილებლად. განვითარებად ქვეყნებში სწრაფად ვითარდება შიდა ტურიზმი. როგორც მომსახურების სფეროს შემოსავლების მულტიპლიკაციის

საშუალება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალება.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტები შემდეგნაირად ახასიათებენ მსოფლიო ტურისტული ბაზრის დინამიკას:

- მომსახურების მოცულობის ზრდის მაჩვენებელი 2000 წლამდე საშუალოდ შეადგენს წლის განმავლობაში 3,7%-ს;
- ზრდა მიღწეულ იქნა ძირითადად აზიის შუა აღმოსავლეთის. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის და ევროპის გამსვლელი ბაზრების ანგარიშზე;
- ტურისტთა მიღების კეთილსასურველი პირობები უფრო მეტად ჩამოყალიბდა აზიაში, თუმცა სხვა რეგიონებსაც აქვთ ზრდის საშუალო პერსპექტივა;
- შიდა ტურიზმი ზრდას აგრძელებს უფრო მაღალი ტემპებით;
- ხანგრძლივი საერთაშორისო ტურიზმი გაიზრდება უფრო სწრაფი ტემპებით ვიდრე მოკლევადიანი;
- ძლიერდება ტურიზმზე საგარეო ფაქტორების ზემოქმედება (ეკონომიკური სიტუაციის, პოლიტიკური მდგომარეობის, მოგზაურობის უსაფრთხოების დონისას).

ტურიზმზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს:

1. კომპიუტერული სისტემის რეზერვაცია:
2. ტექნოლოგიური განვითარება;
3. ავიაგადამზიდების სრულყოფა;
4. ელექტრონული ინფორმაცია;
5. კომუნიკაციური სისტემები;

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება სოციალურ-დემოგრაფიული დინამიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. იზრდება მარკეტინგული კვლევების როლი, რომელიც არეგულირებს ტურისტულ პოლიტიკას.

ტურიზმი, როგორც პლანეტარული ეკონომიკური მოვლენა, ხასიათდება საკუთარი სტატისტიკით. ე.ი ტურისტული ნაკადებისა და ტენდენციების

ინფორმაციით, მისი რეგიონული სტრუქტურით, ტურისტების გამგზავნი და მიმღები ქვეყნების მონაცემებით. ზემოაღნიშნული მუდმივად გროვდება ანალიზდება და ყოველწლიურად გამოიცემა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ. საყურადღებოა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

მოგზაურთა რიცხვი 1951 – 2002 წ.წ. 25 მილიონი კაციდან გაიზარდა 700 მილიონამდე: შემოსავლები მათგან გაიზარდა 2 მლრდ. დოლარიდან 350 მლრდ დოლარამდე. ე.ი. 170-ჯერ და მეტად. ე.ი. შემოსავლები ტურიზმში იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე ტურისტების რიცხვი.

თითოეულმა კლიენტმა ტურისტულ ფირმას 2002 წელს მოუტანა 8.5-ჯერ მეტი შემოსავალი ვიდრე 40 წლის წინ. ერთი ტურისტიდან უკუგება გაიზარდა 80 დან 640 დოლარამდე. ტურიზმის ინდუსტრია სამუშაოთი უზრუნველყოფს 200 მლნ-მდე კაცს ე.ი. მთელი სამუშაო ძალის 12%-ს.ამჟამად ამ დარგში დასაქმებულია დაახლოებით ყოველი მეათე ადამიანი.

ასეთი აღსანიშნავია, შემდეგი მონაცემებიც:

ტურიზმის წილი საბოლოო მოხმარებაში: ავსტრიაში უდრის 8.9%-ს, ნორვეგიაში - 6.7%-ს, შვეიცარიაში - 5.6%-ს, დანიაში - 5.4%-ს, აშშ-ში - 3.2%-ს.

ტურიზმის წილი მშპ-ში - ავსტრიაში - 8.5%, პორტუგალიაში - 6.5%-ს. ესპანეთში - 4.2%-ს, საბერძნეთში - 4.5%-ს, საქართველოში - 0.1%-საც კი არ უდრის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ტურიზმს გააჩნია მკვეთრად გამოხატული ტერიტორიული დიფერენციაცია, ე.ი. მისი განსხვავება ადგილიდან ადგილამდე გამოხატული უფრო მკვეთრად, ვიდრე სტრუქტურული დიფერენციაცია. შეიძლება ითქვას, რომ სხვა ეკონომიკური საქმიანობისგან განსხვავებით ტურიზმის ეკონომიკა არის გეოგრაფიული რის საფუძველზეც მტო-მ მოახდინა მსოფლიო ტურისტული რეგიონების ტურისტული დარაიონება (6 ძირითადი რეგიონი).

ტურიზმის, როგორც დარგის ჩამოყალიბება და განვითარება ხასიათდება განსაზღვული ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემით, რომელიც ასახავს ტურისტული მომსახურების რეალიზაციის რაოდენობრივ მოცულობასა და მის ხარისხობრივ მხარეებს. აგრეთვე ტურისტული სამეურნეო სუბიექტის საწარმოო-სამომსახურეო ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

მაჩვენებლები საერთოდ არის ინფორმაციის საზომი, რომლის საშუალებითაც ხდება გარკვეული მიზეზშედეგობრივი ურთიერთობების დადგენა სხვადასხვა შესასწავლ საკითხებზე. რაიმე მაჩვენებელი საჭიროა გადაწყვეტილებების მიმღები პირისათვის, რათა მან თავიდან აიცილოს ან შეასუსტოს ხელისშემშლელი მიზეზები, წინასწარ განსაზღვროს რაიმე მოქმედება პრობლემების თავიდან ასაცილებლად და განსაზღვროს დარგის ან ფირმის განვითარების საზღვრები და შესაძლებლობები.

ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში და პირველ რიგში იმ დარგებში, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ტურიზმთან და ასეთი დარგი 30-ზე მეტია, ყალიბდება მაკროეკონომიკური ურთიერთობები.

თანამედროვე პირობებში მაკროეკონომიკური ურთიერთობები ტურიზმის სფეროში მისი საქმიანობა და ფუნქციონირება შეისწავლება როგორც მსოფლიო, ისე ცალკეული ქვეყნების მასშტაბით. უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის წვლილის შესწავლა მაკრო დონეზე საკმაოდ რთულია. თუმცა სხვადასხვა ქვეყნების ინფორმაციული წყაროების საფუძველზე ტურიზმის ეკონომიკის სპეციალისტები ახერხებენ ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების საერთო მასშტაბების გაანგარიშებას.

მაკროეკონომიკურ დონეზე სტანდარტულ ეკონომიკურ გამზომად მ.ტ.ო.-ს მიერ მიჩნეულია შემდეგი ინდიკატირები (მაჩვენებლები):

1. ტურიზმის სფეროში წარმოებული შემოსავალი და მისი ხვედრითი წონა მთლიან ეროვნულ პროდუქტში, თუ მთლიან შიდა პროდუქტში. ეს მაჩვენებელი მიუთითებს ტურიზმის შეფარდებით მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკაში;

2. უცხოური ვალუტა, რომელიც გამომუშავდება საერთაშორისო ტურიზმიდან. ეს მაჩვენებელი მოიცავს, როგორც უცხოური ვალუტის საერთო შემოსავლების ანგარიშებს (უცხოელი ტურისტების საერთო ხარჯების ჯამი), ასევე სუფთა შემოსავლებს უცხოური ვალუტიდან. აქ იგულისხმება უცხოური ვალუტა, რომელიც რჩება ქვეყანაში უცხოური ვალუტის გადინების კოეფიციენტის გამოკლებით. ეს გადინება არის უცხოური ვალუტა, რომელიც იხარჯება ტურიზმში უცხოური საქონლისა თუ მომსახურების ხარჯვისას. ესენია: გადასახადები კვების პროდუქტებზე, სასტუმრო მოწყობილობისა და მასალების

მიწოდებაზე, უცხოელი მუშაკის ხელფასების განაკვეთებისა და ობიექტების მოგების ექსპატრიავიაზე, რომელიც იმყოფება უცხოეთის გამგებლობაში, აგრეთვე გადასახადი უცხოურ კომპანიებისათვის, რომლებიც მართავენ სასტუმროებს ტურ. კვებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციებს და სხვა.

საერთოდ გადინება, ეს არის დანაზოგებისა და იმპორტის კომბინაცია. თუ ფული იხარჯება საზღვარგარეთ იმპორტულ საქონელზე, მაშინ ნათელია, რომ ეს არ ასტიმულირებს ადგილობრივ ეკონომიკას და ანალოგიურად, თუ ფული გადადებულია დანაზოგების ფორმით, რომელიც არ გაიცემა სესხად ერთი წლის განმავლობაში, ისიც, არ ასტიმულირებს ეკონომიკას.

ამრიგად, მაქსიმალური ეკონომიკური მოგების მისაღებად ტურისტული დანახარჯებიდან, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ტურისტული ფონდების ჩადება ადგილობრივ ეკონომიკაში ეროვნული საქონლისა თუ მომსახურების შესაძენად, რადგან ფულადი სახსრების გაყინვა ან დიდი მოცულობით იმპორტის შეძენა ხელს არ უწყობს მიმღები ქვეყნის განვითარებას.

საქართველოში დღეს გადინება საკმაოდ მაღალია, რადგან საწარმოო სფეროს მოშლის შედეგად სასტუმროებს, სატრანსპორტო საწარმოებს და სხვას, დანადგარებისა და ზოგიერთი მომსახურების შეძენა უხდებათ უცხოელი მწარმოებლებისგან;

3. ადგილობრივი სამუშაო ადგილები, რომელიც იქმნება ტურიზმის საშუალებით. ამასთან უნდა მოხდეს შემდეგი დასაქმების აღრიცხვა:

პირდაპირი დასაქმება-პირები რომლებიც მუშაობენ ტურისტულ საწარმოებში კერძოდ, სასტუმროებში, რესტორნებში, ტურისტთა მაღაზიებში ტურ.სააგენტოებში და სამოგზაურო ბიუროებში.

ირიბი დასაქმება - სამუშაო ადგილები, რომელიც შექმნილია მომწოდებელ სექტორებში (სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მეფრინველეობა, მრეწველობა და სხვა.)

გენერირებული დასაქმება - დამატებითი სამუშაო ადგილები, რომლებიც არსებობენ იმ შემოსავლების ხარჯვით ,რასაც იღებენ პირდაპირ და ირიბ დასაქმებაში მყოფი მუშაკები.

დასაქმება მშენებლობაში სამუშაო ადგილები, რომლებიც იქმნება ტურ.ობიექტების ინფრასტრუქტურის მშენებლობისას, ეს ჩვეულებრივად, დროებითი მოვლენაა მაგრამ, იგი შეიძლება გრძელვადიანი იყოს იმ ადგილებში, სადაც ხდება ტურიზმის განუწყვეტელი განვითარება.

დასაქმებასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ტურიზმში დასაქმებულთა კატეგორიიდან ყველაზე მეტად შესწავლილია სასტუმრო და საკურორტო-სანატორიული მეურნეობა. ტურიზმის მიერ შექმნილი ირიბიდასაქმება შეიძლება დაახლოებით იქნას გაანგარიშებული. დასაქმების კოეფიციენტი რეგიონების მიხედვით სხვადასხვაა და დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ ბაზაზე. მათი დასაქმების კოეფიციენტი ქვეყნისთვის შეადგენს 1.13-ს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას შეუძლია უზრუნველყოს დამატებით 0.13 ადამიანის დასაქმება თვითოეულ პირდაპირ მომუშავეზე საექსპორტო ტურისტული მოთხოვნის მომსახურებაში მაგრამ, თუ მოცემული კოეფიციენტი შეადგენს დავუშვათ, 2.63-ს მაშინ ქვეყანა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს დაახლოებით 1.63 კაცს, ტურინდუსტრიაში უკვე მომუშავე თითოეულ მუშაკზე გაანგარიშებით. საერთოდ, დასაქმების კოეფიციენტი ქვეყანაში იცვლება მოსახლეობისრიცხოვნობის პირდაპირპროპორციულად ან დასაქმებული მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქვეყანაში იზრდება დასაქმების კოეფიციენტის მნიშვნელობაც.

4. მულტიპლიკაციის ეფექტი – ამ მაჩვენებლის საფუძველზე გაიანგარიშება, თუ ტურისტული ხარჯები როგორ გადიან ეკონომიკაზე და როგორ გავლენას ახდენენ ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეებზე. გაანგარიშებულია, რომ ტურიზმის სფეროში შექმნილ ერთ ადგილზე მოდის სხვა სფეროებში შექმმნილი 2-3 ადგილი.

5. წვლილი სახელმწიფო შემოსავლებში - ეს მაჩვენებელი მოიცავს სასტუმრო და სხვა ტურისტულ მოსაკრებლებს, შემოსავლებს აეროპორტიდან საბაჟო გადასახადებიდან და იმპორტულ საქონელზე, რომელიც ტურიზმის სფეროში გამოიყენება, საშემოსავლო გადასახადები ტურისტული საწარმოებიდან და მომუშავეებიდან, აგრეთვე გადასახადები ტურისტული ობიექტების უძრავი ქონებიდან.

ერთი საკითხი, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება რაოდენობრივ გაანგარიშებას, არის ის, რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს სატრანსპორტო და სხვა ქსელისა და მომსახურების შექმნას და მის დაფინანსებას, რომლითაც მთელი საზოგადოება სარგებლობს. ე.ი. ტურიზმი გვევლინება, როგორც საერთოდ ეკონომიკის, ისე ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების კატალიზატორი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მაკროეკონოიკური მაჩვენებლებისა ტურიზმის სფეროში გამოყენებაშია: ტურიზმის სიმჭიდროვის, საწოლთა სიმჭიდროვის, ტურიზმის ინტენსივობის, ხარისხობრივი, სოციალური, მომხმარებელთა კმაყოფილების, გადაზიდვების, ეკოსისტემებისა და სხვა მაჩვენებლები.

ტურიზმის მთავარი მიკროეკონომიკური ელემენტებია ტურისტული საწარმო, ფირმა, სააგენტო, რომლებიც თავისი არსით გვევლინებიან, როგორც მომსახურების მწარმოებელი საწარმოები და მიკროეკონომიკის ყველა შესასწავლი საკითხი, ბუნებრივია მათზეც ვრცელდება.

ქვეყანასა თუ რეგიონში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ მაჩვენებელთა სისტემის შესწავლას.

1. ტურისტული ნაკადების მოცულობა
2. მატერიალურ ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და განვითარება.
3. დღე-ღამეში ტურდანახარჯების საშუალო მოცულობა;
4. ტურისტული ფირმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა;
5. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება.

განვიხილოთ თოთოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ტურისტული ნაკადები - ეს არის ქვეყანაში, რეგიონში ტურისტების მუდმივი შემოსვლა. ტურისტული ნაკადების მოცულობის დამახასიათებელი მაჩვენებლებია: ტურისტების საერთო რიცხვი; ტურდღეთა რაოდენობა; ქვეყანაში, რეგიონში ტურისტების ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა.

ტურდღეთა რაოდენობის გასაანგარიშებლად საჭიროა ჩამომსვლელთა რიცხვი გავამრავლოთ ქვეყანაში, რეგიონში ერთი ტურისტის ყოფნის საშუალო დღეთა რაოდენობაზე. ინფორმაცია ტურდღეებზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაგეგმად.

ცალკე გამოიყოფა ის მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ტურიზმის საერთაშორისო მდგომარეობას და განვითარებას. ეს მაჩვენებლებია

- ტურისტების რიცხვი, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებში მიემგზავრებიან (განისაზღვრება სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი რიცხვის მიხედვით);
- უცხოელ ტურისტთა ტურდღეთა რაოდენობა;
- ფულადი დანახარჯების ჯამი, რომელსაც ტურისტები ეწევიან უცხოეთში მოგზაურობისას.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მაჩვენებელი გარკვეულ გავლენას ახდენს რეგიონზე, რომელშიც ვითარდება ტურიზმი. ტურიზმის განვითარება და ტურიზმის მომსახურების მოცულობის ზრდა მოითხოვს ფრთხილ მიდგომას, რადგან ძალიან მაღალია მიღებულ გადაწყვეტილებათა სოციალური შედეგები. საქმე იმაშია, რომ ტურიზმის განვითარებას თითოეული ქვეყნისთვის და რეგიონისთვის მოაქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

ცნობილია, რომ ტურინდუსტრიას აქვს უნიკალური სტრუქტურა. იგი მოიცავს სხვადასხვა მომსახურების დარგების ცალკეულ ელემენტებს: პატარა მოტელებს, დასასვენებელ სახლებს, სამრეცხაოებს, მაღაზიებს, რომლებიც ვაჭრობენ ადგილობრივი ხელოსნების ნაწარმით, ხელოვნების საგნებით და სხვა.

ამრიგად, მთავრობის მიერ ინვესტირებული ინფრასტუქტურა ასტიმულირებს მცირე ბიზნესის მრავალრიცხოვან საწარმოთა ინვესტირებას. მოსავალი ინვესტიციები ტურიზმში იზიდავენ უფრო მეტ ინვესტიციებს მომავალში მეურნეობის დამხმარე და ხელშემწყობ დარგებში. ამაში შედის მსხვილი ინვესტიციები ძირითადად სასტუმროებში, რესტორნებში, სავაჭრო ცენტრებში, პორტებსა და აეროპორტებში. ბუნებრივია, ტურიზმის საშუალებით სრულყოფილი რეგიონის ინფრასტრუქტურა გამოიყენება აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ.

ვინაიდან, ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს მცირე ბიზნესის მრავალრიცხოვან საწარმოებს ,ტურიზმიდან მიღებული ამონაგები სწრაფად ნაწილდება მიმღები რეგიონის მოსახლეობის ფართო ფენებში და, ამრიგად, მთელი საზოგადოება იღებს ეკონომიკურ სარგებელს.

შემდეგი დადებითი ასპექტი ტურიზმის განვითარებაში ისაა, რომ ტურისტები იძულებული არიან, იხადონ გადასახადები, ისევე, როგორც უმეტესი მოსახლეობა იხდის, რადგან მოგზაურები ძირითადად სხვა რეგიონებიდან, ამიტომ მათი დანახარჯები მიმღები ქვეყნის მთავრობისთვის წარმოადგენს ფართო საგადასახადო ბაზას, ჩვეულებრივ გადასახადთან ერთად ტურისტები ზოგჯერ იხდიან ნაკლებად პირდაპირ გადასახადებს. სააეროპორტო მოსაკრებლები, შესასვლელი და საბაჟო გადასახადები, სავიზო მოსაკრებლები, ეს მხოლოდ რამოდენიმე მაგალითია იმისა, რასაც ჩვეულებრივად იყენებენ ტურისტების დაბეგვრისას. გარდა ამ განსაკუთრებული შემთხვევებისა ჩვეულებრივი გადასახადები, რომლებიც გროვდება, როგორც ტურისტებიდან, ისე ადგილობრივი მცხოვრებლებისგან, იზრდება ტურისტული დანახარჯების შედეგად. ამრიგად, ტურიზმი ზრდის რეგიონის შემოსავლებს, დასაქმებას, ინვესტიციებს და სხვა.

მიუხედავათ ამისა, არსებობს საზღვარი სადამდეც მიმღებ რეგიონს შეუძლია, მოახდინოს მოგების მაქსიმიზაცია ტურიზმის ამ მოცემული ასპექტებიდან. ეს შეზღუდვები ორი ტიპისაა, სოციალური და ეკონომიკური.

სოციალური შეზღუდვები წარმოიქმნება გადასახადების გაზრდისას, რომელიც ამოიღება ადგილობრივი მაცხოვრებლებიდან რეგიონში ტურინდუსტრიის განვითარებისას. ხოლო ეკონომიკური შეზღუდვები წარმოგვიდგება გამოუყენებელი შესაძლებლობების პოტენციური დანახარჯების ფორმით, რომელიც წარმოიშობა ტურინდუსტრიის განვითარებისას. ეს ორივე მომენტი საჭიროებს ყურადღებით გამოკვლევას. რათა მიღწეულ იქნას ოპტიმიზაციის პრობლემის ღრმა გაგება, რომელიც დგას მიმღები ქვეყნის მთავრობის წინაშე.

ტურიზმის განვითარების პოზიტიურ შედეგებთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს დარგის ზემოქმედების ნეგატიური მოვლენები. მიწის რესურსების გამოყენებისას, ტურიზმი ავიწროებს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ტრადიციულ წყაროებს და იზიდავს მუშაკებს, რაც დამღუპველად მოქმედებს სოფლის მეურნეობაზე და სამუშაო ძალის გადინების გამო. მის შედეგად მცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, იმ დროს, როცა მოხმარების მოცულობა იზრდება მრავალრიცხოვანი ტურისტული შენოსავლების წყალობით. იმავდროულად ირღვევა ან მთლიანად ნადგურდება ცხოვრების

ტრადიციული წყობა და ბუნებრივი ლანდშაფტი მასობრივი ტურიზმის ცენტრებში.

მრავალმხრივობა არის ეკონომიკური სტაბილურობის საფუძველი როცა ერთი დარგი განიცდის მკვეთრ ეკონომიკურ დაცემას, მეორე ყვავის და ამრიგად, მცირდება კრიზისისი შესაძლებლობა და რბილდება მისი შედეგები იმ შემთხვევაში, თუ კრიზისი მაინც დადგება. გამომდინარე აქედან, იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს ეკონომიკურ დივერსიფიკაციას, ტურიზმი ზოგჯერ იკავებს სოფლის მეურნეობის სექტორს.

მრავალი მიზეზის გამო არასასურველია, რომ ტურიზმი გახდეს შემცვლელი დარგი. პირველ რიგში, ტურიზმი თავისი არსით არის სეზონური მოვლენა. ზოგჯერ მოთხოვნის სეზონური რყევები შეიძლება შემცირდეს, მაგრამ მისი მთლიანად თავიდან აცილება შეუძლებელია. მეორე, მოთხოვნა ტურიზმზე და მოგზაურობაზე მნიშვნელივნადაა დამოკიდებული ტურისტების შემოსავლებზე და გემოვნებაზე. ეს ორივე ფაქტორი მიმღები რეგიონის კონტროლის გარეთ იმყოფება. ე.ი. რეგიონის მთლიანი დამოკიდებულება ინდუსტრიის ერთადერთ სექტორზე ძლიერ არასასურველია.

უფრო მეტიც, ტურიზმი წარმოქმნის განსაზღვრულ სოციალურ დანახარჯებს და დამატებით ხარჯებს გარემო ბუნების შესანარჩუნებლად, რომელიც მხრებზე აწვება მიმღებ რეგიონს და მის მცხოვრებლებს. ტურიზმის მეტისმეტად განვითარება და მასზე მთლიანად დამოკიდებულება აყენებს შემდეგ დილემას. თუ შევწყვეტთ მის შემდეგ განვითარებას იგი ქმნის ეკონომიკურ დაცემას. თუ არ შევზღუდავთ ტურიზმის შემდგომ განვითარებას, მაშინ ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული რესურსები მისი მეტისმეტი გამოყენებისგან გაღარიბდება, უვარგისი გახდება და გაუფასურდება. ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილებების მიღება საკმაოდ რთულია.

განვითარებადი ქვეყნები ტურიზმს ზოგჯერ ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებენ. ისინი ცხოვრებაში აქტიურ საინვესტიციო პროგრამას ატარებენ, რომელიც მიმართულია ტურიზმის განსავითარებლად და ატარებენ პრიორიტეტულ ხასიათს. განსაკუთრებულ შემთხვევებში ასეთმა მიდგომამ შეიძლება მიგვიყვანოს ინვესტიციებზე ქვეყნის უფრო მნიშვნელოვანი

მოთხოვნილებების უარყოფამდე. მაგალითად, ფულადი სახსრები, რომელიც იდება ტურიზმში, შეიძლება გამოყენებულ იქნას განათლების, ჯანმრთელობის და სხვა სოციალური საჭიროებებისთვის.

ზოგჯერ ტურიზმი იწვევს რეგიონში ინფლაციის დონის ზრდას იქ, სადაც იგი ვითარდება. ტურისტები თავის ფულს, რომელიც გამოიმუშავეს თავის რეგიონში, დებენ მოცემული ტურისტული რეგიონის ეკონომიკაში. ვინაიდან იგი ზრდის რეგიონის შემოსავლებს, შეიძლება გახდეს ინფლაციური ზეწოლის მიზეზი. იზრდება ფასები პირველად აუცილებელ საქონელზე, პროდუქტებზე, ტანსაცმელზე საცხოვრებელზე და ტრანსპორტზე.

როგორც წესი ტურისტულ რეგიონებში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ფასები მიწაზე. ფასი, რომელიც შეიძლება უცხოელებმა უპრობლემოდ გადაიხადონ შვებულებისას ტურისტულ რეგიონში ცხოვრებისათვის, ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის მკვეთრად ამცირებს მოთხოვნას. ადგილობრივი მცხოვრებლები უბრალოდ გამოიდევნებიან განვითარებული ტურინდუსტრიის რაიონების საცხოვრებელი ბაზრიდან.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი ფლობს მნიშვნელოვან პოტენციალს ეკონომიკური განვითარებისათვის, მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს ტურიზმიდან მოგების ოპტიმიზაციისაკენ (და არა მაქსიმიზაციისათვის) და მხედველობაში მიიღოს ის დანახარჯები, რომელსაც შეუძლია მისი განვითარების შეფერხება. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის ასეთი დანახარჯების სიდიდე ბევრად მეტია ვიდრე განვითარებულისათვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა ქვეყანაში ეკონომიკური გამოსავლიანობის შედეგი შეიძლება შემცირდეს, თუ ტურიზმის სფეროში მაღალია იმპორტული საქონლის და მომსახურების ხვედრითი წონა, და თუ უმეტეს ტურისტულ ობიექტებს ფლობენ და მართავენ უცხოელები, ასეთ დროს მცირდება წმინდა შემოსავალი და ტურიზმიდან უცხოური ვალუტის შემოსვლა, ეს კი, ბუნებრივია უკმაყოფილებას გამოიწვევს შესაბამისი ტურისტული რეგიონის მოსახლეობაში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის ზოგიერთი სახე პრაქტიკულად განწირულია უცხოური ორგანიზაციების მიერ ფლობითა და მართვით. ეს

განსაკუთრებით შეიძლება მოხდეს განვითარების საწყის ეტაპზე, როცა ადგილობრივი კაპიტალი და მმართველობითი პოტენციალი შეზღუდულია.

იმ ქვეყნებში, სადაც წარმოებს ადგილობრივი პროდუქტის მცირე მოცულობა, შეუძლებელი ხდება ტურიზმში იმპორტის წილის შემცირება, თუმცა დასაქმების უზრუნველყოფა და შემოსავლების მიღება ხშირად ამართლებს უცხოურ ინვესტიციებს ტურიზმში.

გარდა ამისა, ეკონომიკურმა დამახინჯებამ შეიძლება მიიღოს გეოგრაფიული ხასიათი, თუ ტურიზმი განვითარდება ქვეყნის ან რეგიონის მხოლოდ ერთ ან რამოდენიმე რაიონში, და თუ არ უზრუნველვყოფთ მის შესაბამის განვითარებას სხვა ადგილებშიც. კიდევ თუ ტურიზმი ეკონომკის სხვა სექტორებიდან მოიზიდავს მეტისმეტად ბევრ მუშაკს მაღალი ანაზღაურების ან მუშაობის უკეთესი პირობების გამო, მოხდება ცვლილებები დასაქმებაში, სწრაფად განვითარებად ტურისტულ ზონაში კი შეიძლება დაიყოს ინფლაცია და ფასების ზრდა მიწაზე, განსაზღვრულ საქონელზე და მომსახურებაზე. ეს კი მძიმე ტვირთად დააწვება ადგილობრივ მოსახლეობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, თითოეული ქვეყნისთვის ტურიზმის განვითარების უპირატესობებია:

- ფულადი ნაკადების ზრდა რეგიონში, მათ შორის უცხოური ვალუტის მოდინება;
- ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდა;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ინფრასრუქტურის განვითარება, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ, როგორც ტურისტებმა ისე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა;
- კაპიტალის მოზიდვა, მათ შორის უცხოურის;
- მიმღებ რეგიონში საგადასახადო მოსაკრებელების ზრდა;
- ტურიზმის ინდუსტრიის თანმდევი დარგების განვითარება.

ტურიზმის განვითარებაში ნაკლოვანებები იმაში მჟღავნდება, რომ ტურიზმი:

- გავლენას ახდენს ადგილობრივი საქონლის და მომსახურები, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების და უძრავი ქონების ფასების ზრდაზე;

- ხელს უწყობს ფულის გადინებას საზღვარგარეთ ტურისტული იმპორტისას;
- იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი განხილვის საგანია კონკურენცია ტურიზმის ბიზნესში, და როგორც ზემოთ თავში აღვნიშნე, ტურიზმში მომხმარებელზე ერთ-ერთი შესათავაზებელი საქონელი არის ტური, მინდა, ზოგადად ვისაუბრო "ტურზე", მის თვითღირებულებაზე. ტურისტული ფირმა, რომელიც ცდილობს დამკვიდრდეს ბაზარზე უნდა იცოდეს, ზოგადად ფასების პოლიტიკა ტურიზმში, რა ფასში უნდა მიაწოდოს მან მომხმარებელს თავისი პროდუქცია. რის მიხედვით უნდა დააწესოს ფასი, მომსახურებაზე ამაზე ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ტური წარმოადგენს სხვადასხვა მომსახურებათა კომპლექსს (განთავსება, კვება, სატრანსპორტო მომსახურება, საყოფაცხოვრებო, ტურისტული, საექსკურსიო და სხვა.), რომელიც გაერთიანებულია მოგზაურობის მთავარი მიზნის საფუძველზე და ტურისტს გაეწევა სხვადასხვა მარშრუტზე და განსაზღვრულ დროს.

გარდა მომსახურებისა, ტურისტებს შეუძლიათ შეიძინონ ტურისტული დანიშნულების საქონელი. მომსახურებისა და ტურისტული დანიშნულის საქონლის ერთობლიობა ქმნის "ტურისტულ პროდუქტს" რომელიც მოიცავს:

- მიზანმიმართულად გაერთიანებულ ტურებს (შემეცნებითი, კულტურული, გამაჯანსაღებელი, საკონგრესო და ა.შ.);
- ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურებას (განთავსება, კვება, სატრანსპორო მომსახურება, და სხვა.);
- ტურისტულ-სასუვენირო დანიშნულების საქონელს (გზამკვლევი, ღია ბარათები, სუვენირები და სხვა.).

ტურისტული მომსახურება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების პირობებში უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვეულებრივი საქონელი, ადამიანის შრომის ნაყოფი (ტურინდუსტრიის მუშაკთა საქმიანობა, ტუროპერატორების, ტურაგენტების და სხვათა საქმიანობა) რომელიც განკუთვნილია გასაცვლელად ან გასაყიდად, როგორც ყველა საქონელი, ტურმომსახურება უნდა ფლობდეს ორ თვისებას:

1. გააჩნდეს სახმარი ღირებულება (ე.ი. იყოს სასარგებლო ტურისტისთვის და შეეძლოს დააკმაყოფილოს მისი განსაზღვრული მოთხოვნილებები;

2. ჰქონდეს საცვლელი ღირებულება (ე.ი. იცვლებოდესგანსაზღვრული პროპორციით სხვა საქონელზე ან მომსახურებაზე).

კონკურნტულ ტურისტულ ბაზარზე ტურმა, როგორც ეკონომიკურმა კატეგორიამ, უნდა უპასუხოს შემდეგ მოთხოვნებს:

- იყოს ობიექტური მოვლენა, რომელსაც საფუძვლად უდევს შეზღუდული ტურისტული რესურსები;
- გამოამჟღავნოს ურთიერთობა ტურისტულ ორგანიზაციასა და ტურმომსახურების კლიენტებს შორის წარმოებაზე, ფორმირებაზე, წინწაწევასა და რეალიზაციას შორის;
- ჰქონდეს აქტიური, მასტიმულირებელი საწყისი, რომელიც გაუღვიძებს ინტერესს, როგორც ტურფირმას, ისე მის კლიენტებს;
- მის ფორმირებაში უნდა მონაწილეობდეს, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური ფაქტორები;
- ფლობდეს სახმარ და საცვლელ ღირებულებას, ე.ი. იყოს საქონელი;
- ჰქონდეს მიზანდასახულობა.

ტურბაზარზე კონკურენციის პირობებში, ტურპაკეტის სრული გაყიდვის და თვის იმიჯის შესანარჩუნებლად ტუროპერატორი ტურაგენტს სარეალიზაციოდ აძლევს მტკიცე, ფიქსირებულ ფასებში ამ შემთხვევაში ტურაგენტი იღებს საკომისიო ჯილდოს ტურპაკეტის ღირებულებიდან ფასდაკლების ფორმით. აღსანიშნავია, რომ

- ფასები ტურიზმის მომსახურების განსაზღვრულ სახეზე (ფოტომომსახურება, დამატებით ექსკურსიები და სხვა), არ შედის ტურპაკეტის ღირებულებაში. ტურისტები უკვეთავენ და დამატებით იხდიან ასეთ მომსახურებაზე თავიანთ გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისად;
- ერთი ადამიანის ტურის ფასი დამოკიდებულია ტურდღეების რაოდენობაზე რაც უფრო ხანგრძლივია ტური ყველა თანაბარ პირობებში მით უფრო ძვირი იქნება მისი ფასი;
- ჯგუფური ტურის დროს, ფასი ერთ ადამიანზე დამოკიდებულია ჯგუფში ტურისტების რიცხოვნობაზე: რაც უფრო მრავალრიცხოვანია ჯგუფი, მით უფრო იაფია ტურის ღირებულება ერთი კაცისათვის;

- ტურის ფასი დამოკიდებული ტურისტების ასაკობრივ შემადგენლობაზე, რადგან ტურიზმის ბევრ მომსახურებაზე (განთავსება, ექსკურსია) ბავშვებს და მოსწავლეებს სთავაზობენ მნიშვნელოვან ფასდაკლებებს. ჩვეულებრივად შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებზე ფასდაკლება 50%-ია, მოსწავლეებისათვის -4 0%.

1.3 საქართველოს ტურიზმი XXI საუკუნის მიჯნაზე და მისი განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები

ტურიზმის, როგორც დარგის განვითარება ხასიათდება განსაზღვრულ ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემით, რომელიც მოიცავს: ტურისტული ნაკადების მოცულობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას და განვითარებას, ტურისტული ფირმების საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მაჩვენებლებს, სახელმწიფო ბიუჯეტში ტურიზმის ხაზით შემოსავლებსა და გასავლებს.

ტურისტული ნაკადი არის ქვეყანასა თუ რეგიონში ტურისტთა მუდმივი შემოდინება, ტურისტული ნაკადების მოცულობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება – ტურისტთა საერთო რაოდენობა, ტურდღეთა რაოდენობა და ქვეყანასა თუ რეგიონში ტურისტთა ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა.

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას და განვითარებას განსაზღვრავს მოცემულ ქვეყანასა თუ რეგიონში მისი სიმძლავრე: განთავსების საშუალებათა საერთო რაოდენობა, სასტუმრო ნომრების საერთო რაოდენობა, საწოლ-ადგილების რაოდენობა, ტურისტთათვის განკუთვნილი კვების საწარმოთა რაოდენობა და მათი ტევადობა და ა. შ.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მაჩვენებლებში მოიაზრება: იმ ტურისტთა რაოდენობა, რომლებიც გადაკვეთენ სახელმწიფო საზღვრებს და მათ მიერ გაწეული ფულადი დახარჯები.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭომ – ბრიუსელში განთავსებულმა ორგანიზაციამ განიხილა Wharton Economic Forecasting Association-ის მიერ განხორციელებული კვლევა. ამ მოხსენებაში გამოითქვა მოსაზრება, რომ

ტოტალური მოთხოვნა მოგზაურობასა და ტურიზმზე 2010 წლისათვის მიაღწევს მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 10%-ზე მეტს. როგორც გამოვლინდა ტურიზმი ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მშპ. ინდუსტრიის მთლიანი მსოფლიო ხარჯების დაახლოებით 31% მოდის ევროპაზე და 30% ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე.

გამოთვლილია, რომ საერთაშორისო მიმოსვლა 2010 წლისათვის მიაღწევს 1 მილიარდ ადამიანს, ხოლო 2020 წლისათვის 1.6 მილიარდს, ანუ სამჯერ მეტს ვიდრე ეს იყო 1992 წელს (475 მილიონი).

National Travel & Tourism Awareness Council-ის ყოველწლიურ მოხსენებაში „The Tourism Work for America Report" აღნიშნულია, რომ მოგზაურობა და ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ მოწინავე ეროვნულ სექტორს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ:

- საერთაშორისო მოგზაურები ყოველწლიურად აშშ-ში ხარჯავენ 72.3 მლრდ აშშ დოლარს მოგზაურობასთან დაკავშირებულ ხარჯებში (სასტუმრო, კვება, გართობა);
- 20.8 მილიონი ადამიანი აშშ-ში პირდაპირაა დასაქმებული ინდუსტრიაში, რაც დასაქმებულთა რაოდენობით მეორე მაჩვენებელია, ჯანდაცვის მომსახურების შემდეგ;
- მოგზაურობა ახდენს გადასახადების გენერირებას 95.6 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით;
- აშშ-ში ჩამოსულ ტურისტთა ხარჯები 21 მლრდ აშშ დოლარით მეტია, ვიდრე ამერიკელთა ხარჯები საზღვარგარეთ მოგზაურობისას;
- ყოველწლიურად საშუალოდ 46 მილიონი საერთაშორისო ტურისტი ჩადის აშშ-ში.

საერთოდ, მოგზაურობა და ტურიზმი მსოფლიოში ქმნის 200 მილიონ სამუშაო ადგილს, რაც WTTC–ს მონაცემებით დაახლოებით შეადგენს მთელი მსოფლიო დასაქმების 7.8%-ს. ყოველი 10 მომუშავიდან ერთის დასაქმებით მოგზაურობა და ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს დამსაქმებელსა და უდიდეს ინდუსტრიას. გათვლებით 2012 წლისათვის დასაქმება ამ სფეროში შეადგენს 249 მილიონ ადამიანს ანუ მსოფლიო დასაქმების 8.6%-ს, რაც შეადგენს ყოველი 11.7-დან 1 სამუშაო ადგილს.

მულტიპლიკატორის ეფექტი. ტურისტები თავის ნამდვილ ხარჯებთან დამატებით აწარმოებენ მეორად ზემოქმედებას. როდესაც ტურისტი ფულს ხარჯავს მოგზაურობისას, სასტუმროში ღამისთევისა ან რესტორანში სადილობისას, ამ ფულს ბიზნესი იყენებს მეტი საქონლის შესაძენად, რითაც გენერირდება შემდგომი მოხმარებისათვის. და ბოლოს, ბიზნესში დასაქმებულნი, რომლებიც ემსახურებიან ტურისტებს თავიანთ ფულს დიდი რაოდენობით ხარჯავენ ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებში – ყიდულობენ საჭირო საქონელსა და მომსახურებას. ეს ჯაჭვური რეაქცია გრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება ე.წ. „გაჟონვა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ფული დაიხარჯება რაიმეს შესაძენად მოცემული ტერიტორიის გარეთ.

განვითარებულ ეკონომიკებს აქვთ მულტიპლიკატორის ეფექტი 1,7-სა და 2,0-ს შორის. ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველად დახარჯული ფული განმეორებით მოიხმარება საზოგადოებაში 1,7-2-ჯერ.

ტურისტული ბიზნესის ზრდის მიზეზები. მოსალოდნელია, რომ ადამიანები კიდევ უფრო მეტს იმოგზაურებენ მომავალ წლებში, რაც იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ტურიზმის ბიზნესზე. ამგვარი ზრდის ზოგიერთ მიზეზს წარმოადგენს:

- სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ აშშ-ში 75 წელი შეადგინა;
- ელასტიური სამუშაო საათები. დღეისათვის უამრავი ადამიანი მუშაობს 10-საათიანი სამუშაო დღით კვირაში ოთხი დღის განმავლობაში და აქვთ უფრო გრძელი დასვენების დღეები (წეეკენდს). თუმცა, ზოგიერთს, განსაკუთრებით ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მომუშავეთ – პირიქით, მუშაობა უწევთ დასვენების დღეებში, ხოლო დასვენება – კვირის სამუშაო დღეებში;
- პენსიაზე ადრე გასვლა. ადამიანებს მიეცათ საშუალება პენსიაზე ადრე გასვლისა – 55 წლის ასაკში, თუმცა იგი ეძლევა ძირითადად კომპანიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მოსამსახურეებს, 30 წლიანი სტაჟის შემთხვევაში;
- მოგზაურობის მნიშვნელოვნად გაადვილება. დღეისათვის გაცილებით ადვილია, რომ იმოგზაურო არდადეგებსა და დასვენების დღეებში როგორც

ბიზნესის, ისე დასვენების მიზნით. მოგზაურობის ყოველი ახალი ფორმა საშუალებას იძლევა ისარგებლო დამატებითი დასვენების დროით;

- ხანმოკლე, უფრო ხშირი მოგზაურობების ტენდენცია. ადამიანებში გაჩნდა ხანმოკლე, მაგრამ უფრო ხშირი, ე.წ. „მინი-შვებულებებით“ სარგებლობის ტენდენცია, მთლიანი შვებულების ერთდროულად გატარების ნაცვლად. საერთოდ ევროპელები სარგებლობენ უფრო გრძელი შვებულებებით, ვიდრე ჩრდილო ამერიკელები. ევროპაში სამსახურში ახლადმიღებული თანამშრომლებისათვის მიღებულია 4-კვირიანი შვებულება, ხოლო რამოდენიმე წლიანი სტაჟის მქონეთათვის – 6-კვირიანი;

- ცხოვრების დონის გაუმჯობესება. განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებმა ბევრმა ადამიანმაც გაიუმჯობესა ცხოვრების დონე, მიაღწია პირადი შემოსავლების ზრდას და გაუჩნდა მოგზაურობის შესაძლებლობა. ასე მაგალითად, ჩინეთი თავისი ახლადშექმნილი საწარმოო ზონებით ქმნის ასობით და ათასობით ახალ მეწარმეს, რომლებიც საჭიროებენ მოგზაურობას საზღვარგარეთის ქვეყნებში. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მილიონობით რეზიდენტს ახლა გაუჩნდათ მოგზაურობის შესაძლებლობა და უფლება. და ბოლოს, სულ მალე, დამატებით 300 მილიონი ადამიანი მსოფლიოში მიაღწევს სრულასაკოვნებას, მოიპოვებს პასპორტს და დაიწყებს მოგზაურობას.

American Express-ის კვლევის შედეგები იუწყება, რომ უფრო და უფრო მეტი ბიზნეს-მოგზაური ატარებს გზაში კვირის ბოლოს და კმაყოფილდება ეკონომიური კლასის სასტუმროებით. კვლევამ გამოავლინა შემდეგი:

- სულ უფრო მეტი კომპანია მოითხოვს თანამშრომლებისაგან, რომ მათ შეიძინონ შეძლებისდაგვარად იაფფასიანი ავია-ბილეთები. ეს ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი ისარგებლებს შედარებით იაფი აეროპორტებით და ტრანზიტული ფრენებით ე.წ. nonstop–ის ნაცვლად;

- თანამშრომელთა 37% რჩება ადგილზე შაბათის ღამის ჩათვლით, რადგან კვირადღის ბილეთების ფასი ნაკლებია;

- ავტომანქანების არენდისას მისი გაბარიტების ლიმიტის დარღვევების გამო 70%-დან 77%-მდე გაიზარდა ჯარიმების რაოდენობა;

- კომპანიების 14% რეგულარულად ახერხებს თავისი თანამშრომლების განთავსებას ეკონომიურ სასტუმროებში, როგორებიცაა მაგალითად: Hampton Inn და Courtyard Marriott.

სამომავლოდ გაიზრდება ე.წ. „უბილეთო მგზავრობისა“ (on-line) და მანქანების არენდის ნავიგაციური სისტემები. ხშირად-მოგზაურებს მერიცან ირლინეს-ი სთავაზობს მთელ რიგ შეღავათებს. ქალი ბიზნეს-მოგზაურების რაოდენობა კვლავ გაიზრდება და თვითმფრინავებს, სასტუმროებს, რესტორნებს, მანქანათა არენდის სააგენტოებს და სხვა დაკავშირებულ ბიზნესებს დასჭირდებათ მზარდი ყურადღების გამოჩენა მათი მოლოდინის გასამართლებლად.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლების რაოდენობა 2016-2017 წლების 12 თვე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური

უცხოელი მოქალაქეების ჩამოსვლის რაოდენობა თვეების მიხედვით 2018



თავი II. შიდა ქართლის ტურისტული რესურსები

2.1 შიდა ქართლის ბუნებრივი რესურსები და კურორტები

ტერიტორიის ფართობი – 6200 კვ.კმ (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშაა 4807 კვ.კმ) ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. გორი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 75კმ.

კლიმატი – მხარის კლიმატი კონტინენტურია, საშუალო წლიური ტემპერატურაა დაახლოებით 11 გრ, შესაძლებელი მაქსიმუმია 42 გრ, ხოლო შესაძლებელია მინიმუმი -32 გრ. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000კვტ/სთ 1 კმ2-ზე) -1000-1500. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500მმ-ია, მაქსიმუმი -760 მმ, მინიმუმი 330მმ.

წყლის ძირითადი არტერიები – მხარის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი, დიდი და პატარა ლიახვი, მეჯუდა, ტანა, ქსანი, თორთლა, თეძამი, ჭარებულა, ლეხურა, სურამელა, ფრონე, ძამა და სხვა. ასევე შიდა ქართლში მოედინება ბუნებრივი სამკურნალო წყლები და სუფთა წყაროს წყლები.

მხარის იმ ნაწილში რასაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, 373 დასახლებული პუნქტია. მათ შორის ქალაქი ოთხი: გორი, ხაშური, კასპი, ქარელი; დაბა ორი: სურამი, აგარა; სოფელი: 366

მოსახლეობის რიცხოვნობა – 384 ათ. კაცი, მათ შორის ქალაქის – 113,5 ათ. კაცი, მოსახლეობის სიმჭიდროვე – 65,4 კაცი კვ. კმ-ზე.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა: ქართველი – 287,7 ათ. კაცი; აზერბაიჯანელი – 5,8 ათ. კაცი; ოსი – 13,4 ათ. კაცი; სომეხი - 3,5 ათ. კაცი; რუსი – 19 ათ. კაცი ებრაელი 0,7 ათ. კაცი; უკრაინელი 0,2 ათ. კაცი; ბერძენი 0,2 ათ. კაცი; აფხაზი - 0,1 ათ. კაცი.

მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში: ქ. გორი - 54.7 ათ,. კაცი; ქ. ხაშური – 29.4 ათ. კაცი; ქარელი -8.4 ათ. კაცი; კასპი-15.8 ათ. კაცი; ახალგორი-2.5 ათ.კაცი (2002 წ); ჯავა - 1.4 ათ კაცი (1989 წ).

გორის რაიონი:

ბიისი – კურორტის ტიპიკლიმატო-ბანლნეოლოგიური მდებარეობს მდ. ტანას მარჯვენა სანაპიროზე ატენის ხეობაში. მიეკუთვნება მთის კურორტების ტიპს. ზღვის დონიდან 1080 მ. სიმაღლეზე. არის მთიანი ზონა, გამოირჩევა ლამაძი ლამდშაფტით, უნიკალური სამკურნალო – მინერალური წყლით. ჰავა და ულამაზესი ბუნება საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა. აქ ადგილი აქვს შერეულ

სამკურნალო ფაქტორს, ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს ჰავა და მინერალური გოგირდოვანი წყალი, რომელიც თვითდინებით მოედინება, გამოიყენება სამკურნალო აბაზანების მისაღებად. აბაზანები სასარგებლოა ისეთი დაავადებების სამკურნალოდ როგორიცაა: ართრეოლოგიური, გინეკოლოგიური და ნერვოლოგიური დაავადებები. მთის ჰავის სასარგებლო კლიმატი მკვეთრ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა , საყრდენ – მამოძრავებელ სისტემისა და რევმატიულ დაავადებებზე. ამჟამად არ არსებობს სამკურნალო დაწესებულება პანსიონატის, დასასვნებელი ბალნეო – სამკურნალო სახლის სახით. ბიისის მახლობლად მდებარეობს სოფლები ბოშური და ბობნევი, რომლებიც აგრეთვე გამოირჩევიან სამკურნალო ჰავით.

გორიჯვარი – მდებარეობს ზღვის დონიდან 650მ. სიმაღლეზე. ქალაქ გორთან ახლოს. შერეული სამკურნალო ფაქტორი – კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი. მიეკუთვნება დაბალი მთის ზონის კურორტს. ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს გოგირდწყალბადიანი, სულფიდური მენერალური წყალი, რომელიც დადებით გავლენას ახდენს და განკურნავს გულ – სისხლძარღვთა სისტემის, ძვალსახსართა, გინეკოლოგიურ და კანის დაავადებებს.

კურორტი „გორიჯვარი" ადრე რესპუბლიკური დანიშნულების ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენდა. მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ჰავა რბილია, იცის მცირეთოვლიანი ზამთარი, იანვრის საშუალო ტემპერატურა – 1-2 გრადუსი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა – 22 გრადუსია. ნალექები დაახლოებით 600მმ-ია წელიწადში. კურორტი „გორიჯვარი" გამოირჩევა უნიკალური სამკურნალო მინერალური სააბაზანე წყლებით, რომლის სამკურნალო თვისებები მრავალგზის აღიარებულია. კურორტზე ხდება შემდეგი დაავადებების მკურნალობა: 1. ქრონიკული ართრიტები: ინფექციური, რევმატიული, ტრავმული და ენდროკრინული წარმოშობის; 2. მსუბუქი წარმოშობის სპონდილოზები და სპონდილოართროზები; 3. მიოკარდიოდისტროფია კომპენსირებულ სტადიაში; 4. კარდიოსკლეროზები: მიოკარდიული და ათეროსკლეროზული წარმოშობის კომპენსირებულ სტადიაში; 5. ჰიპერტონული დაავადებების I სტადია; 6. ანგიონერვოზები; 7. ტრომბოპლებიტები (მწვავე პერიოდის გავლის შემდეგ არა უადრეს სამი თვისა); 8. პერიფერული ნერვიული სისტემების დაავადებები

(ნევრიტები, ნევრელგიები, რადიკულიტები და სხვ.); 9. ნერვიული სისტემის ფუნქციონალური დაავადებები; 10. საშვილოსნოს და მისი დანამატების ქრონიკული ანთებადი პროცესი.

ატენი – ეს არის საკურორტო ზონა პროფილაქტიკურ- კარდიოლოგიური სამედიცინო პროფილით, სოფელი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, ატენის ხეობა მოიცავს მდ. ტანას აუზს, ზღვის დონიდან 720 მეტრზე, საშუალო მთის ზონის კურორტი. აქ არის შერეული ტყე. ბუნებრივი სამკურნალო საშუალებაა განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰავა. მთის ჰავის სასარგებლო სამკურნალო თვისებებია ჰაერის სისუფთავე, მზის რადიაციის ინტენსივობა. ატენის ხეობა ცნობილია აგრეთვე უძველესი ისტორიული ძეგლებით.

ფელი – მაღალი მთის კურორტი, მდებარეობს ზღვის დონიდან 1250 მ-ზე, აქ არის შერეული ტყე (ფოთლოვან - წიწვოვანი), ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი - მაღალი მთის ჰავა, ეფექტურია ასთმით დაავადებულებისათვის, კურორტი გამოიყენება კლიმატური თერაპიისათვის, სხვადასხვა ალერგიული, გულის ფუნქციური დაავადებების, დაბალი არტერიული წნევის სამკურნალოდ.

საყავრე – მთის კურორტი, ზღვის დონიდან 1250 მეტრზე. სამკურნალო ფაქტორი განისაზღვრება განსაკუთრებული თვისებების მქონე ჰავით. დიდი მნიშვნლობა აქვს ამ ჰავის მოქმედებას ბავშვების მკურნალობისა და გაკაჟების მხრივ. კურორტზე მკურნალობა ითვალისწინებს სამკურნალო ეფექტს პროფილაქტიკის მიზნით.

ქარელის რაიონი

აბანო – კურორტი ცნობილია ბუნებრივი სამკურნალო წყლებითა წყაროებით, რომლებიც სულფიდური მინერალური წყლის ტიპს მიეკუთვნება. კურორტი სასარგებლოა გინეკოლოგიური, ნერვოლოგიური, სამედიცინო პროფილით დაავადებულ აბადმყოფთა განსაკურებლად. სოფელი მდებარეობს მდ. ლოპანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 720 მეტრის სიმაღლეზე.

ტბეთი – ბატეთის ტბა მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე ბატეთის წყლის ხეობაში (მდ. ძამის აუზი). განეკუთვნება ალპურ ზონას, ზღვის დონიდან 1250 მეტრზე. პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, ნერვოლოგიური სამედიცინო პროფილე. ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მაღალი

მთის კლიმატი. ტბა გარშემორტყმულია შერეული ტყით. ჰავა გამოირჩევა მკვეთრი მოქმედებით მოზარდთა გაკაჟებისა და პროფილაქტიკის მიზნით.

ტყემლოვანი – კურორტი გამოირჩევა ნახშირმჟავას მინერალური წყლის ტიპით. კურორტი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზე მდ. ტყემლოვანის წყლის ხეობაში (ძამის მარცხენა შენაკადი), ზღვის დონიდან 1030 მეტრის სიმაღლეზე. ამ ზონაში მდებარეობს გუგომის, ტყემლოვანის, ქოზიფას სამონასტრო კომპლექსი, რომელშიც შედის ეკლესიაც. კურორტი გამოირჩევა როგორც განსაკუთრებული თვისებების ჰავით, ისე ბუნებრივი სამკურნალო მინერალური წყლებითა და წყაროებით. ამჟამად არ არსებობს დასასვენებელი შენობა - ნაგებობა.

კასპის რაიონი

ხოვლე – ბალნეოლოგიური კურორტი ართროლოგიური სამედიცინო პროფილით, სულფიდური მინერალური წყლის ტიპი. მდებარეობს ზღვის დონიდან 780 მეტრზე. ბუნებრივი მნიშვნელობის სამკურნალო საშუალებაა გოგირდოვანი წყალი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ფუნქციონირებდა გოგირდოვანი წყლების ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი. სეზონური კურორტია ერთი თვის განმავლობაში.

ახალქალაქი – მდებარეობს ზღვის დონიდან 1040 მეტრზე. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია მაღალი მთის კლიმატი.

გოსტიბე – პროფილაქტიკური, პულმინოლოგიური, ნერვოლოგიური სამედიცინო პროფილით. მდებარეობს ზჭვის დონიდან 1400 მეტრზე. მთის კურორტზე მკურნალობის ძირითადი საშუალებაა სამკურნალო თვისებების მქონე ჰავა.

რკონი – ზღვის დონიდან მდებაარეობს 950 მეტრის სიმაღლეზე, მაღალი ჰაერის გამო სასარგებლოა ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ამიტომ აქ ფუნქციონირებდა ს/ს "კასპიელექტროაპარატის" დასასვენებელი სახლის ხის კოტეჯებით, რომელიც იყო კეთილმოწყობილი. დროთა განმავლობაში კოტეჯები დაზიანდა და საჭიროებს შეკეთებას, იგი ისევ ს/ს "კასპიელექტროაპარატის" განკარგულებაშია.

გარიყულა – ზღვის დონიდან მდებარეობს 470 მეტრის სიმაღლეზე, იგი განსაკუთრებით სასარგებლოა ასთმით დაავადებულთათვის. სწორედ ამ მიზნით, ათეული წლების განმავლობაში სამი თვით ფუნქციონირებდა "პიონერთა ბანაკი", სადაც რესპუბლიკის მასშტაბით ისვენებდნენ ბავშვები.

ხაშურის რაიონი:

დაბა სურამი – კლიმატური ტიპის კურორტი სულფიდური მინერალური წყლებით. მდებარეობს ლიხის ქედის სამხრეთ კალთებზე, ქ, ხაშურის ჩრდ. დასავლეთით 4 კმ-ზე ორი მნიშვნელოვანი გზის გასაყარზე. ზღვის დონიდან 900 – 1000 მეტრზე. სარკინიგზო შტო ხაზით შეერთებულია ხაშურთან. სურამი სამთო – კლიმატური კურორტია. დაბა სურამში მოედინება მდ. სურამელა, რომელიც სათავეს იღებს ლიხის ქედის აღმოსავლეთით. გავრცელებულია ფიჭვნარ – ნაძვნარი სარტყელი. 1948 წელს სურამი გამოცხადდა რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად. იგი გამოირჩევა სამკურნალო მინერალური წყლების არსებობოით. კერძოდ, სამკურნალოდ გამოიყენება ბუნებრივი გოგოირდის მინერალური წყლები. აქ არის ლესია უკრაინკას სახელობის სახლ – მუზეუმი, XI საუკუნის ისტორიული ძეგლი "სურამის ციხე" და ეკლესია.

ქვიშხეთი – კლიმატო – ბალნეოლოგიური კურორტი სულფიდური წყლის ტიპით. მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 730 მეტრზე, რაიონის ცენტრიდან დაშორებულია 10 კმ –ით. იგი სამთო კლიმატური კურორტია, მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შეფენილია ლიხის ქედზე. იგი მთლიანად მოქცეულია წიწვოვან – ნაძვნარ და შერეული ტყის შუაგულში. ქვიშხეთი ოდიდგანვე ცნობილია საკურორტო ზონად. ქვიშხეთში მდებარეობს დ. ყიფიანის სახლ – მუზეუმი. დასვენების პერიოდი თვეების მიხედვით ივნისი, ივლისი, აგვისტოა. მრავლად არის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, ეკლესიები, აქაური კლიმატი განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდებისათვის. მდიდარია წყაროსა და მინერალური წყლებით.

2.2 ისტორიულ კულტურული ძეგლებისა და ობიექტები მიმოხილვა შიდა ქართლში

შიდა ქართლში მრავალი ისტორიული და კულტურული ძეგლია. მთებზე და ხეობებში განლაგებულია მრავალი ქვით ნაშენი ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ტაძრები, ძველი ნასოფლარები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი უფლისციხე, გორის ციხე, ატენის სიონის ტაძარი, ვერის ციხე, გორიჯვარი, ერეკლეს აბანო და სხვ. საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გორის მუნიციპალიტეტში სულ კულტურული მემკვიდრეობის 136 ძეგლია, მათ შორის 53 უშუალოდ ქალაქ გორში მდებარეობს. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ძეგლთა დიდი ნაწილი ეკლესია-მონასტრებს წარმოადგენს და შესაბამისად საპატრიარქოს საკუთრებაშია (საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატის) შესაბამისად). საცხოვრებელი სახლები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ძეგლის სტატუსი, კერძო მფლობელობაშია, ხოლო საფორტიფიკაციო და სხვა სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები კი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

გორის ისტორია. გორი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. მისი სახელწოდებაც მასში აღმართული კლდოვანი გორაკისაგან წარმოდგება, რომელზედაც გაშენებულია ძველი ციხე-სიმაგრე (ძვ. წ. I ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეები). არქეოლოგი მასალები მოწმობენ, რომ აქ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე უნდა არსებულიყო ქალაქური ტიპის დასახლება.

ზოგიერთი ისტორიული წყარო ქალაქის დაარსებას დავით აღმაშენებელს მიაწერს (XII საუკუნის დასაწყისი). დავითმა ქართლისათვის გააძლიერა გორის მნიშვნელობა და მან უფლისციხის ადგილი დაიკავა. მოსახლეობის გაზრდის მიზნით დავითმა აქ ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა ჩაასახლა. გორისამეფო ქალაქი გახდა, მას განაგებდა მეფის მოხელე – ქალაქის მოურავი. გორს საკუთარი ციხის გარდა, ზღუდეც გააჩნდა, რომელშიც დატანებული იყო ალაყაფის კარი, ზღუდეს თავის მხრივ თხრილი ჰქონდა შემოვლებული (სიღმე – 4 მეტრი, სიგანე – 5 მეტრი). XIII საუკუნიდან გორი და მისი ციხე ხდება საცილობელი პუნქტი დამპყრობლებსა და ქართველ მეფეებს შორის, ვინაიდან ქალაქი უმნიშვნელოვანეს

სტრატეგიულ და სავაჭრო გზათა გადაკვეთაზე მდებარეობდა (აბრეშუმის გზა), მისი დაუფლება კი ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას შიდა ქართლზე. XVII საუკუნის მეორე ნახევარში გორი შესამჩნევად გაიზარდა. გიორგი VI-ს მეფობის დროს იგი საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო ქალაქი იყო.

1723-34 წლებში ქალაქი ოსმალების ხელში იყო. მათ დაანგრიეს გორის სასახლე. 1735 წლიდან კი გორს სპარსელები დაეპატრონნენ, ნადირ-შაჰის ბრძანებით გორის ციხე თითქმის დაანგრიეს. XVIII საუკუნის 40-იან წლებში, თეიმურაზ II დროს, გორი დამპყრობელთაგან განთავისუფლდა. იგი მეორე ქალაქი გახდა თბილისის შემდეგ. მშვიდობიანმა ყოფამ თანდათან გამოაცოცხლა გორის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. ქალაქი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფეოდალურ ხანაში იგი შეფენილი იყო გორის ციხის ფერდობებზე. გორის ინტენსიური ზრდა იწყება XIX საუკუნის ბოლოდან. გასული ასწლეულის მანძილზე, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, გორის განვითარება საერთო საბჭოური სივრცის ჩარჩოებში მიმდინარეობდა.

ქალაქ გორშია დაბადებული მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ადამიანი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რამაც გორის ისტორიული მნიშვნელობა გაზარდა. გორში სტალინის დაბადების ფაქტმა და სახლ-მუზეუმის არსებობამ მეტად მიმზიდველი გახადა ქალაქი ტურისტებისათვის.

უფლისციხე. კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი უფლისციხე მდებარეობს გორიდან 12 კმ-ზე მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. იგი გამოკვეთილია კვერნაქის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ადვილად დასამუშავებელ ქვიშაქვის მასივში. ფართობი 9.5 ჰა. უფლისციხე შედგება სამი უბნისაგან და შეიცავს ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური ხანის შიდა ქალაქისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს: ზღუდეს, თხრილს, რამოდენიმე შესასვლელს, გვირაბს, წყალსადენს და წყალსაწრეტი არხების ქსელს. უფლისციხის ჩრდილოეთით, 700-800 მეტრის დაშორებით მდებარეობს დიდი კლდეკარი, რომლის სიმაღლე 10 მეტრს, ხოლო სიგანე 3-4 მეტრს აღწევს. იგი გამოკვეთილია ჩვ. წ. აღ-მდე. VI-V საუკუნეებში და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ძეგლს კავკასიის ამ სახის ძეგლებს შორის. კლდეკარი მონაკვეთია იმ დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზისა, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს კასპიის ზღვის

ქვეყნებთან აკავშირებდა. ქალაქის საკმაოდ შემაღლებულ ადგილას დგას აგურით ნაშენი სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც IX-X საუკუნეებით თარიღდება.

არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი მასალები (აგრარული კულტების სალოცავი, კლდეში ნაკვეთი საწნახელები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი, კევრები, რიტუარული დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის სამკაულები, ქანდაკებები და სხვა), ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე, მრავალფეროვნება და მხატვრული სინატიფე იმაზე მიგვანიშნებს, რომ უფლისციხე უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო. ამასთან, აქ განვითარებული იყო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მევენახეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა და სხვა.

ახალი წ. აღ. IV საუკუნეში იწყება ე.წ. ციხე-ქალაქების წარმოქმნა ფეოდალურ საწყისებზე, რომლებიც კულტურული ცენტრები ხდებოდნენ. უფლისციხეში ამ დროიდან საქალაქო ცხოვრება დაქვეითდა, მაგრამ ფეოდალურ ხანაში იგი მაინც დარჩა უძლიერეს ციხე სიმაგრედ. VIII ს-დან უფლისციხე ქართლის ქალაქებს შორის პირველობდა და საქართველოს არაბებისაგან განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფორპოსტი იყო.

IX-X სს. ციხე-ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ გაბატონებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ქართველი ბაგრატიონები, კახეთის მთავრები და სომხეთის მეფეები. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ უფლისციხემ თანდათან დაკარგა მნიშვნელობა. მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) პერიოდში იგი ძლიერ დაზიანდა. XV საუკუნეში კი უფლისციხე საბოლოოდ დაეცა, ხოლო გვიან ფეოდალურ ხანაში დაიცალა მოსახლეობისაგან.

ნაქალაქარში შემორჩენილია სხვადასხვა დონის კლდეში ნაკვეთი დარბაზები, სათავსები და ცალკეული ნაგებობები. ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები და ნაგებობები გამოირჩევა დიდი ზომებით, გეგმარებისა და არქიტექტურული ფორმების გეომეტრიული სიზუსტით, მორთულობის მაღალმხატვრული შესრულებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთი სამი დიდი ძეგლია დაცული. ესენია: უფლისციხე, ვარძია და გარეჯი. უფლისციხე

დანარჩენი ძეგლებისგან განსხვავებით უნიკალურია სწორედ მისი ანტიკურობით და სიძველით. არქოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ უფლისციხე, როგორც კლდეში ნაკვეთი სამოსახლო, 2 000 წლით ადრე წარმოიქმნა ვიდრე ვარძია და 1 500 წლით ადრე ვიდრე გარეჯი.

როგორც აღვნიშნეთ, უფლისციხე გამოირჩევა თავისი უბადლო არქიტექტურული ბრწყინვალებით, რომელსაც დღემდე აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. აქვე აღსანიშანვია, რომ უფლისციხის მიმართულებით გარდა მუზეუმ-ნაკრძალისა, არსებობს შემდეგი ისტორიულ-კულტურული ობიექტები, რომლებიც ტურისტებისათვის მიმზიდველია და მნიშვნელოვანია უფლისციხის ტურისტული მარშუტის კიდევ უფრო მეტად პოპულარიზაციისათვის: ავკვეთი (ქვახვრელი); ბამბების ნამოსახლარი; კილაანთ ეკლესია; კლდის წყაროს ნამოსახლარი; კლდის ფარეხი; ლალაანთხევის ნამოსახლარი; ლაბეთხევის ნამოსახლარი; სალიზვარის ნამოსახლარი; ღვისმშობლის ეკლესია; ყათლანის ხევის ნამოსახლარი; ყვავის საყდარი ნამოსახლარი და ღვინიაანთ საყდარი (სოფ. ხიდისთავი).

უფლისციხე საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და გააჩნია ძეგლის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ გორიდან ძეგლთან მისასვლელი გზა მთლიანად მოასფალტებულია და გზაზე დადგმულია ძეგლის მიმართულების მაჩვენებელი საგზაო ნიშნები. არის გარე განათება ძეგლამდე მისასვლელ გზაზე, კერძოდ სოფელ უფლისციხიდან სოფელ ქვახვრელამდე, ხოლო სოფ. ქვახვრელიდან უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალამდე არა, ამასთან განათებულია უფლისციხის კომპლექსი. ამავე დროს, გზის პირას მდებარე სახლების, შენობა-ნაგებობების იერსახე საჭიროებს მოწესრიგებას.

ძეგლის ტერიტორიაზე არსებობს საგამოფენო დარბაზი, რომელშიც ინახება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატები, მოწესრიგდა და კეთილმოეწყო ძეგლის შიდა ტერიტორია. საპირფარეშო, ნაგვის ბუნკერები, არის სასმელი წყალი, საზაფხულო კაფე და სუვენირების ჯიხური. ზაფხულობით ტურისტების სიმრავლიდან გამომდინარე ამატებენ თანამშრომლებს,კერძოდ გიდებს. მუზეუმს ყავს დაცვა.

გორი – უფლისციხის მიმართულებით მოძრაობს საზოგადოებრივი-საავტომობილო ტრანსპორტი (მიკროავტობუსები). გორის საავტომობილო სადგურიდან მიკროავტობუსები უფლისციხის მიმართულებით სოფელ ქვახვრელამდე მოძრაობენ ყოველ საათში ერთხელ, დილის 7 სთ-დან საღამოს 18 სთ-მდე, მგზავრობის ღირებულებაა 1 ლარი.

გორის ციხე. არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ ამ ციხის ადგილას ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ძლიერი სიმაგრე ყოფილა და მის გარშემო მოსახლეობა ცხოვრობდა. თუმცა, პირველად ისტორიულ წყაროებში ეს ციხე მხოლოდ VII ს-ში იხსენიება. გორის ციხე ერთ-ერთი უძლიერესი და კარგი კონსტრუქციის ციხეა საქართველოს მასშტაბით.

არქიტექტურული ძეგლი დგას ქალაქის ცენრტში, კლდოვან ბორცვზე. ციხის მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებულ ფეოდალურ ხანას განეკუთვნება, ნაწილი – XVII საუკუნეს შუა ხანებს. ციხე შედგება ორი დიდი მონაკვეთისაგან: ზედა პლატოზე მდებარე ოვალური ციტადელისა და დასავლეთით ფერდობზე ნაგები „ცხრაკარასაგან“. ციტადელის აღმოსავლეთ მონაკვეთში მცირე ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესია თარიღდება XI-XII სს-ით.

ციხე ძირითადად ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. აქა-იქ გამოყენებულია აგურიც. ნაგებობას ეტყობა მრავალჯერ გადაკეთების კვალი. ძირითადი ნაწილი აღგენილია 1632-33 წწ., როსტომ მეფის მიერ. დღევანდელი სახე ციხემ 1765 წელს მიიღო, როცა იგი საფუძვლიანად შეაკეთ მეფე ერეკლე II-მ. ციხის თავდაპირველი შესასვლელი არ ჩანს. XVII-XVIII სს-ებში შესასვლელი სამხრეთ კედლის შუაში იყო. აქ იდგა კოშკი, რისგანაც შემორჩენილია მხოლოდ კამეროვანი ჭიშკარი. ციხეს დასავლეთით ჰქონდა გვირაბი მდინარიდან წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.

ციხე პირველად მოხსენიებულია VII ს-ის ამბებთან დაკავშირებით (ჯუანშერი). იგი ნახსენებია გვიანდელი ფეოდალური ხანის მრავალ წყაროშიც. ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე იყო. მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე.

გორის ციხესთან მისასვლელი გზა მოასფალტებულია და კარგ მდგომარეობაშია. 2007 წელს დაიგო ციხეზე ასასვლელი ქვაფენილი. 2011 წელს

ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა დიდი სამუშაოები, მოწესრიგდა ძველი ქალაქის იერსახე. აქ მაცხოვრებლებს საშუალება მიეცათ გარკვეული შემოსავლის წყაროდ ექციათ საკუთარი საცხოვრებლები. ამ ქუჩაზე ფუნქციონირებს კაფე-ბარები,რესტორნები, ასევე ინგლისური ენის შემსწავლელი სკოლა. იყიდება სუვენირები და ხელნაკეთი ნივთები.

ატენის სიონი. ატენი მდებეარეობს მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით გორიდან 10 კილომეტრის დაშორებით. ადგილი ცნობილია VII ს-დან ატენის სიონის ტაძრის აგების შემდეგ. სოფელი მდებარეობს მდინარე ტანას მარცხენა სანაპიროზე, რომელიც განთქმულია თავისი ულამაზესი ხეობით.

ხეობა უძველესი დროიდანვე ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. იბერიის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ იგი შედიოდა სპასპეტის საგამგებოში და როგორც ჩანს, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს – ხევს წარმოადგენდა. „ტანის ხევი“ სახელით ეს ადმინისტრაციული ერთეული ცნობილია IV-VII საუკუნეებში. ამ დროისათვის „ტანის ხევი“ მოიცავდა არა მხოლოდ საკუთრივ ატენის ხეობას, არამედ თეძამის ხეობასაც. ამ ერთეულის ცენტრი იყო დეკციხე, რომლის ნანგრევები შემორჩენილია თეძამის ზემო დინებაში. ატენის ხეობაზე გადიოდა მაგისტრალური გზა, რომელიც ჯავახეთსა და ზემო ქართლს აკავშირებდა შიდა ქართლთან. ამ გზის არსებობამ განაპირობა ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ატენის ხეობის მჭიდრო დასახლება.

ატენის ხეობის სამეურნეო-კულტურული განვითარებისა და მნიშვნელობის დამადასტურებელია ადრინდელი ფეოდალური ციხესიმაგრეების მნიშვნელობა (ვერის ციხე, ატენის ციხე და სხვა) და ატენის სიონის ტაძრის აგება.

ატენის სიონის ტაძარი გორიდან 12 კილომეტრზე მდებარეობს, მდინარე ტანას მარცხენა ნაპირას, ფრიალო კლდის კედელზე. თარიღდება VII საუკუნის I ნახევრით. ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანია. იმეორებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურას და ფორმებს, თუმცა რამდენადმე შეცვლილი პროპორცია აქვს. ტაძრის გეგმის საფუძველია ჯვარი, რომლის აფსიდიან დაბოლოებებს შორის მოთავსებულია ოთხი საკანი. ჯვრის შიდა მკლავების გადამკვეთ ცენტრალურ სივრცეზე გუმბათია აღმართული.

ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა დროის ქართული ასომთავრული უნიკალური წარწერები და მინაწერები, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან ისტორიული და სხვა პირები, მოცემულია თარიღები და ცნობები. წარწერები საყურადღებოა ენისა და დამწერლობის თვალსაზრისითაც. ისინი მდიდარ მასალას გვაძლევენ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ენისა და პალეოგრაფიის მთელი რიგი საკითხების კვლევისათვის.

ატენის სიონის ინტერიერში, რესტავრაციისას ქვის ზედაპირზე გამოვლინდა უძველესი დეკორის ფრაგმენტები. ტაძრის ინტერიერი მთლიანად მოიხატა XI საუკუნის II ნახევარში. წერის მანერის და ტექნიკური ხერხების მიხედვით გაირჩევა რამდენიმე მხატვრის ხელი. მიუხედავად ამისა, მხატვრობის იკონოგრაფიული და მხატვრული ჩანაფიქრი ერთიანია. მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა ძველ ქართულ ტრადიციას მისდევს და ნაწილობრივ იმითაც განისაზღვრება, რომ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა.

ატენის სიონის ტაძარი საპატრიარქოს მფლობელობაშია და გააჩნია ძეგლის სტატუსი. ძეგლამდე მისასვლელი გზა (12 კილომეტრიანი მონაკვეთი გორიდან ძეგლამდე) მოასფალტებულია და გზაზე დადგმულია ძეგლის მიმართულების მაჩვენებელი საგზაო ნიშნები, თუმცა გზაზე არ არის გარე განათების სისტემა. გორიდან მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტობუსი და მიკროავტობუსი) როგორც გორი ატენის, ისე გორი ბოშურის მიმართულებით.

ატენის ხეობა მდიდარია ისტორიული და კულტურული ძეგლებით (მათი რიცხვი 76-ს შეადგენს). ეს ხეობა განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველია ეკოტურიზმისა და კულტურული ტურიზმის მოყვარულთათვის. აღსანიშნავია, რომ ხეობაში ატენის სიონის ტაძრიდან 5 კმ-ის მანძილზე მდებარეობს სოფ. ბიისი. იგი განთქმულია ბუნებრივი გოგირდოვანი წყლებით, რომელსაც გააჩნია სამკურნალო მნიშვნელობა. აღნიშნული ადგილის შესაბამისი კეთილმოწყობა და ტურისტების ინფორმაციით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ხეობაში სამკურნალო ტურიზმის განვითარებასაც.

ვერეს ციხე. ვერე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მონასტერი და ციხე მდებარეობს მდინარე ვერის ხეობაში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გარდატენის მიდამოებში. შემორჩენილია სამონასტრო ნაგებობათა, გალავნის,

გვიანდელი ხანის სამრეკლოსა და სხვა ნანგრევები. ანსაბლის ცენტრში აღმართულია VII საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა. შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. ინტერიერში ნავები გამოყოფილია სვეტების ორი წყვილით. ჩანს XI საუკუნის კაპიტალური შეკეთების კვალი – განსაკუთრებით ფასადებზე. მონასტრის ქვემოთ, კლდოვან ქედზე IX-X საუკუნეების ციხის ნანგრევებია. ციხე გეგმით წაგრძელებულია, ნაგებია რიყის ქვით. ნაგებობა დაზიანებულია – ფერდობებზე კლდეები შემორჩენილია 4-5 მ სიმაღლეზე. ციხის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეები მთავრდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოშკებით. აღმოსავლეთის კოშკიდან გადარჩენილია მხოლოდ კონტური. ციხის ეზოში, გალავნის სამხრეთ კედელთან დიდი წყალსაცავია.

ციხეს სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობა აქვს. აქედან მოჩანს ტანის ხეობა და გორი მისი მიდამოებით. ვერის ციხე და მისი შემოგარენი თბილისის საამიროში შედიოდა. იგი, ატენის ციხესთან ერთად, მონაწილეობდა ქართლის შემოერთებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. X ს-ის მიწურულიდან ციხე კლდეკარის ერისთავების – ბაღვაშთა გამგებლობაში გადავიდა. XI ს-დან XVI ს. შუახანებამდე ვერეს ციხის მიდამოები საქართველოს სამეფო სახლის განკარგულებაში იყო. XVII-XVIII სს. ციხე თავად ციციშვილთა ხელში გადავიდა და ამ საგვარეულოს მთავარ საყრდენ პუნქტადაც იქცა. 1638 წ. ვერეს ციხეში გამაგრდა როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის თავადთა მეთაური ნოდარ ციციშვილი. როსტომ მეფემ ვერეს ციხე აიღო და გაანადგურა.

სოფელ ატენიდან ვერეს ციხეზე მისასვლელი გზა მიუყვება ვერის ხევს, რაც ძეგლამდე ავტომობილით მისვლას შეუძლებელს ხდის. ძეგლამდე მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ ფეხით ან ცხენით, ასევე მაღალი განმავლობის ავტომობილით.

სტალინის სახლ-მუზეუმი. სტალინის სახლ-მუზეუმი მდებარეობს ქ. გორში სტალინის პროსპექტზე №13-ში. კომპლექსში შედის: სახლი (სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ი.ბ. ჯუღაშვილმა (სტალინმა)), ამ სახლის დამცველი პავილიონი და მუზეუმის შენობა. სტალინის სახლი აღდგა და გაიხსნა 1937 წლის 10 ნოემბერს. ამავე წელს აიგო დამცველი პავილიონიც.

სახლი ერთსართულიანია, ოროთახიანი. ნაგებია აგურითა და ალიზით. შედარებით მოზრდილ ოთახში გამოფენილია მემორიალური ნივთები, ხოლო მეორე ოთახში ფოტოსტენდებია. სახლის ნახევარსარდაფში, სადაც ჩადის აგურის კიბე, ბ. ჯუღაშვილის სახელოსნო იყო გამართული. სახლს შემოუყვება რიყის ქვის ქვაფენილი.

1939 წელს სტალინის სახლის აღმოსავლეთით, მის მახლობლად, ერთსართულიან შენობაში გაიხსნა ი.ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი. 1957 წელს კი სტალინის სახლის ჩრდილოეთით აიგო მუზეუმის ორსართულიანი შენობა. მუზეუმის ექვს დარბაზში გამოფენილია სტალინის (1879-1953 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები. 1985 წელს მუზეუმის ეზოში დადგეს ვაგონი, რომელიც სტალინს ემსახურებოდა. ამჟამად მუზეუმი ექვემდებარება საქართველოს კულტურის სამინისტროს.

გორიჯვარი. გორიჯვარის არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლი დგას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მთაზე, გორიდან 3 კმ-ის მანძილზე. შემორჩენილია XVII საუკუნის გალავანი და დღემდე შეუსწავლელი ნაგებობის ორი სართული.

ცენტრალური გზიდან გორიჯვარზე მისასვლელი გზა 1,5 კილომეტრია. ძეგლის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოწყობილია (ძეგლთან ახლოს არსებობს სამსხვერპლო, სადაც ქართული ტრადიციის თანახმად ადგილობრივი მოსახლეობა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას სწირავს მსხვერპლს. შემდგომში ხდება ტერიტორიის დასუფთავება). ამასთან მოწესრიგებულია პარკირების სისტემაც.

აღსანიშნავია, რომ ძეგლზე დამონტაჟებულია დეკორატიული განათება, რაც ღამით ქალაქიდან კარგ ვიზუალურ ეფექტს ქმნის.

ერეკლეს აბანო. ერეკლეს აბანო მდებარეობს ქალაქ გორის ტერიტორიაზე, რუსთაველის ქუჩა №41-ში. იგი თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. აბანო ნაგებია ნატეხი ქვით, კონსტრუქციის ნაწილები – კედლების კუთხეები, შეისრული თაღები, ნახევარსფერული გუმბათები და სასინათლო ხვრელები აგურითაა ნაწყობი. აბანო ორი სათავსისაგან შედგება. ორივე სათავსს შესასვლელი სამხრეთიდან ცალ-ცალკე აქვს. შენობის აღმოსავლეთ კედელში მოგვიანებით კიდევ ერთი კარი გაუჭრიათ. სათავსები გადახურულია შეისრულ თაღებზე დამყარებული გუმბათებით. შედარებით მოზრდილი აღმოსავლეთ სათავსის

გუმბათში გაჭრილია შვიდი წრიული ხვრელი, ხოლო დასავლეთისაში ოთხი. სათავსებს შორის არსებულ თაღოვან მილში 1 მ. სიმაღლეზე გადამღობი კედელია, რომელშიც გაჭრილია ორი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ხვრელი. ასეთივე ხვრელებია აღმოსავლეთ სათავსის აღმოსავლეთ კედელშიც. აბანოს კედლები შიგნიდან შელესილია.

ქარელის რაიონში ყინწვისის "დიდშუენირად ნაშენი" ეკლესია, მოსახლეობიდან მოშორებით, "მაღალ ზედა", ტყით დაფარულ ტაფობზე მდებარეობს.

სოფელ ყინწვისს გავცდებით თუ არა, თვალთაგან არ გვცილდება მთის კალთებში ჩამჯდარი ეკლესიის გუმბათი, რომელიც, მკაფიო ფორმითა და ქართული აგურის მოვადრიდსფრო ტონით, მწვანე მიდამოსთან მოხდენილადაა შერწყმული. ეს არის შეუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ჯვარ-გუმბათოვანი აღნაგობის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, რომელსაც გიორგი მესამის, თამარის, გიორგი-ლაშას "ჯგუფური" პორტრეტი და სახელგანთქმული "ყინწვისის ანგელოზის" ხატება ამშვენებს.

ამავე სამონასტრო ტერიტორიაზე, ყინწვისის ხევის ნაპირას ღვთისმშობლის ერთნავიანი ბაზილიკის საკურთხეველია შემორჩენილი. ეს მცირე ეკლესია, ჩანს, ყინწვურას ადიდების მსხვერპლი გამხდარა.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მასშტაბურობით მოხიბლულნი მკვლევარნი, ჩანს, სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდნენ ღვთისმშობლის ეკლესიის ნაშთს, თუმცა მას მეტად მნიშვნელოვანი მხატვრობა აქვს შემონახული. 2000 წელს მიტროპოლიტ იობის ლოცვა-კურთხევით კინწვისში დაარსდა მამათა მონასტერი. მონასტრის წინამძღვარია სქიმმღვდელმონაზონი სვიმეონი (ცაკაშვილი). მასთან ერთად მონასტრული ცხოვრების წესს ძამის წმინდა ხეობის ხევისბერი იღუმენი საბა (ჟღენტი), 8 ბერი და 3 მორჩილი ეწევა. მონასტრის ეზოშია დაკრძალული ძამის წმინდა ხეობის პირველი წინამძღვარი აწ განსვენებული არქიმანდრიტი შიო (ხარძეიშვილი).

რკონი: ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში, სოფ. ჩაჩუბეთის მიდამოებში, ნასოფლარ რკონის მახლობლად. გაირჩევა მშენებლობის 3 ძირითადი ფენა, რომლებიც სამონასტრო ცხოვრების პერიოდებს უნდა შეესაბამებოდეს.

ფენას მიეკუთვნება VII საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის ტავდაპირველი ფორმების დადგენა ახლა ძნელია. შედარებით უკეთ არის შემონახული აღმოსავლეთი ფასადი. ინტერიერში მოხატულობის ნაშთია (ძველი და გავითარებული შუა საუკუნე). II ფენა - XIII-XIV საუკუნეების მიჯნა - ღვთისმშობლის ეკლესიის კარიბჭე და სამლოცველო, ნათლისმცემლის ერთნავიანი ეკლესია და სატრაპეზო. III ფენა - XVI-XVIII საუკუნეები - სამრეკლო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. კომპლექსის ტერიტორია 2 მონაკვეთად იყოფა. ერთში განლაგებულია საკულტო ნაგებობანი, მეორეში - საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 1939-1940. თითქმის პირვანდელი სახით არის ჩვენამდე მოღწეული რომლის ერთმალიანი ხიდი (სიგრძე 12,5 მ, სიგანე 2,2 მ), შუა საუკუნის ხიდების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში საქართველოში.

რკონის სამონასტრო კომპლექსსა და ნასოფლარს შორის მდებარეობს რკონის ციხე (XVII ს. შუა წლები), როგორც ჩანს, ფეოდალის რეზიდენცია. მის ტერიტორიაზე გალავნის, კოშკის, სასახლის, ერთნავიანი ეკლესიისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევებია.

2.3 გართობისა და კვების ობიექტები შიდა ქართლში

სასტუმროები

სასტუმრო ინდუსტრიის არსებობა ნებისმიერი ტურისტული რეგიონის ან ცენტრის ეკონომიკის აუცილებელ და მკაცრ მოთხოვნას წარნოადგენს. ისინი მოწოდებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი და მყარი შემოსავლები მიიღონ ტურისტული ნაკადებიდან. სასტუმროს ინდუსტრიას შეადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური განთავსების სხვადასხვა საშუალებები: ოტელები, სასტუმროები, ტურისტული ბანაკები და ასევე კერძო საოჯახო სასტუმროები.

აღსანიშნავია, რომ გორის მუნიციპალიტეტში სასტუმროების თვალსაზრისით მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. ქალაქში არსებობს მხოლოდ 3 კოლექტიური განთავსების სასტუმრო („ვიქტორია", „გორი" და „ინტურისტი") და 15 საოჯახო სასტუმრო ("სავანე", "თამარა", "ძველი გორი", "ფლორა", და აშ.). როგორც ცნობილია, სასტუმროს სფეროში საწოლების რაოდენობა ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომლის მიხედვითაც ხდება ტურისტების მიღების პოტენციალის შეფასება.

ზემოხსენებულ სასატუმროებში ერთობლივად შესაძლებელია მხოლოდ 72 ადამიანის მიღება, მათ შორის სასტუმრო `ვიქტორიას" - 32 ადამიანის (სულ 16 ნომერი), სასტუმრო `გორს" - 20 ადამიანის (8 ნომერი და ერთი ლუქსი) და სასტუმრო `ინტურისტს" - 20 ადამიანის (8 ნომერი და ერთი ლუქსი). რაც შეეხება საოჯახო სასტუროებს აქაც მეტ-ნაკლებადაა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს სრულ და ხარისხიან მომსახურებას. მხოლოდ სასტუმრო `ვიქტორიას" და სასტუმრო `გორს" გააჩნია გათბობისა და კონდიცირების მოწესრიგებული სისტემები, უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ საუზმით და გააჩნია კაფე-ბარი, ასევე საკონფერენციო დარბაზი. რაც შეეხება სასტუმრო `ინტურისტს", აქ მხოლოდ ლუქსის ტიპის ნომერია უზრუნველყოფილი თბილი წყლით, დანარჩენ ნომრებში კი მხოლოდ ცივი წყალია. მომხმარებლებს სასტუმრო ვერ უზრუნველყოფს კვებით.

რაც შეეხება შიდა ქართლის სხვა ქალაქებს: კასპს, ქარელს და ხაშურს, აქ მდგომარეობა სავალალოა. არცერთ ქალაქში არ არის სასტუმრო, გესტჰაუზები. არ არსებობს ტურისტისთვის ღამისგასათევი.

კვების ობიექტები. ეროვნული სამზარეულო ადგილობრივი კულტურის და სტუმართმასპინძლობის შემეცნების ელემენტს წარმოადგენს. გარდა ჩვულებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებებისა, კვება ტურიზმში განიხილება, როგორც გართობის და ადგილობრივი ტრადიციის გაცნობის საშუალება. საზოგადოებრივი კვების სისტემა შედგება რესტორნების, ბარების, კაფეების, სასადილოების და სწრაფი კვების სხვა დაწესებულებებისაგან.

გორის მუნიციპალიტეტში კვების ობიექტების მხრივ კარგი მდგომარეობაა, არსებოებს სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტები, რესტორნები ლუდის ბარები, კაფე-ბარები და სხვა, სადაც შესაძლებელია ქართული მრავალფეროვანი კერძების და ადგილობრივი სასმელების დაგემოვნება, თუმცა ბევრ მათგანში მომსახურების დონე აშკარად გასაუმჯობესებელია: მიმტანებს სჭირდებათ სათანადო ტრენინგი, სპეციალური ფორმები, კერძების გაფორმების მეთოდოლოგია და სხვა.

გართობისა და დასვენების ობიექტები ქალაქში არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები და გასართობი ცენტრები, სადაც დარჩენილ ტურისტს შეუძლია გაერთოს და გაატაროს თავისუფალი დრო. ქალაქში

ფუნქციონირებს გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო აკადემიური თეატრი და კინოთეატრი `გამარჯვება“. ტურისტებისათვის გართობის სხვა საშუალებებიდან აღსანიშნავია ახალგაზრდული ღამის კლუბი `ნეო“, სადაც საღამოობით იმართება დისკოტეკა, კარაოკე და სხვა გასართობი ღონისძიებები. ქალაქში ასევე არსებობს მრავალი სათამაშო კლუბი და ტოტალიზატორი, რომელიც აზარტული ტურისტებისათვის კარგი თავშექცევის ადგილს წარმოადგენს.

კულტურული დაწესებულებები და გასართობი ცენტრები

	დასახელება	მდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია	დამატებითი ინფორმაცია
.	გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო აკადემიური თეატრი		აქვს დარბაზი 500 კაცზე და მცირე დარბაზი 130 კაცზე
.	კინოთეატრი “გამარჯვება”	7-58-46	დარბაზი 580 კაცზე
.	დ. ჩუბინიშვილის სახელობის კულტურისა და ტურიზმის ცენტრი	მშვიდობის გამზირი № 12ა ; 7-21-47	დარბაზი 680 კაცზე
.	ახალგაზრდული კლუბი “ნეო”	გორის სახელმწიფო თეატრის შენობა	ღამის კლუბი, დისკოთეკა
.	სათამაშო კლუბი “ვეგასი”	სტალინის გამზირი № 13	
.	სათამაშო კლუბი “ბაგირა”	სტალინის გამზირი № 13	
.	სათამაშო კლუბი “სამი ტუზი”	სტალინის გამზირი № 19	
.	ტოტალიზატორი “ჯეობეთი””	სტალინის გამზირი № 13	

2.4 ინფრასტრუქტურის მდგომარეობა შიდა ქართლში

გზები და გარე განათება

ქალაქ გორში არსებობს 158 ქუჩა, მათი საერთო სიგრძე 82,7 კმ-ია. აქედან 67,3 კმ. მოასფალტებულია, დანარჩენი მოხრეშილი. აღსანიშნავია, რომ ქალაქ გორში არსებულ ძირითად ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან (სტალინის სახლ-მუზეუმი, გორის ციხე, ერეკლეს აბანო და სხვ.) მისასვლელი გზები მოასფალტებულია და ნორმალურ

მდგომალეობაშია, გორის ციხის ისტორიულ უბანში მდებარე პატარა ძველი ქუჩებიც რეაბილიტირებულია.

ქალაქის ქუჩების 70%-ზე მეტი განათებულია (სულ ქალაქში 2280 გარე განათების წერტილია). ასევე დეკორატიულადაა განათებული გორში მდებარე შემდეგი ისტორიულ-კულტურული ძეგლები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები: გორის ციხე; სტალინის ქ. #14-ში მდებარე საქართველოს ბანკის შენობა; ადმინისტრაციული შენობა; სტალინის ქ. #26-ში მდებარე სასტუმრო „ინტურისტი"; გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა; სტალინის ქ. #15-ში მდებარე ელექტროკავშირის (ფოსტის) შენობა; ღვთიმშობლის შობის სახელობის ეკლესია; დეკორატიული კედელი სუხიშვილის ქუჩაზე; გზაგამტარი თბილისი-ლესელიძის გზატკეცილის 85-ე კმ-ზე.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალიდან ქალაქში შემოსასვლელი სამივე მიმართულება მთლიანად განათებულია.

მუნიციპალიტეტის სოფლებში გზები არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის დამაკავშირებელი მაგისტრალური გზები ძირითადად მოასფალტებულია, თუმცა სოფლების შიდა გზები საჭიროებს რეაბილიტაციას. ამათან, სოფლებში შიდა განათება მოხდა ბოლო წლებში.

გზებზე განლაგებულია საგზაო ტურისტული ნიშნები, რაც მოსახერხებელს ხდის ტურისტებისათვის ისტორიულ და კულტურულ ძეგლამდე მისასვლელად (თუმცა საგზაო-ტურისტული ნიშნების დიზაინი საჭიროებს დახვეწას).

ფასადები, იერსახე და ქალაქდაგეგმარება. ქალაქ გორის არსებული იერსახე და ქალაქგეგმარება ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან უკვე დაიწყო ქალაქის განვითარების გენერალური გეგმების შემუშავება, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ქალაქის დღევანდელი სახე. აღსანიშნავია, რომ ქალაქში არსებული ძირითადი მაგისტრალები, ქუჩები და მოედნები უზრუნველყოფს მოხერხებულ კავშირს ქალაქის რაიონებსა და უბნებს შორის. გარდა ძირითადი მაგისტრალებისა, ქალაქში უამრავი ქუჩაა მიკრორაინების, საცხოვრებელი კვარტლების და საცხოვრებელი სახლების ჯგუფების შემომფარგვლელი. ქალაქი დაყოფილია ფუნქციონალურ ზონებად, ძირითადი სამრეწველო ობიექტები თავმოყრილია მდ. ლიახვის გაღმა რაიონში და მეტნაკლებად გამიჯნულია სამოსახლო ტერიტორიებიდან.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილს (გორის ციხის უბანს) მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს ძველი ისტორიული უბნის იერსახე, სადაც დაცულია შენობების არქიტექტურული სტილი (ძირითადად ეს შეეხება ძეგლის სტატუსის მქონე შენობებს), ვიწრო ქუჩების განლაგება და ძველი უბნის დაგეგმარება. ღამოდენიმე წლის წინ მოხდა წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია. აღსდგა ძველი იერსახით ეს ტერიტორია. ამასთან აქ მაცხოვრებლებს საშუალება მიეცათ გარკვეული საქმიანობის წამოწყების. ქალაქის სხვა ნაწილები შედარებით ახალი განაშენიანებისაა და სტანდარტულ ურბანულ იერსახეს იმეორებს.

ბოლო წლების განმავლობაში ქალაქში მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების ფასადების შეკეთება-შეღებვა მაგ. გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2007 წელს ქ. გორში მოხდა 30 კორპუსის ფასადის შეღებვა.

მუნიციპალიტეტის განვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ არ არსებობს მუნიციპალიტეტის (მათ შორის ქალაქის დასახლების) განვითარების გენერალური გეგმა.

ტროტუარები, სკვერები, პარკები და ბულვარები. ქალაქ გორში კარგად არის მოწესრიგებული ცენტრალურ და სხვა ძირითად ქუჩებზე მდებარე ტროტუარები. ეტაპობრივად ხდება ამ ტროტუარებზე ასფალტის საფარის ნაცვლად დეკორატიული ფილების დაგება. ქალაქ გორში აღრიცხულია 31 სკვერი და გაზონი. საერთო ფართობით 75,4 ათასი კვ.მ. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფა სახსრები აღნიშნული სკვერებისა და გაზონების მოვლა – პატრონობისათვის (კერძოდ ხდება მათი დასუფთავება, დაბარვა, გათოხვნა, გაზონების გაკრეჭვა, მორწყვა ცისტერნებით ან სპეციალური ონკანებით და ა.შ.). გორში მდებარე სკვერებისა და პარკების დიდი ნაწილი კეთილმოწყობილია და განათებულია, თუმცა ქალაქში არსებული სხვა პატარა სკვერების სათანადო მოწყობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება მოსახლეობისათვის და ტურისტებისათვის დამატებითი დასასვენებელი ადგილის შექმნა.

ქალაქ გორში არსებული სკვერები და გაზონები

#	სკვერები და გაზონები	ფართობი კვ.მ.
1.	9 აპრილის სახელობის სკვერი	160

2.	შოთა რუსთაველის სახელობის სკვერი	125
3.	ცენტრალური შადრევნის სკვერი	1 700
4.	დიდების მუზეუმის და „შიოს“ სკვერები	415
5.	თეატრის სკვერი	4 545
6.	მწვანე ზოლი ჭავჭავაძის ქუჩაზე თეატრის წინ	440
7.	ნ. ბარათაშვილის სახელობის სკვერი	1 095
8.	მწვანე ზოლი სუხიშვილის ქუჩაზე	11 025
9.	გაზონი სტალინის მოედანზე	680
10.	გაზონები სტალინის ქუჩაზე	2 975
11.	გაზონი სამხატვრო სკოლასთან	360
12.	გაზონი დავით აღმაშენებლის გამზირზე	8 600
13.	გორის ციხი მიმდებარე ტერიტორია	1 000
14.	„ლომჭაბუკის“ სკვერი	12 075
15.	სამების ეკლესიის და სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია	2 000
16.	მწვანე ზოლი მამარდაშვილის ძეგლთან	160
17.	თბილისის ქუჩის გაზონები	1 530
18.	სკვერი სტალინის #29 და 31 ბინებთან	175
19.	ჭავჭავაძის ქუჩის გაზონები	1 675
20.	გორის უნივერსიტეტის წინამდებარე სკვერი	920
21.	ცაბაძის სახ. შკვერი	20
22.	ოქონის ნიშის სკვერი	1 350
23.	ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამდებარე სკვერი	1 800
24.	სკვერი დ. ამილახვრის ქუჩაზე, მე-3 სკოლასთან	1 520
25.	გაზონები, 2 სკვერი, მწვანე ზოლი მშვიდობის ქ.	8 755
26.	კვერნაქის სკვერი	180
27.	მუნიციპალიტეტის ეზო	1 000
28.	გაზონები შინდისის გზატკეცილზე	7 270
29.	26 მაისის სახ. სანაპიროზე არსებული წრე	175
30.	ბაზრის სკვერი გურამიშვილის ქუჩაზე	1 685
	სულ:	75 410

წყალმომარაგება და გაზმომარაგება

ქალაქ გორში წყალმომარაგება უზრუნველყოფილია 100%-ით. საკანალიზაციო ქსელი ქალაქის 96%-ს ფარავს. საკანილაზაციო ქსელი არ არსებობს მხოლოდ ერთ უბანში (ე.წ. სადგურის დასახლება), რომლის მოსახლეობა დაახლოებით 3 000 კაცას შეადგენს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ უბანში არ არსებობს არც ერთი ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტი).

წყლის მაგისტრალის საერთო სიგრძე – სათავე ნაგებობიდან ქალაქის ქსელის ჩათვლით 79.7 კმ (სათავიდან ქალაქის მაგისტრალამდე 24.5 კმ);

კანალიზაციის ქსელის საერთო სიგრძე – 41.0 კმ., აქედან სადრენაჟე კოლექტორის სირძე 3.1 კმ., ხოლო 37.9 კმ. ქუჩების საკანალიზაციო ქსელი.

გაზიფიცირებულია ქ. გორის დაახლოებით 98%. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაზიფიცირება მომხდარია 24 სოფელში. აღსანიშნავია, რომ უფლისციხესა და ატენში არ არსებობს გაზიფიცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ანუ არ არსებობს ცენტრალური მაგისტრალი). თუნცა უახლოეს მომავალში აღნიშნული მიმართულებებით (გორის მუნიციპალიტეტის მიერ და გაზის სადისტრიბუციო კომპანიის მიერ) იგეგმება გაზიფიცირებისათვის საჭირო ინფრასტუქტურის შექმნა. გაზი არ არის ასევე ქალაქიდან 1 კმ.-ით დაშორებულ ბალნეოლოგიურ კურორტ „გორიჯვარშიც“, რომლის ფუნქციონირებისთვისაც გაზით უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

კომუნიკაცია. გორის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია საქართველოში არსებული თითქმის ყველა ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის კერძო კომპანია. მათ მიერ ხდება გორის მუნიციპალიტეტის 90%-ზე მეტის დაფარვა, განსაკუთრებით გამოირჩევა მაგთიკომი, ჯეოსელი და ბილაინის მობილური კავშირი.

უკაბელო კავშირის მიმართულებით ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა ”სილქნეტი”, რომელმაც დაიწყო უკაბელო ტელეფონებისა და ტერმინალების დადგმა მუნიციპალიტეტის მთელი მასშტაბით (მ.შ. სოფლებშიც). აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიას ეკუთვნის ქ. გორში არსებული საკაბელო სატელეფონი კავშირის ქსელი და მის მომსახურებასაც ეწევა, ხოლო ქალაქის საკაბელო ქსელიდან სოფლებში დადგმულ კომპანიის კუთვნილ უკაბელო ტელეფონებზე კავშირი უფასოა, რაც ძალიან ხელსაყრელია სოფლის მოსახლეობისათვის, როგორც ეკონომიური ისე სწრაფი დაკავშირების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ „გაერთიანებული ტელეკომის“ უკაბელო ტელეფონი გადასატანია, შესაძლებელია მისი წაღება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ასევე ამ ტელეფონიდან შესაძლებელია ე.წ. „დაილ-აფის“ სისტემით ინტერნეტში ჩართვა. აღნიშნული კომპანიის სიხშირე ფარავს ტანას

ხეობის 55%-ზე მეტს. უახლოესი 2 წლის განმავლობაში კომპანია აპირებს აღნიშნული ხეობა დაფაროს სრული მასშტაბით.

ტანას ხეობის 80%-ს ფარავს ასევე მაგთიკომისა და ჯეოსელის მობილური კავშირის სიხშირეები. აღნიშნული კომპანიების მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია მომხმარებელმა ისარგებლოს ინტერნეტით. მობილური ტელეფონებით კომპიუტერზე ინტერნეტის ჩართვა მოითხოვს ე.წ. „მესამე თაობის“ სიხშირის დაფარვას.

რაც შეეხება საფოსტო მომსახურებას, გორის მუნიციპალიტეტს ემსახურება შპს „საქართველოს ფოსტის“ გორის ფილიალი, რომელიც ეწევა 5 სხვადასხვა სახის მომსახურეობას.

ფოსტის შენობაში ასევე ხდება ღია ბარათების, მარკებისა და კონვერტების რეალიზაცია. აღნიშნული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ გორის ფილიალის საოპერაციო დარბაზის პირველ სართულზე. ინფორმაცია საფოსტო მომსახურების შესახებ თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული და ყველასთვისაა ხელმისაწვდომი, მაგრამ არის მხოლოდ ქართულ ენაზე. ასევე ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ფოსტის კლიენტებთან მომსახურე პერსონალი არ ფლობს უცხო ენას და ამ მხრივ, გარკვეული შეფერხებები იქმნება ტურისტებთან მომსახურეობის კუთხით.

საქართველოს ფოსტის პირველივე სართულზე განლაგებულია კაბინები, საიდანაც სპეციალური შეკვეთის შემდეგ სატელეფონი კავშირით შეიძლება დაკავშირება მოხდეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან. აღნიშნულ მოსახურებას ეწევა „გაერთიანებული ტელეკომი“.

უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ქალაქში, არც რომელიმე ტურისტულ ობიექტთან და არც სხვა თვალსაჩინო ადგილას არ დგას არც ერთი სატელეფონი ჯიხური, რომლიდანაც სპეციალური ელექტრონული ბარათით მოხდებოდა საერთაშორისო სატელფონო კავშირის განხორციელება.

ნარჩენების გატანა. ქალაქ გორის მასშტაბით განთავსებულია 600-ზე მეტი სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნები. 2008 წლის დასაწყისში ქალაქის მასშტაბით, როგორც ცენტრალურ ისე გარეუბნებში გამოიცვალა საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ურნები. ახალი ურნები ვიზუალურად

უფრო შეესაბამება თანამედროვე ქალაქის იერსახეს. ქ. გორში არსებულ ტურისტული მნიშვნელობის ობიექტებთან აღნიშნული ურნები საკმაო რაოდენობისაა და ამ მხრივ არ იქმნება დანაგვიანების პრობლემა. თვითონ ქალაქიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვება-გატანა ხდება ყოველდღიურად, ქალაქის ცენტრალურ უბნებსა და ტურისტული მნიშვნელობის ობიექტებთან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება დილით ადრე, ხოლო გარეუბნებში შუადღისას, რაც გარკვეულწილად დისკომფორტს ქმნის როგოც მოსახლეობის, ასევე ტურისტებისათვის. ქალაქს ემსახურება 9 ერთეული ნაგავმზიდი და 30-მდე მეეზოვე, რომლებიც ზრუნავენ ქალაქის ცენტრალურ უბნებსა და ტურისტული მნიშვნელობის ობიექტებთან დაგვა-დასუფთავებაზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. ქ. გორის მოსახლეობა ბოლო აღწერის მონაცემებით შეადგენს დაახლოებით 49 500 კაცს. საშუალოდ 1 სულ მოსახლე აგროვებს 0.1 კუბ.მ. საყოფაცხოვრებო ნარჩენს თვეში. მთლიანად თვეში გროვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენები 4950 კუბ.მ.-ის მოცულობით (49500 X 0.1 = 4950 კუბ.მ.); გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად 2008 წელს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მოსაკრებელი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს თვეში 60 თეთრს. უნდა აღინიშნოს, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ქალაქ გორის ტერიტორიიდან და შესაბამისად მოსაკრებლი ვრცელდება მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე. რაც შეეხება სოფლებს, იქ ნარჩენების გატანა ხდება და თუმცა მოსაკრებელი არ იხდევინება.

ორგანიზაციებიდან ნარჩენების გატანა. ამჟამად ქალაქში აღწერილია 730 სხვადასხვა ორგანიზაცია. მათ მიერ დაგროვილი ნარჩენების საშუალოთვიური რაოდენობა შეადგენს 2750 კუბ.მ.-ს. მოსაკრებლის განაკვეთი ნარჩენების გატანაზე ორგანიზაციებისათვის დიფერენცირებულია და დამოკიდებულია მათ მიერ გამოყოფილი ნარჩენების სახეობასა და რაოდენობაზე.

მთლიანად ქალაქში მოსახლეობასა და წარმოება–დაწესებულებებში 1 თვეში გროვდება 7700 კუბ.მ. ნარჩენი. (4950 + 2750 = 7700).

ნაგავსაყრელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილია 5000 კვ.მ ფართის მქონე ადგილი ნაგავსაყრელისათვის. იგი ქალაქიდან დაშორებულია 7 კმ-

ს მანძილზე. ნაგავსაყრელი შემოღობილია და თვეში 2-ჯერ ხდება განთავსებული ნარჩენების კომპოსტირება. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, ნაგავსაყრელი ნორმალურ მდგომარეობაშია და არ არსებობს ეპიდემიის გავრცელების საშიშროება.

ბანკები და ბანკომატები. ქ. გორში საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს საბანკო მომსახურების სფერო. ქალაქში წარმოდგენილია საქართველოს მასშტაბით არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ბანკის ფილიალი, სადაც ყველა სახის საბანკო მომსახურების მიღებაა შესაძლებელი. ქალაქში განთავსებულია შემდეგი ბანკები თავისი ბანკომატებით:

- სს „საქართველოს ბანკი“ – 4 ფილიალი;
- სს „პროკრედიტ ბანკი“ – 1 ფილიალი;
- სს „თი-ბი-სი ბანკი“ – 1 ფილიალი;
- სს „ბაზის ბანკი“ – 1 ფილიალი;
- სს „ლიბერთი ბანკი“ – 3 ფილიალი;
- სს „ქართუ ბანკი“ – 1 ფილიალი;
- სს „ვი-თი-ბი ბანკი“ – 1 ფილიალი;
- სს „ბანკი რესპუბლიკა“ – 1 ფილიალი;
- სს ”ტერა ბანკი” – 1 ფილიალი;

ბანკები და ბანკომატები ქალაქში განფენილობის მიხედვით მოსახლეობისა და ტურისტებისთვის ხელსაყრელ ადგილებზეა განლაგებული.

საავადმყოფოები. გორის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას ემსახურება საავადმყოფო-პოლიკლინიკური, პოლიკლინიკურ-ამბოლატორიული გაერთიანებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები და სამედიცინო-სასწრაფო დახმარება 112. აგრეთვე არსებობს კერძო სამედიცინო დაწესებულებები და სამხედრო ჰოსპიტალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედოცინო ამბოლატორიები მდებარეობს როგორც ატენის (სოფ. ატენში), ასევე უფლისციხის (სოფ. ქვახვრელში) სამარშუტო გზაზე. აღნიშნული სამედიცინო პუნქტების არსებობა მნიშვნელოვანია ტურისტებისათვის დროული და ოპერატიული პირველადი სამედიცინო მომსახურების გასაწევად, ვინაიდან სწორედ ამ სოფლებზე გადის ძირითადი ტურისტული მარშუტები. შესაძლებლობებს იძლევა ტურისტებისათვის.

გორის მუნიციპალიტეტში არსებობს ჯანდაცვის შემდეგი ობიექტები:

1. სამხედრო ჰოსპიტალი;
2. გორის ქალაქის საავადმყოფო „გორმედი“;
3. გორის ბავშვთა საავადმყოფო „იავნანა“;
4. სამშობიარო სახლი „ჯუმბერ გოგიაშვილის კლინიკა“;
5. გორის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი „ფსიქია“;
6. გორის რეგიონული ონკოლოგიური დისპანსერი ”ბერაბუა”;
7. გორის ბავშვთა პოლიკლინიკა ჯანმრთელი მომავალი;
8. გორის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერი;
9. გორის ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერი;
10. გორის ცენტრალური საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება;
12. შპს „ტყვიავის საავადმყოფო“;
13. შპს „შინდისის საავადმყოფო“;
14. შპს „ნიქოზის საავადმყოფო-ამბულატორია“;

და სხვა;

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო დაწესებულებები როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ასევე მედპერსონალის კვალიფიკაციით სრულიად აკმაყოფილებს სამედიცინო მომსახურების თანამედროვე სტანდარტებს.

რაც შეეხება საავადმყოფოების რაოდენობას მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში, ნორმალური სიტუაციაა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტში. ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტი ამბულატორიების მწვავე დეფიციტს განიცდის.

განათლება. შიდა ქართლში ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობს; ესენია გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტი, ეროვნული თავდაცვის აკადემია. შვიდი პროფესიული სასწავლებელი, 172 საჯარო სკოლა, 6 სამუსიკო სკოლა, 100-მდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

მაგალითისთვის გორის სასწავლო უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ერთ-ერთი მიმართულება ტურიზმია. ასევე სხვა სასწავლებლებშიცაა დანერგილი ტურიზმის სწავლება,

თუმცა ხარისხი გასაუმჯობესებელია. ამისათვის მეტი ჩართულობაა საჭირო არა მხოლოდ შიდა პერსონალის კუთხით, არამედ გარე კუთხითაც. შესაძლოა ამ კუთხით გაცნობიერებული ადამიანების, ექსპერების მონაწილეობა სალექციო საათში. ასევე კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი წარჩინებულ სტუდენტებს გააგზავნის საზღვარგარეთ, ტურიზმისადმი იქ არსებული მიდგომების გასაცნობად, და შემდეგ ჩვენი რეალობის გათვალისწინებით აქ დასამკვიდრებლად.

ეკონომიკა. რაც შეეხება შიდა ქართლის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მის განივთარებას სხვადასხვა მიმართულებით განიხილავთ. როგორიცაა დასაქმება, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა (ბრუნვის მოცულობა, დამატებული ღირებულების მოცულობა, შუალედური მოხმარება, ძირითადი აქტივები), მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები.

დასაქმების მიხედვით 2012 წელს დასაქმებული იყო 13.8ათასი კაცი, ხოლო 2014წელს 15.3ათასი კაცი. რაც საქართველოში მთლიანად დასაქმებულთა მასშტაბით არის შესაბამისად 2.6% და 2.6%. ხოლო ანაზღაურებას თუ შევხედავთ, იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს ეს მაჩვენებელი 507.8 ლარია, ხოლო 2011 წელს დასაქმებულთა თვიური ანაზღაურება 25.6%-ით გაიზარდა და 304.1 ლარი შეადგინა, 2012 წელს 667.7 ლარია,ხოლო 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 13%-ით შემცირდა, 2014 წელს კვლავ მოიმატა (32%)-ით და 768.0 ლარი შეადგინა.

გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2012 წელს იყო 661.9 ათასი რაც მთლიანი პროდუქციის 2.9%-ია, 2013 წელს იყო კლება, 570.2ათასი და შესაბამისად მთლიანი მოცულობის 2.4% შეადგინა, ხოლო 2014 წელს წინა წელთან შედარებით 20%-ანი ზრდა დაფიქსირდა და 686.3ათასი შეადგინა, რაც მთლიანი პროდუქციის 2.6იყო.

ძირითადი აქტივების მოცულობა საქართველოში სულ: 2012წელს-18625.8, 2013 წელს-20346.4, ხოლო 2014 წელს-23183.8 დაფიქსირდა. ხოლო შიდა ქართლის რეგიონის მიხედვით 2012 წელს - 243,5, 2013 წელს - 279,7, 2014-296,3. რაც მთლიანი აქტივების 1.3%,1.4% და 1.3%-ია.

მრეწველობის ძირითადი მაჩვენებელები შიდა ქართლის რეგიონში 2010-2014 წლებში, როგორც დასაქმებულთა საშუალო წლიური მაჩვენებლით, ისე პროდუქციის გამოშვების მოცულობით, არათანაბარი ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს 4.1 ათასი კაცი იყო დასაქმებული და პროდუქციის ფასი 244.5 მლნ ლარი. შემდგომი 2011 წელი-5.6 ათასი კაცი და 463.4 მლნ ლარი, 2012-5.1 ათასი და 487.6 მლნ ლარი, რაც შეეხება 2013 წელს აქ შედარებით კლება იყო, 4.6 ათასი კაცი და 420.3 მლნ ლარი, ხოლო 2014 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 5.0 ათასი კაცია და 482.0 მლნ ლარი. რაც შეეხება მთლიანად ქვეყნის მასტაბით იგივე მაჩვენებლებს, აქ დასაქმებულთა რაოდენობა ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, იგივე ითქმის პროდუქციის გამოშვებაზეც.

თავი III. ტურიზმის განვითარების ტენდენციები შიდა

ქართლში

3.1 ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები

როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე შიდა ქართლში, აუცილებელია განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორებსაც გადავხედოთ. გასაგები რომ იყოს შიდა ქართლის ტურიზმის განვითარებისთვის არსებული პრობლემები, მოვახდინეთ რეგიონის, როგორც ერთიანი რგოლის SWOT ანალიზი. განვსაზღვრეთ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. შესაძლებლობა მოგვეცა მოგვეხდინა რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების ფორმულირება. აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება არსებული საფრთხეებისა და სუსტი მხარეების გასანეიტრალებლად. მოიცავს მთლიანად რეგიონს, მასში შემავალ ოთხ ქალაქს: გორი, კასპი, ხაშური, ქარელი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში რეგიონის SWOT ანალიზი ძირითადად ტურიზმის თვალსაზრისით.

ძლიერი მხარე – **S**	სუსტი მხარე – **W**
✓ შიდა ქართლის რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა (შიდა ქართლი ერთგვარი დამაკავშირებელი მდებარეობით გამოირჩევა დედაქალაქსა და დასავლეთს შორის, ასევე მის სიახლოვეს გადის მთავარი მაგისტრალი); ✓ კულტურული და ისტორიული ძეგლების სიმრავლე რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში, რომელთაც ეროვნული მნიშვნელობა აქვთ; ✓ რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება: მდინარეები, ლანდშაფტები, ტბები, მათ შორის ქარელში ხელოვნური ტბები (ბებნისი, ოქროსოფლის), ხეობები, (ატენის, ძამის, რკონის, ხვედურულას- ამჟამად აუთვისებელია); ✓ ბიო-მრავალფეროვნება, თერმული წყლები, გოგირდოვანი წყლები (ახალსოფელში და აშ), ნაყოფიერი ნიადაგი; ✓ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არსებობა ქალაქ გორში; რომელიც კომპეტენტური, გადამზადებული კადრითაა დაკომპლექტებული; ✓ მსოფლიოსთვის საინტერესო ადამიანის,	✓ კონფლიქტურ ზონასთან სიახლოვე (ცხინვალიდან გორამდე 28 კმ-ია, ასევე კასპი-ახალგორის სიახლოვე); ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირე გორში, და ქარელი,კასპი, ხაშურში სასტუმროებისი არ არსებობა; მომსახურების დაბალი ხარისხი, კვების არადამაკმაყოფილებელი სტანდარტები; ✓ ტურისტული მარშრუტების და კვალიფიციური კადრების სიმცირე (შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გიდების არასაკმარისი რაოდენობა); ✓ ტურიზმის საინფორმაციო, ან ნებისმირი სხვა სახით, ცენტრის/სააგენტოს არ არსებობა კასპი, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტში; ✓ ქალაქების განვითარების გენერალური გეგმის არარსებობა; განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა კასპი, ქარელსა და ხაშურში;

სტალინის დაბადების ადგილის გორში არსებობა, ასევე მისი სახელობის სახლ-მუზეუმი; ✓ რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა მაღალ დონეზეა განვითარებული: მებაღეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეთევზეობა, მემარცვლეობა; ✓ მაღალ დონეზეა ღვინის კულტურა, ატენის ღვინის მარანი; ✓ მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; ✓ მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა და კეთილგანწყობა; ✓ განათლება-რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულებები იძლევა შესაძლებლობას მოხდეს კადრების გადამზადება ტურიზმის მიმართულებით. ასევე გორის სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამისი მიმართულების არსებობა.	✓ საპროექტო-სამშენებლო ნორმატივების არ არსებობა და შეუსაბამო მშენებლობები; ✓ მცირე ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების არსებობა რეგიონში; ✓ შიდა გზების მოწესრიგება; ელემენტარული კომუნიკაციების არსებობა.
შესაძლებლობები – **O** ✓ შიდა ქართლში სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება,რაც ეხება ოთხივე ქალაქს, ესაა გეოგრაფიული მდებარეობა, ასვე ყველა მათგანი გამოირჩევა ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით და რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნებით. ეს კი იძლევა შესაძლებლობას ტურიზმი წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: სათავგადასავლო ტურიზმი, ეკო ტურიზმი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, კულტურულ-დასასვენებელი ტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, აგრო ტურიზმი, პილიგრიმული (მომლოცველობითი და რელიგიური) ტურიზმი და სხვა); ✓ პირველ ეტაპზე გორის	საფრთხეები – **T** ✓ შიდა ქართლში კონფლიქტის განახლებს საშიშროება; მავრთულხლართების არსებობა; ე.წ საზღვრების დარღვევისას დაკავებები; ✓ ტურისტთა დიდი ნაკადების არსებობის შემთხვევაში ეკოლოგიური ბალანის დარღვევა, გარემოს დაბინძურება; ✓ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დეგრადაცია და დაკარგვა; ✓ ისტორიულ უბნებში არასწორი მშენებლობები; არასწორი რესტავრაციები(დაბალკვალიფიციური პირების მოაწილეობა); ✓ ტურიზმის ცალკეული სეგმენტების არათანმიმდევრული, ქაოტური განვითარება; ✓ ტურისტული მარშრუტების შედგენისას არსებული ფულადი

ტურისტული მარშრუტის ცენტრად ჩამოყალიბება; ტერიტორიული მდებარეობა იძლევა შესაძლებლობას ქალაქ გორიდან მოხდეს ტურისტული მარშრუტების გაშლა ქარელის, კასპის და ხაშურის მიმართულებით, ტანას ხეობიდან შესაძლებელია ბორჯომი-ბაკურიანისა და წალკის ტურისტულ ზონებთან დაკავშირება;ასევე ატენის ხეობიდან ძამის ხეობაში დაკავშირება; - უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების დაიტერესება, რეგიონში ტურიზმის პოპულარიზაციის გზით; - ადგილობრივი წვრილი სამეწარმეო საქმიანობის განვითარება (ხელთნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოება-რეალიზება); - შიდა ქართლში: კასპის, ქარელის, ხაშურის, გორის ეკონომიკური განვითარება, დასაქმება როგორც ტურიზმის, ისე მასთან დაკავშირებულ საქმიანობებში, პირდაპირ ან ირიბად, გამოიწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.	რესურსების არათანაბარი განაწილება; ეკონომიკური განვითარების უთანასწორობა და შესაბამისად ზოგიერთ მუნიციპალიტეტში პერიფერიების იზოლაცია; (ანუ ხარჯების განაწილებისას, მოხდება ზოგიერთი სოფლების, ტერიტორიების ყურადღების მიღმა დარჩენა, მისი ტურისტული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც არათანაბარ ზრდას გამოიწვევს).

ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა, რაც შიდა ქართლის ქალაქებში ჩატარდა, დაგვანახვა ის რეალობა რაც რეგიონშია. უზარმაზარი რესურსი არსებობს, რომ ტურიზმის განვითარდეს და ამის გვერდით, არსებობს პრობლემები, ხელისშემშლელი ფაქტორები საჭიროა ქმედითი, თანმიმდევრული ნაბიჯების გადაგმა.

ყველაზე, მკვეთრად გამოხატული ხელის შემშლელი ფაქტორი შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებისათვის არის კონფლიქტური სიტუაცია. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რეგიონში ტურიზმის განვითარების მხრივ გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები ტურისტების შემოსვლის თვალსაზრისით. თუმცა რაოდენობრივი მატება ბოლო წლებში თვალსაჩინოა, რაც დაკვირვების საფუძველზე აღმოჩნდა. რეგიონი გახდა კონფლიქტის უშუალო მოსაზღვრე მხარე, მათი მხრიდან

გამუდმებით ხდება საზღვრების გადმოწევა, ისინი ქართულ მიწაზე ავლებენ მავრთულხლართებს, ე.წ საზღვრის მოსანიშნად. შეიძლება ითქვას რომ შიდა ქართლში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის მხრიდან გვიტევენ, გორის, კასპის, ქარელის. რომ არაფერი ვთქვათ მიტაცებულ ადგილებზე და იქ დარჩენილ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ომის შემდეგ რეგიონი გაიცნო მთელმა მსოფლიომ, და შესაბამისად გაიზარდა ინტერესი ადგილზე დათვალიერების.

3.2 შიდა ქართლის ტურისტული პროდუქტის კვლევა

იმისათვის რომ უფრო ფართოდ წარმოგვეჩინა შიდა ქართლის, როგორც ტურისტული პროდუქტის არსი, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა შემდეგი მეთოდოლოგიით, ფოკუს-ჯგუფების შეხვედრით, ჩაღრმავებული ინტერვიუების, ინდივიდუალური და ექსპერტული შეფასებით.

მოხდა მეორადი ინფორმაციის მოძიება-ანალიზი და ტურისტების გამოკითხვა ანკეტურად. მეორადი ინფორმაცია მოთხოვნილი იქნა გორის მუნიციპალიტეტიდან, საქართველოს სტატისტიკისა სამსახურიდან, ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ასევე კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან. დამუშავებულ ინფორმაციას ძირითადად წარმოადგენს: მოსახლეობის სიმჭიდროვე, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება, დასაქმება და დემოგრაფიული მდგომარეობა; გორის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მდგომარება; ტურისტული მარშრუტები; მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური და კულტურული ძეგლების მდგომარეობა, საკუთრება და სტატუსი. ზემოთ მოცემულმა მეორადი ინფრომაციის ანალიზმა ჩატრებული კვლევა ანალიტიკურად გაამდიდრა. დაგვანახა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მზაობა და ძალიან დიდი რესურსი ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

რაც შეეხება ანკეტურ გამოკითხვას, იგი განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტში ტურისტული ბაზრის გასაცნობად, რომელიც მიზნად ისახავდა მუნიცპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის და ტურისტული მომსახურების ხარისხის დონის შესწავლას. სულ გამოკითხულ იქნა 100 ტურისტი. ტურისტების გამოკითხვისას საინტერესო იყო მათი აზრი, დამოკიდებულება და რჩევები ტურისტული მომსახურების კუთხით. ამასთან რომელი ობიექტები იყო მათთვის ყველაზე უფრო საინტერესო და მიმზიდველი. გამოკითხვები ძირითადად ჩატარდა უფლისციხესა და სტალინის სახლ-მუზეუმში, ვინაიდან, ისტორიულადაც, მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების დიდი უმრავლესობა ამ ობიექტებს სტუმრობს.

ქალაქ გორში ტურისტული მდგომარეობისა და განვითარების პოტენციალის შესწავლის მიზნით, ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზისათვის ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობისათვის შეირჩა სახელმწიფო და ადგილობრივი სტრუქტურების ის წარმომადგენლები, ვინც მონაწილეობენ ქვეყანაში და კონკრეტულად რეგიონიში ტურიზმის დაგეგმვა- განვითარებაში. ასევე ის არასამთავრობო ორგანიზაციები და პირები, რომლებიც მუშაობენ და გააჩნიათ დიდი გამოცდილება აღნიშნულ სფეროში.

გამოთქმული მოსაზრებები ჩაიწერილ იქნა შემდგომი ანალიზისათვის და მომზადდა დეტალური ანგარიში, რომლიც მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- ტურიზმის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ხედვები;
- საბოლოო დასკვნა და რეკომენდაციები.

ტურისტთა გამოკითხვა ჩატარდა ისეთ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტი სტუმრობს. ასეთი კი უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი და სტალინის მუზეუმი აღმოჩნდა. აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ ტურისტთა ნაკადი ყოველწლიურად იზრდება. მაგალითისთვის უფლისციხის მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი მუდმივად იზრდება. ერთადერთი, აგვისტოს ომის შემდგომ იყო გარკვეული შემცირება. რაც შეეხება ბოლო 6 წლის სტატისტიკას, სურათი ასეთია. 2010 წელი 29267 ვიზიტორი, 2011 წელი 41622 ვიზიტორი, 2012 წელი 59192 ვიზიტორი, 2013 წელი 70193 ვიზიტორი, 2014 72057 ვიზიტორი, ხოლო 2015 წელს 2012 წელთან

შედარებით ტურისტთა რაოდენობა გაორმაგდა და 119082-ს მიაღწია. (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა №1. 2010-2015 წლებში უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში დამთვალიერებელთა რაოდენობა



რადგან ტურისტთა ვიზიტის ძირითად ადგილებს სტალინის სახლ-მუზეუმი და უფლისციხე წარმოადგენენ, სწორედ აქ ჩატარდა გამოკითხვა. ტურისტთა 59% გამოკითხული იქნა სტალინის სახლ-მუზეუმში, ხოლო 41% უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში (იხ. დიაგრამა №2). კვლევისას უფრო მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული უცხოელ ტურისტების აზრი, ამიტომ გამოკითხულთა 67%-ს შეადგენენ უცხოელი ტურისტები, ხოლო 33%-ს ადგილობრივი ქართველი ტურისტები (იხ. დიაგრამა №3).

დიაგარამა №2 გამოკითხვის ადგილი



დიაგრამა №3. ვინ გამოიკითხა (ადგილობრივი, უცხოელი)



კვლევისას გამოკითხული ტურისტების ასაკობრივი ჯგუფი ასეთნაირად განაწილდა: 18-დან 35 წლამდე პირები (46%), 35-დან 55 წლამდე –28%, 55 წელს ზევით ასაკის პირები – 18%, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირები მხოლოდ 8%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა №4).

დიაგრამა №4. გამოკითხულთა ასაკი



შიდა ქართლი, კერძოდ გორი ისტორიული და კულტურული ძეგლების სიმრავლით გამოირჩევა. კითხვაზე პასუხები, თუ რა იყო გორში ჩამოსვლის მიზეზი, შემდეგნაირად გადანაწილდა. ისტორიული ძეგლების სანახავად ჩამოვიდა ტურისტთა 42%, კულტურისადმი დაინტერესება გამოთქვა 26%. ბუნების/მთების და ხედების დათვალიერების მიზნით ჩამოვიდა 12%. როგორც ცნობილი ფაქტია საქართველო და მათ შორის შიდა ქართლი, ღვინის სამშობლოდ მოიაზრება. განსაკუთრებულია სამზარეულოც, ამის გამო ტურისტთა 10% და 7% ჩვენი სტუმართმოყვარეობის გასაცნობად გვსტუმრობდა. (იხ. დიაგრამა №5).

დიაგრამა №5. გორში სტუმრობის

მიზანი?



რაც შეეხება ისტორიული და კულტურული ძეგლებით დაინტერესებას, აღმოჩნდა რომ, ტურისტების უმრავლესობამ ნახა ან უნდა ენახა სტალინის მუზეუმი 39%, უფლისციხე-37%, ატენის ხეობა-15%, გორის ციხე-7%, სხვა-2%. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ყველაზე მეტი პოპულარიზაცია ამ ადგილებს ეხება, სწორედ ეს განპირობებს ტურისტების მხრიდან ესოდენ დიდ ინტერესს (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6. რომელი ისტორიულ/კულტურული ძეგლი დაათვალიერეთ ან აპირებთ რომ ნახოთ?



რაც შეეხება ტურისტული ობიექტების პოპულარიზებას რეგიონში, ამას ძირითადად ახდენენ ტურისტული კომპანიები. ტურისტების 70%-მა განაცხადა რომ ტურისტულმა კომპანიამ ურჩია გორში ჩამოსვლა (იხ. დიაგრამა №7). ეს ფაქტი ძალიან სასიამოვნოა, თუმცა მეტი აქტიურობაა საჭირო. ტურისტების 15%-ს მეგობრებმა ურჩიეს(მათ შორის სოციალურ ქსელში), ხოლო 9%-ს გააჩნდა სურვილი ენახა განსხვავებული ადგილები და თვითონ მოიძია ინფორმაცია. დავამატებ რომ მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება ძალიან რთულია, არ არსებობს ვებ-გვერდი, სადაც ტურისტული ობიექტების შესახებ მოხდება ინფორმაციის მოძიება. აღნიშნული საკითი ეხება მთლიანად რეგიონს, არა მარტო გორში, არამედ სხვა ქალაქებში (რაიონში) უამრავი ადგილია რომლის შესახებაც ინფორმაცია არსად მოიძებნება.

დიაგრამა №7. ვინ გირჩიათ გორში ჩამოსვლა?



გამოკითხვიდან ჩანს რომ ტურისტების დიდი უმრავლესობა (82%) გორში მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა. ამის მიზეზი კი შესაბამისი სასტუმროების დეფიციტია, ამასთან მათ დარჩენის მზეზი ვერ დაინახეს, ანუ შესაბამისი ტურისტული მარშრუტების არ არსებობა, რომლის გამოც დარჩებოდნენ (იხ. დიაგრამა # 8)

დიაგრამა №8. ვიზიტის ხანგრძლივობა?



გამოკითხული ტურისტების უმრავლესობა, ღამის გასათევ ადგილად ადგილობრივ და საოჯახო სასტუმროს ირჩევს. რადგან, აქ მათ ეძლევათ შესაძლებლობა უფრო ახლოც გაეცნონ ქრთულ სამზარეულს, ტრადიციებს, და ნახონ როგორი მასპინძლობა იციან ადგილობრივებმა. იდია დაინტერესება ტურისტების მხრიდან და სურვილიც გააჩნიათ ღამე გაათიონ კარვებით ბუნებაში. კითხვაზე თუ სად გირჩევნიათ ღამის გატარება, ტურისტების 32%-მა სურვილი გამოთქვა ადგილობრივ სასტუმროში, 36%-მა – ადგილობრივ საოჯახო სასტუმროებში, ხოლო კარვებით ბუნებაში კი – 12%-მა. დანარჩენ 15%-ს კი ურჩევნია ღამე გაათიოს თბილისში, ვინაიდან იქ უფრო მეტი კომფორტი და შესაბამისი დონის მომსახურება არსებობს. 5%-ჰოსტელებში გადაწყვიტა ღამის გათევა (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9. სად აპირებთ ღამის გათენებას?



ტურისტები სასტუმროს არჩევისას შემდეგ ფაქტორებს აქცევენ ყურადღებას: სასტუმროს ნომრის მდგომარეობას (გამოკითხული ტურისტების 36%), მომსახურების ხარისხს (ტურისტების 38%), ფასს (გამოკითხულთა 20%), ხოლო სასტუმროში კვებას და სასმელებს (გამოკითხულთა 6% (იხ. დიაგრამა №10))

კვლევაში მონაწილე ტურისტები, რომლებმაც უკვე ისარგებლეს სასტუმროს მომსახურებით, აღნიშნავენ, რომ უკმაყოფილონი არიან სასტუმროს მომსახურებით და ნომრების მდგომარეობით. არ არსებობს გათბობისა და კონდიცირების სისტემები და ცხელი წყალი.

გამოკითხული ტურისტები სრულაიდ კმაყოფილები არიან ქართული სამზარეულოთი, თუმცა რესტორნებისა და კაფე-ბარების მენეჯერებს ურჩევდნენ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ტურისტები ძირითადად კმაყოფილები არიან ქალაქში საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობით.

დიაგრამა №10. სასტუმროს შერჩევის მთავარი კრიტერიუმი?



ტურისტები გორის მუნიციაპლიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობას საშუალო მაჩვენებლებით აფასებენ. გამოკითხულთა 69% ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობას 10 ქულიან შკალაში 4-დან 7 ქულამდე ანიჭებს (იხ. დიაგრამა №11). კითხვარში არის ასევე მთავარი შენიშვნა მისათითებელი პუნქტი, ტურისტული ინფრასტრუქტურის სერვისზე. გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, მოუწესრიგებელია საპირფარეშოები, ასევე არის კომუნიკაციის პრობლემა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ვერ საუბროს უცხო ენაზე, არ არის მითითებული მიმართულებები.

დიაგრამა №11. როგორ შეაფასებთ ტურისტული ინფრასტრუქტურისმდგომარეობას?



გამოკითხული ტურისტების მნიშვნელოვანი ნაწილი (67%) აპირებს კიდევ ერთხელ ჩამოვიდეს გორში და მოინახულოს ის ტურისტული ობიექტები, რომელთა დათვალიერება მათ ვერ შეძლეს. ასევე ტურისტების უმრავლესობა (81%) აუცილებლად ურჩევდა მის ნაცნობებს (მეგობრებს, კოლეგებს) გორში ჩამოსვლას (იხ დიაგრამა №12 და №13).

დიაგრამა№12. განმეორებით ჩამოხვალთ თუ არა გორში?



დიაგარამა #13. ურჩევდით თუ არა ვიზიტს გორში ნაცნობებს?



3.3 ტურიზმის განვითარების სტრატეგია შიდა ქართლში

შიდა ქართლის ტურიზმის განვითარებისთვის უზარმაზარი შესაძლებლობები გააჩნია. რეგიონეს ოთხივე მუნიციპალიტეტში: კასში, ქარელში, ხაშურში და გორში, ასევე კონფლიქტის რეგიონს, მავთულხლართების მიღმა დარჩენილ ადგილებს, ჯავას, ახალგორს და ლიახვის ხეობას. ადგილების რაოდენობა, რომელთაც ტურისტული პოტენციალი გააჩნიათ შთამბეჭდავია. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, შესანიშნავი დასასვენებელი ადგილები, ბუნება, მთის ცივი ანკარა წყაროები, დიდი და პატარა მდინარეები, ბუნებრივი და ხელოვნური ტბები, თრიალეთისა და ლიხის ქედის უმშვენიერესი სანახები, აქ არსებული ისტორიისა და ბუნების ძეგლები ყოველთვის იპყრობდა მნახველთა.

გორი-142 ეკლესია, 15 ციხე, საცხოვრებელი სახლები, მუზეუმები, მათ შორის სტალინის მუზეუმი, კოშკები, სამონასტრო კომპლექსები, კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი: უფლისციხე, ქვახვრელის გამოქვაბულების კომპლექსები. თავადების ნასახლარები (მაჩაბლების, ცისკარიშვილების), ატენის ხეობა.

კასპი-33 ეკლესია, 6 ციხე(სხვილოს ციხე, არსენას ციხე), უდიდესი პოტენციალი აქვს რკონის ხეობას, რომელიც წარმოდგენილია ტაძრების, სატრაპეზოების, კოშკების, ციხე გალავანის კომპლექსის სახით. მათ შორის თამარის ხიდი, რომელიც უძველესია (მე-12-13 სკ). ასევე სამთავისის კომპლექსი, ქვათახევი და სხვა.

ქარელი-131 ტაძარი, 44 მონასტერი (10 დედათა, 34 მამათა მონასტერი), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1720 ექსპონანტი), ტბები: ბატეტის ბუნებრივი ტბა, ოქროსოფლის და ბებნისის ხელოვნური ტბები. ძამას ხეობა, ასევე ხვედურულას ხეობა, რომელიც არ არის ათვისებული. ბუნების ძეგლები: კასტული მღვიმე, აბუხალოს, თერხვის გამოქვაბულები. აბუხალოსთან მდებარე ჩანჩქერი (25მ) რომელიც საინტერესო ბუნების ძეგლს წარმოადგენს.

ხაშური-80 ეკლესია, ციხეები: სურამის, ქვიშხეთის. სევე დაბა სურამი და ქვიშხეთი უნიკალური საკურორტო ადგილებია.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ უამრავი ისტორიული ძეგლი თუ ტაძარი მოხვდა მავთულხლართების მიღმა. ზემოთ მოტანილი ჩამონათვალიდან, კერძოდ

გორისა და ქარელის შემადგენლობიდან. ასევე ვრცელი ნუსხაა ჯავა და ახალგორის შემადგენლობა.

ჯავა-15 ეკლესია, 16 კოშკი, აკლდამები.

ახალგორი-33 ეკლესია, ქსნის ერისთავების სასახლის კომპლექსი.

შიდა ქართლში ტურიზმი შეიძლება წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- სამკურნალო ტურიზმი;
- ეკო-ტურიზმი;
- კულტურულ დასასვენებელი ტურიზმი;
- ექსტრემალური ტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- პილიგრიმული ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი.

ქ. გორში არსებობს მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლი. მათ შორის განსაკუთრებით მიმზიდველია სტალინის სახლ-მუზეუმი, გორიჯვარი, გორის ციხე და ციხის მიმდებარე ისტორიული უბანი. ქ. გორში და მის მიმდებარედ არსებული ობიექტები უნდა განვიხილოთ, როგორც პირველი მიმართულება, I ტურისტული მარშრუტი.

გორის ციხე ამჟამად ტურისტებისთვის მხოლოდ გარედან დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს. ტურისტების მოზიდვის კუთხით აუცილებელია მისი ფუნქციონალური დატვირთვა. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- პირველ რიგში საჭიროა მოკლევადიანი ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურისტული ნაკადების შენარჩუნებას და ზრდას. ქვემოთ აღნიშნულ სამუშაოებს წინ უნდა უძღოდეს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება, უნდა შეიქმნას ერთიანი არქიტექტურული კონცეფცია და მოხდეს ზონირება, რომელიც უნდა გახდეს შემდგომში ნორმატიული დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება ქუჩების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების აღწერა;
- აკაკი წერეთლის ქუჩის დასაწყისში ხელმარცხნივ მოსაწესრიგებელია სკვერი;

- გორის ციხეზე არსებულ წყლის ძველ რეზერვუარში განთავსდეს ეთნოგრაფიული მუზეუმი. წყლის რეზერვუარის ნაგებობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ მცირედი რეკონსტრუქციის შედეგად იქ მოეწყოს საგამოფენო დარბაზი, სადაც განთავსდება ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატები;
- გორის ციხის შესასვლელში და დარბაზებში უნდა განთავსდეს სპეციალური მანიშნებელი და საინფორმაციო დაფები, სადაც მოცემული იქნება ისტორიული ინფორმაცია და წყაროები ციხის შესახებ, ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგები;
- ციხესთან უნდა აშენდეს არქიტექტურულად ლამაზი ადმინისტრაციული და დაცვის შენობა, ციხის სამხრეთ მხარეზე აუცილებელია მოეწყოს საჩვენებელი ლამაზი უბანი სიღნაღის მაგალითზე;
- ესტეთიკის თვალსაზრისით აუცილებელია ასასვლელთან არსებული სარიტუალო სახლის სხვაგან გადატანა.

ყოველივე ეს გორის ციხეს უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ტურისტებისათვის, ვინაიდან მათ შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ როგორც ქალაქისა და ძეგლის ისტორიას, ასევე საკუთარი თვალით იხილონ ეთნოგრაფიული ექსპონატები. შედეგად გაიზრდება გორის ციხეზე ტურისტებისა და დამთვალიერებლების ნაკადი.

სტალინის მუზეუმი მუდმივად ტურისტების ინტერესის საგანია. ტურისტული აქტიობის გასაზრდელად საჭიროა მუზეუმში შეიქმნას ტურისტებისთვის ხელსაყრელი გარემო:

- თავიდანაა გადასახედი მუზეუმის მთელი ექსპოზიციისათვის და აუცილებელია შეიქმნას ისეთი ტიპის „შოუ-რუმები", რომელიც უნდა შეიცავდეს უფრო მეტ სანახაობრივ მხარეს ტურისტებისათვის;
- მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში განთავსდეს სტალინთან დაკავშირებული სხვა პირების ექსპონატები;
- საექსპონანტო დარბაზებში განთავსდეს დასასვენებელი სავარძლები;
- მუზეუმის მოედნის უკანა მხარეს მოეწყოს კაფე-ბარი, რომლის ინტერიერიც გადაწყვეტილი იქნება საბჭოთა სტილში;
- აუცილებელია მოეწყოს მუზეუმის ეზო და მოწესრიგდეს ქვაფენილი;

- მუზეუმის კოშკზე საჭიროა ჩაისვას მინები;
- მოწესრიგდეს მუზეუმის ფასადი;
- ტურისტებისთვის მოეწყოს საპირფარეშო.

გორიჯვარი ქ. გორთან ახლოს მდებარე ისტორიული ადგილია. მისი ქალაქიდან დანახული ხედი საკმაოდ მიმზიდველია ტირუსტებისათვის, განსაკუთრებით პილიგრიმული მიმართულებით დაინტერესებული პირებისათვის. ამიტომაც, ქ. გორის მიმართულების ტურიუზმში აუცილებელია განვიხილოთ გორიჯვარიც. გორიჯვრის ტორისტული პოტენციალის გაზრდისათვის აუცილებელია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

- საქართველოს საპატრიარქოსთვის თხოვნით მიამრთვა, რომ დღის საათებში ეკლესია მუდმივად იყოს ღია მნახველებისა და მომლოცველებისათვის;
- ქალაქის ხედის მხარეს ჭოგრიტის დაყენება, რათა მნახველებს გარკვეული საფასურის გადახდით (მაგ. ლითონის 1-ლარიანი) შეეძლოთ ქალაქის, მდ. ლიახვისა და მტკვრის შესართავის, უფლისციხის სამონასტრო კომპლექსის, ასვე სხვა ლამაზი სანახაობების დათვალიერება. შემოსული თანხები კი მოხმარდეს ეკლესიის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას.

კურორტი გორიჯვარი დაღლილი დამსვენებლების განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ქალაქთან სიახლოვის გამო კურორტის მესაკუთრეებისათვის ინვესტორების მოძიებაში დახმარება მისი რეალურად ამოქმედების საშუალებად შეიძლება იქცეს. კურორტ გორიჯვრის რეალურად ამოქმედებისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მიყვანა კურორტის მიმდებარე ტერიტორიამდე;
- გორიჯვრის მიმართულების გზაზე და უშუალოდ კურორტთან საინფორმაციო დაფების განთავსება;
- ინვესტორთა დაინდერესება კურორტით და ამ თვალსაზრისით მეპატრონისთვის მხარდაჭერა.

შიდა ქართლის ტურისტული მარშუტის მეორე მიმართულებას წარმოადგენს მდ. ტანას ხეობა, სადაც კარგად არის წარმოდგენილი ბუნებრივი და კულტურულ-

არქიტექტურული ძეგლების სინთეზი. ამ ხეაბაში დიდი პოტენციალია განვითარდეს ტურიზმის სახეობების შემდეგი მიმართულებები:

- კულტურული ტურიზმი;
- ეკოტურიზმი;
- ექსტრემალური ტურიზმი;
- სათავგადასავლო ტურიზმი;
- აგრო ტურიზმი;
- პილიგრიმული (მომლოცველობითი) ტურიზმი;
- სამკურნალო ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი;
- კემპინგი, ქარავანინგი.

ხეობაში აუცილებელია გაკეთდეს ტურისტული კომპლექსი საიდანაც მოხდება ტურისტული მიმართულებების ორგანიზება ზემოხსენებული სახეობების მიხედვით. ტურისტულ კომპლექსში მოიაზრება როგორც სატუმროს ტიპის განთავსების ადგილების, ასევე კემპინგების მოწყობა, რისთვისაც გორის მუნიციპალიტეტის მიერ უნდა გამოიყოს შესაბამისი ტერიტორია.

ტანას ხეობის ლანდშაფტი და ისტორიულ-კულტრურული ძეგლების სიმრავლე იძლევა შესაძლებლობას ტურიზმის ისეთი სახის განვითარებისა როგორიც არის: "კემპინგი" და "ქარავანინგი". კემპინგის განვითარების თავლსაზრისით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

მუნიციპალიტეტის მიერ ტერიტორიის გამოყოფა, რომელიც მუდმივად მზად იქნება კემპერების მისაღებად;

აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობა, რაც გულისხმობს საკემპინგო ტერიტორიის განათებით, დენის წყაროთი და სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საშხაპე და ტუალეტი;

კემპინგის ადგილთან ახლოს სასურველია იყოს სასურსათო მაღაზია ან კაფე/რესტორანი;

მას შემდეგ, რაც მოხდება კემპინგის ადგილების შერჩევა და კეთილმოწყობა საჭიროა მისი მუნიციპალიტეტის ტურისტულ რუკაზე დატანა და ასევე შესაბამისი

ნიშნების (კემპინგის ადგილის აღმნიშვნელი) ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსება.

ტანას ხეობა ცნობილია აქ გავრცელებული ვაზის ჯიშებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ატენური" და „გორული მწვანე", რომლისგანაც მზადდება საშამპანურე ღვინის მასალა. ხეობაში არსებობს ატენის ღვინის ქარხანაც, რომელიც ძალიან მიმზიდველი შეიძლება გახდეს ღვინის ტურიზმით დაინტერესებული პირებისათვის. ამ კუთხით აუცილებელია მოეწყოს ღვინის მარნები და ატენის ღვინის ქარხანაშიც მომზადდეს ინფრასტრუქტურა, რათა მან შეძლოს ტურისტების მიღება.

ტანას ხეობაში, სოფელ ბიისში, არსებობს გოგირდოვანი წყლების რესურსი, რაც სამკურნალო ტურიზმის სახეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. დღესდღეობით იქ ინფრასტრუქტურა მოშლილია, თუმცა ინვესტორირების მოძიების და შესაბიმისი ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში სოფელ ბიისს (წყლის დებეტის, გეოგრაფიული მდებარეობის და სუფთა ჰაერის გათვალისწინებით) აქვს შესაძლებლობა ქვეყნის მაშტაბით გადაიქცეს სამკურნალო ტურიზმის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად.

ტანას ხეობაში არსებობს მრავალი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის აღსანიშნავია ატენის სიონი, დედათა მოსასტერი და ა.შ., რომლებიც თავისი ისტორიული და რელიგიული მნიშვნელობით უდიდეს სიწმინდეებს წარმოადგენენ. ამასთან, ამ ხეობიდან არსებობს გადასასვლელი საფეხმავლო გზა მდ. ძამას ხეობაში, სადაც ასევე მრავალი მოქმედი ქრისტიანული ძეგლი (ეკლესია-მონსატერი) მდებარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტანას ხეობა მიიზიდავს მომლოცველობითი (პილიგრიმული) ტურიზმით დაინტერესებულ პირებს.

ექსტრემალური ტურიზმის თვასაზრისით საინტერესოა მეკლდეურობა, რომელის დიდი პოტენციალი გააჩნია ტანას ხეობას. აქ არსებობს ერთ-ერთი უნიკალური ჩანჩქერი, რომელიც ზამთარში იყინება და წარმოიქმნება ყინულლოვანი კლდე. ეს საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს მეკლდეურთა, მთასვლელთა და ექსტრემალური ტურიზმით დაინტერესებულ პირებში. აღნიშნულ ყინულზე ყოველწლიურად იმართება შესაბამისი მინი-ტურნირები, თუმცა შესაბამისი პოპულარიზაციის შემთხვევაში შესაძლებელია ტურისტთა ნაკადების კიდევ უფრო გაზრდა.

სადღეისოდ არსებული მდგომარეობიდან და ტურიზმის განვითარების პოტენციალიდან გამომდინარე, მეორე მიმართულების განვითარებისათვის აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ატენის სიონიდან ბოშურამდე;
- ატენის სიონამდე გარე განათების სისტემის მოწყობა;
- ხეობის გაზიფიცირება;
- ტურისტული საინფორმაციო ნიშნების მოწყობა;
- სრულად აღიწეროს ხეობაში არსებული კულტურულ-ისტორიული და სხვა ტურისტული ობიექტები, მოხდეს მათი რუკაზე დატანა, ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს საინფორმაციო აბრების სახით ხეობის გზის გასწვრივ, ასევე დაიბეჭდოს და გავრცელდეს ბუკლეების, ბროშურების სახით. გორის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში, ხეობაში არსებულ ტურისტულ კომპლექსში.
- მოეწყოს ტურისტული ბილიკები ხეობაში არსებულ ტურისტულ ობიექტებამდე, დატანილ იქნეს შესაბამის რუკებზე და ხეობის გზამკვლევზე.

შიდა ქართლში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ტურისტული მარშრუტი უფლისციხის მიმართულებაა, რომელიც დღესაც კი თავისი უნიკალურობით (უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი) იზიდავს უამრავ დამთვალიერებელს. ტურისტული მარშრუტი უფლისციხის მომართულებით მოიცავს: ქვახვრელის კლდეში ნაკვეთ კვირაცხოვრის ეკლესიას, ყვავების საყდარს, „ბამბების" ნამოსახლარს, ყათლანის ხევის ნამოსახლარს, სალიძვლის ნამოსახლარს, ღვთისმშობლის ეკლესიას და სხვა ისტორიულ ძეგლებს. უფლისციხის მიმართულება უნდა განვიხილოთ ტურიზმის მესამე მიმართულებად (III მარშრუტად). აღნიშნული ტურისტული მარშრუტის უფრო მეტად დატვირთვისათვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- პირველ რიგში, უნდა მოეწყოს შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომლის ქვეშაც იგულისხმება სასტუმროს მშენებლობა და დასვენების ზონის კეთილმოწყობა (ვინაიდან მარშრუტი მოიცავს მრავალ ისტორიულ ძეგლს, რომელიც განფენილია სხვადასხვა მიმართულებით და ერთ დღეში შეუძლებელია მისი დათვალიერება, ამიტომ აუცილებელია სასტუმროს, კემპინგების და დასვენების ზონის მოწყობა უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის

მიმდებარე ტერიტორიაზე და სწორედ ეს მოგვცემს სასშუალებას აქ შეიქმნას აღნიშნული მარშრუტის ცენტრი);

• უფლისციხის ტურისტული მარშრუტი იძლევა საშუალებას აქ განვითარდეს ტურიზმის ისეთი სახეობა, როგორიცაა სათევზაო და სათავგადასავლო ტურიზმი. სათევზაო ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა მდ. მტკვრისა და ნადარბაზევის ტბის სიახლოვე;

• აუცილებელია მუზეუმ-ნაკრძალამდე მისასვლელი ცენტრალური მაგისტრალის განათება;

• მოხდეს აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. უნდა დაინერგოს საოჯახო სასტუმროების სტანდარტები და სოფლის მოსახლეობას უნდა ჩაუტარდეს ტრეინინგები, თუ როგორ უნდა მოაწყონ საოჯახო სასტუმროები, რათა მათ შეძლონ იმ ტურისტების მისაღება და განთავსება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აგროტურიზმით და ადგილობრივი ტრადიციების შესწავლით;

• არქეოლოგიით დაინტერესებული ტურისტების მოსაზიდად აუცილებელია აღდგეს არქეოლოგიური გათხრები. აღნიშნული მარშრუტი ამის საშუალებას იძლევა, ვინაიდან აქ ძალიან დიდი პოტენციალი არსებობს არქეოლოგიური გათხრებისა.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გასატარებელი ღონისძიებები

ტურიზმის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს განთავსების (სასტუმროები, ოტელები, კემპინგები, საოჯახო-კერძო სასტუმროები და სხვა) და სატრანსპორტო საშუალებების, საზოგადოებრივი კვების, გართობის, სპორტული, სამკურნალო, რელიგიურ-საკულტო, შემეცნებითი, საქმიანი და სხვა დანიშნულების ორგანიზაციების, ტუროპერატორული და ტურაგენტურული საქმიანობით დაკავებული და ასევე ტურისტულ-საექსკურსიო და გიდ-თარჯიმნების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფენ ტურისტების ხარისხიან და ოპერატიულ მომსახურებას.

აღნიშნული მომსახურების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად გორის მუნიციპალიტეტში აუცილებელია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

• ვინაიდან გორი უნდა გახდეს ტურისტული მარშუტის ერთ-ერთი ცენტრი, საიდანაც მოხდება ტურისტების განაწილება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მიმართულებით, პირველ ეტაპზე აუცილებელია სწორედ ტურისების

განთავსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. გორში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიაში კი შეიძლება განხილულ იქნას გორის ბაზრის გადატანა და მის ადგილზე ტურისტული კომპლექსის მშენებლობა, ამით შეიქმნება ქალაქში ერთიანი ტურისტული ზონა, დაწყებული გორის ციხისა და მისი მიმდებარე ისტორიული უბნიდან მდ. ლიახვის სანაპიროს გასწვრივ, რომელსაც შეუერთდება ე.წ. „ახალ ბაღი" და მტკვრისა და ლიახვის შესართავი;

• აუცილებელია ქალაქში არსებული გასართობი ცენტრებისა და დასვენების ადგილების (პარკების, სკვერების, კინოთეატრების და საკონცერტო დარბაზების) კეთილმოწყობა;

• აუცლიებელია ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა;

• ქალაქის შესასვლელთან და ცენტრალურ უბნებში აუცილებელია განთავსდეს ქალაქისა და მუნიციპალიტეტის რუკა, რომელზეც ნაჩვენები იქნება ყველა ღირშესანიშნავი ტურისტული ობიექტები, მათზე მისასვლელი გზები, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, სასტუმროები, კვების ობიექტები, სავადმყოფოების, ფოსტის და პოლიციის შენობები და სხვა ადმინისტრაციული ობიექტები;

• ავტოსადგურზე, რკინიგზის სადგურზე და მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე აუცილებელია განთავსდეს ტურისტებისათვის (იგულისხმება ქართულ და ინგლისურ ენაზე) ტრანსპორტის განრიგისა და მიმართულების მაჩვენებელი დაფები;

• ხელი შეეწყოს ისეთი დასასვენებლი ადგილის შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება ჩამოსული ტურისტებისათვის ინტერნეტ-მომსახურების ხელიმისაწვდომობა. შესაძლებელია ქალაქში არსებულ კაფე-ბარებში მოხდეს შჭ თ სისტემის დანერგვა და ასევე არსებულ ინტერნეტ კაფეებში შესაბამისი სერვისის შექმნა;

• აუცილებელია მუნიციპალიტეტში არსებულ ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა. მასში იგულისხმება გზის საფარის მოწესრიგება, გარე განათების სისტემის დამონტაჟება და საგზაო ნიშნების დადგმა;

• გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია და აუცილებელია ტანას ხეობიდან ბორჯომში გადასასვლელი გზის რეაბილიტაცია. აღნიშნული გზა არა

მარტო დააკავშირებს ბორჯომისა და წალკის ტურისტულ ზონებს, არამედ იქნება ალტერნატიული გზა;

მუნიციპალიტეტში არსებული გორის უნივერსიტეტისა და პროფ-სასწავლებლების ბაზაზე სასურველია მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე კადრების მომზადება-გადამზადება. იგულისხმება როგორც გიდ-თარჯიმნების, ასევე სასტუმროს, კვების ობიექტების და სხვა ტურისტული კომერციული ორგანიზაციების მომსახურე პერსონალის მომზადება.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული ხარჯები. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2008 წელს შეადგენს 12,2 მილიონ ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3,9 მილიონი ლარით ნაკლებია. ბიუჯეტის შემოსულობების ძირითად წყაროს წარმოადგენს არასაგადასახადო შემოსავლები, რომლის მოცულობა 2008 წელს განისაზღვრა 9,6 მილიონი ლარით და მისი წილი მუნიციპალიტეტის მთლიან ბიუჯეტში შეადგენს 78%-ს. ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები 10%-ს შეადგენს, ხოლო 11% წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთსა და კაპიტალურ შემოსავლებზე მოდის (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა №1. გორის მუნიციპალიტეტის 2008 წლის ბიუჯეტის შემოსულობები



2008 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილი 53.2% (6.5 მლნ ლარი) ინფრასტრუქტრის ხარჯებზე მოდის (ინფრასტუქტურის ხარჯებში იგულისხმება ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის, საბინაო კომუნალური მეურნეობისა და გარემოს დაცვის მუხლები). მათ შორის, 2008 წელს დაგეგმილია:

- 880 ათასი ლარის გამოყოფა მუნიციპალური გზებისა და ქუჩების რეაბილიტაციისათვის;
- 330.5 ათასი ლარის გამოყოფა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნების გაზიფიცირებისათვის;
- 1,2 მლნ ლარის გამოყოფა წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის;
- 704 ათასი ლარია გამოყოფილი გარე განათების ხარჯების დასაფინანსებლად.

საინფორმაციო და პიარ კამპანია. შიდა ქართლის ტურიზმის კუთხით პოპულარიზაციისათვის აუცულებელია აქტიური საინფორმაციო და პიარ კამპანიის წარმოება, რათა მოხდეს რაც შეიძლება მეტი ტურისტის დაინტერესება და მოზიდვა. არათანმიმდევრულმა და ცუდად დაგეგმილმა პიარ კამპანიამ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს, სწორედ ამიტომ, საინფორმაციო ტურისტულმა ცენტრმა, რომელიც მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებითაა დაკომპლექტებული, უნდა ჩაატაროს გარკვეული ღონისძიებები. მათ აქვთ საინფორმაციო ბაზები, და ხელი მიუწვდებათ ნებისმიერ ინფორმაციაზე მთლიანად საქართველოს მასშტაბით. მათთან ტურისტი ვიზიტისას ხშირ შემთხვევაში ჩამოუყალიბებელია. მიტომ ისინი მეტწილად განსაზღვრავენ სხვადასხვა ობიექტებს პოპილარობას და მონახულების სიხშირეს.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში მისულ ტურისტს გადასცემენ ბუკლეტებს, გზამკვლევებს და სხვადასხვა სახის რუკებს სადაც მითითებულია შიდა ქართლში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ასევე ინფორმაციას ყველაზე პოპულარული ადგილების შესახებ, კვების ობიექტების და სასტუმროების შესახებ. თუმცა ეს არაა საკმარისი, აუცილებელია შიდა ქართლზე გადაღებული იქნას სარეკლამო რგოლები. ამასთან, სპეციალური ვებ-გვერდი (წწწ.ტოურინგორი.გე), რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას გორის მუნიციპალიტეტში არსებულ ტურისტულ ობიექტებზე, როგორც ლინკი დაიდოს ტურიზმის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ეკონომიკის და კულტურის სამინისტროების ვებ-გვერდებზე, საგარე საქმეთა სამინისტროსა და აკრედიტებული საელჩოების ვებ-გვერდებზე, საქართველოში მოქმედი ტურ-ოპერატორების და ტურისტული სააგენტოების ვებ-გვერდებზე.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ერთ-ერთ ფუნქციად შეიძლება განისაზღვროს მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მაგ: ქართული ფოლკლორის ფესტივალების, მთაში ცხენებით დოღის, ჭიდაობების აღნიშნული საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტები როგორც მიწვეული თანამშრომლები, ზოგჯერ ჩართულები არიან შიდა ქართლში შემავალ მუნიციპალიტეტებში დაგეგმილ ღონისძიებებზე, საჭიროა მათი მეტად ჩართულობა, რადგან მათ აქტიური შეხება აქვთ უცხოელ ტურისტებთან.

განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვის გზები. შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების აკუმულირების 2 გზა არსებობს:

1. ადგილობრივი ფინანსები (სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი);
2. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული ფინანსები.

გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის განვითარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა (ამასთანავე, ტურიზმი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია) და საამისოდ ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტიც არსებობს, დიდია მისი როლი გორის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსების მოძიების ძირითადი ბერკეტებიც მის ხელშია. ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს:

- საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების ტურისტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და ამ აქტიობებზე მეტი რესურსების დახარჯვა;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის დაფინანსება;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაინტერესება ტურიზმის განვითარებაში რესურსების ჩადებით;
- გამოფენების, ჩვენებების და სხვა ღ-ღონისძიებების დაგეგმვა, ჩატარება და ტურისტების მოზიდვა. ვინაიდან ადგილობრივი თვითმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არ შეიძლება დაფინანსდეს ტურიზმის განვითარება პირდაპირი გზით,

თუმცა მუნიციპალიტეტს შეუძლია დააფნიანსოს ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებები – განავითაროს შემდეგი ადგილობრივი ინფრასტრუქტუტრა:

- შეაკეთოს მისასვლელი გზები ტურისტულ ობიექტებამდე;
- უზრუნველყოს გარე განათება ტურისტულ მარშრუტებზე და ობიექტებთან;
- განახორციელოს ნარჩენების გატანა.

მუნიციპალიტეტს ბუნებრივია ტურიზმიდან არაპირდაპირი სარგებელი ექნება და ეს უნდა იყოს სწორედ მისი ტურიზმით დაინტერესების უმთავრესი საფუძველი: განვითარებული ტურიზმი ავითარებს სასტუმროებს, კვების ობიექტებს და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა სექტორებს, რომელებიც ქონების გადასახადს გადაიხდიან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტმა და გორის მუნიციპალიტეტმა სამხარეო ხელისუფლებასთან ერთად აუცილებელია მეტად დააინტერესონ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები გორში ტურიზმის განვითარებით. ამისათვის აუცილებელია მათ ერთობლივად განახორციელონ შემდეგი აქტიობები:

- ზემოაღნიშნული გეგმა გაუგზავნონ ყველა დონორ ორგანიზაციას და გაუსვან ხაზი იმას, რომ მათი ერთ-ერთი პრიორიტეტია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- გააკეთონ საჩვენებელი ტური გორის ტერიტორიაზე არსებულ ტურისტულ მარშრუტებზე დონორი ორგანიზაციებისთვის და უჩვენონ მათ ტურიზმის არსებული პოტენციალი, ასევე ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროებები;
- შეისწავლონ დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტები და გააკეთონ კონკრეტული შეთავაზებები პროექტების სახით, რათა ცალკეულმა დონორებმა დააფინანსონ ცალკეული ღონისძიებები;
- ჩართონ დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონიტორინგის ჯგუფში, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროექტის რეალიზაცია და რეალიზაციიდან მაქსიმალური რეზულტატის მიღება მონიტრორინგისა და შეფასების სისტემას საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს

(ცენტრალური, სამხარეო, ადგილობრივი თვითმმართველობა) და სხვა აქტიორების ერთობლივი ძალისხმევა, ყველა აქტიორის საქმინაობა ურთიერთკოორდინირებული უნდა იყოს.

საქმიანობების მონიტორინგი უნდა განახორციელოს შერეულმა ჯგუფმა (ე.წ. მონიტორინგის კომიტეტმა), რომელშიც შევლენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- სამხარეო რწმუნებულის აპარატი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები;
- გორში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები;
- მედიის წარმომადგენლები;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ვინაიდან მონიტორინგის კომიტეტი არის სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული ჯგუფი, მისი შემადგენლობა უნდა დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

მონიტორინგის კომიტეტმა პირველ რიგში უნდა შეიმუშაოს გაწეული საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც კონკრეტულ გაზომვად კრიტერიუმებზე იქნება დამყარებული და წინასწარ ცნობილი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მაგ. რა ვადებში იყო დაგეგმილი კონკრეტული ტურისტული ობიექტის რეაბილიტაცია და დაცული იქნა თუ არა ეს ვადები; რა რესურსები უნდა დახარჯულიყო და დაიხარჯა თუ არა საკმარისი რესურსები და ა.შ. კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, კომიტეტმა შესაძლოა მოიწვიოს გარე შემფასებელი, მაგ. დამოუკიდებელი აუდიტორი.

მონიტორინგის კომიტეტმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და გაწეული საქმიანობის ანგარიში პერიოდულად (სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც) უნდა მიაწოდოს ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ პირებს. მონიტორინგის კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში უნდა მოხსენდეს საქართველოს მთავრობას და საქართველოს პრეზიდენტს.

დასკვნა

და ბოლოს, შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებას, რომლის უდიდესი პოტენციალი არსებობს, უდიდესი პირდაპირი თუ ირიბი ეკონომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია რეგიონისათვის. ტურიზმის განვითარებით ამ სფეროში დასაქმდება უამრავი ადამიანი, რაც რეგიონში გამოასწორებს სოციალურ დმდგომარეობას და ხალხს ამოიყვანს სიდუხჭირიდან. ასევე ტურიზმის განვითარება ზეგავლენას მოხდენს სხვა დარგების განვითარებაზე. მაგალითად: ტრანსპორტზე, კვების მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობაზე, რომელიც როგორც შიდა ქართლის, ასევე მთლიანად საქართველოს წამყვანი დარგია. ასევე ტურიზმის განვითარება დადებით ეფექტს მოახდენს რეგიონში არსებული კონფლიქტის დარეგულირებაზე, მაგრამ ამისთვის ძალიან ბევრია გასაკეთებელი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე მთავრობის მხრიდან, კერძოდ: ტურიზმის დეპარტამენტის მოკლევადიან და შედარებით ნაკლებხარჯიან სტრატეგიას დაუყონებლივი ზეგავლენის მოტანა შეუძლიათ. ასეთ ინიციატივად შესაძლოა მიჩნეულ იქნას სანაგვე ურნების მოტანა და სკამების განთავსება, ნაგვისაგან გაწმენდა და უკეთესი ტურისტული ნიშნების განთავსება ძირითად გზებზე.

გრძელვადიანი ზეგავლენის მისაღწევად განსახორციელებელი პოლიტიკა მოიცავს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვნად განვითარებას, საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის წარმოებას, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ასევე სასტუმროების პერსონალის გასანათლებლად საქართველოს ეკონომიკისათვის ტურიზმის მნიშვნელობის შესახებ, შეღავათიანი სასესხო პროგრამების განხორციელებას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, მთვარობის მიერ დაფინანსებული პარკის რეინჯერებისა და ტურისტული ბაზრის კონკრეტული ნიშის შემოქმედებითად განვითარებას. საჭიროა მთავრობის მიერ ზოგადი საზოგადოებრივი კამპანიის ჩატარება, რათა მოსახლეობას გააცნოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტურიზმი ზოგადი ეკონომიკური განვითარებისათვის. ასევე როგორც შიდა ქართლში, მთლიანად საქართველოშიც ტურიზმის გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ნაწილის მიმართვა კურორტებისა და კულტურული ძეგლების მოვლა შენარჩუნებისათვის, რომ ამ რესურსით მომავალმა თაობებმაც ისარგებლონ.

დანართი

გორის მუნიციპალიტეტში ტურისტული ბაზრის კვლევა

1. გორში სტუმრობის მიზანი?

☐ ისტორიული ძეგლების გაცნობა

☐ ბუნება, მთები და ხედების დათვალიერება

☐ გავეცნო კულტურას

☐ მომწონს აქაური სტუმართმოყვარეობა

☐ დავაგემოვნო ქართული სამზარეულო/ღვინო

☐ სხვა ----------

☐ სხვა ----------

☐ სხვა ----------

2. რომელი ისტორიული/კულტურული ძეგლები დაათვალიერეთ ან აპირებთ რომ ნახოთ?

☐ გორის ციხე

☐ უფლისციხე

☐ ატენის ხეობა

☐ სტალინის სახლ-მუზეუმი

☐ სხვა ----------

☐ სხვა ----------

3. განმერებით ჩამოხვალთ თუ არა გორში?

☐ დიახ

☐ არა

4. ტურიზმის რომელი სახეობა მოგწონთ?

☐ სათავგადასავლო ტურიზმი

☐ ეკოტურიზმი

☐ აგროტურიზმი

☐ სხვა ----------

5. ვინ გირჩიათ გორში ჩამოსვლა?

☐ ტურისტულმა კომპანიამ

☐ მეგობარმა

☐ მე თვითონ მოვიძიე ინფორმაცია

☐ სხვა ----------

6. როგორ შეაფასებთ ტურისტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობას?

საერთოდ არ არსებობს 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 ძალიან კარგია

7. რამდენად მიმზიდველად თვლით ქალაქის იერსახეს და რის გამოსწორებას ურჩევდით?

---

8. დათვალიერებულ კულტურულ ობიექტზე რამდენად ამომწურავად ხართ ინფორმირებული ?

☐ სრულიად ამომწურავი ინფორმაცია

☐ ვიზუალური მხარე არ იყო მოწესრიგებული

☐ ბუკლეტების არარსებობა

☐ სხვა ----------

9. ვიზიტის ხანგრძლივობა?

☐ 1 დღე ☐ ერთი კვირა

☐ 2-3 დღე ☐ სხვა ———

10. სად აპირებთ ღამის გათენებას?

☐ ადგილობრივ სასტუმროში ☐ კარვებით ბუნებაში

☐ ადგილობრივ საოჯახო სასტუმროში ☐ თბილისში

11. სასტუმროს შერჩევის მთავარი კრიტერიუმები?

☐ ნომერი სასტუმროში ☐ სხვა ----------

☐ მომსახურების ხარისხს ☐ სხვა ----------

☐ კვებას და სასმელებს

☐ ფასი

12. რას ურჩევდით სასტუმროებს რომ გამოესწორებინათ?

---

13. ხართ თუ არა კმაყოფილი კვებით სასტუმროებში/რესტორნებში?

☐ სრულიად კმაყოფილი ვარ

☐ უკმაყოფილო ვარ

☐ კვება დამაკმაყოფილებელი იყო

☐ კერძები არ იყო საკმარისი

☐ სხვა ----------

14. რას ურჩევდით კვების ობიექტებს რომ შეეცვალათ/გაეუმჯობესებინათ?

15.რას შეიძენდით რომელიმე ობიექტის დათვალიერებისას მის მიმდებარედ?

☐ ხელნაკეთ სუვენირებს

☐ ქარხნული წესით დამზადებულ ნივთებს

☐ საინფორმაციო ბუკლეტებს

☐ აგრო ნაწარმს

☐ სხვა ----------

16. ურჩევდით თუ არა ვიზიტს გორში ნაცნობებს ?

☐ დიახ ☐ არა

17. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის საბანკო მომსახურება?

☐ ქალაქში არასაკმარისია საბანკო ტერმინალები (ბანკომატები)

☐ შეზღუდულია პლასტიკური ბარათის გამოყენება

☐ შეუზღუდავია

☐ სხვა ----------

18. მთავარი შენიშვნები ტურისტული ინფრასტრუქტურის სერვისზე

1.

2.

3

19. თქვენი ასაკი

☐ 18 წლამდე ☐ 35-55 წლამდე

☐ 18-35 წლამდე ☐ 55 წელზე მეტი

20. სქესი

☐ ქალი ☐ კაცი

21. სად გამოიკითხა (ადგილი)

_____

22. ინ გამოიკითხა (ადგილობრივი, უცხოელი) _____

სასტუმროები

	დასახელება	მდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია	განთავსების საშუალება, ფასები	დამატებითი ინფორმაცია
1.	"ვიქტორია"		32 კაცი / 16 ნომერი; () ნომერი-80 ლარი, ლუქსი-140ლარი,	აქვს საკონფერენციო დარბაზი და კაფე-ბარი უზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ დილის საუზმით გათბობისა და კონდიცირების სისტემები მოწესრიგებულია
2.	"გორი"	თბილისის მხრიდან ქალაქის შემოსასვლელში; 8(270) 2-50-82	18-20 კაცი / 9 ნომერი (8 ნომერი + 1 ლუქსი) ნომერი –80 ლარი, ლუქსი – 120 ლარი;	სასტუმროს ქვედა სართულებზე განლაგებულია რესტორანი და მარანი სულ 180 კაცის ტევადობით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კონფერენციების მოსაწყობად.
3.	"ინტურისტი"	სტალინის გამზირი №26;	20 ადგილი / 9 ნომერი (8 ნომერი + 1 ლუქსი) ნომერი – 30 ლარი, ლუქსი – 50 ლარი;	სასტუმრო ვერ უზრუნველყოფს კვებით მხოლოდ ლუქსში მოდის თბილი წყალი, დანარჩენი ნომრები უზრუნველყოფილია მხოლოდ ცივი წყლით
4.	საოჯახო სასტუმრო	ნინოშვილის ქუჩა №83	10-12 ადგილი	
5.	საოჯახო სასტუმრო	მელიქიშვილის ჩიხი №6	6 ადგილი	

კვების ობიექტები

	დასახელება	მდებარეობა,	საკონტაქტო
1.	"ბერიკონი"	წერეთლის ქ. №1;	598 79 11 35
2.	"სპორტ-კაფე"	სტალინის გამზ. 11	599 61 54 15
3.	"ნაჭარმაგევი" რესტორანი და ლუდის ბარი	ჩხინვალის გზატ. მე-6კმ	577 25 77 11
4.	"იმპერიალი"	თამარ მეფის ქ. 80	
5.	"მონადირე"	სტალინის გამზ. 6	599 10 83 28

6.	“ნიკალა”	ჭავჭავაძის ქ. 36	0370 27 44 03
7.	”კერია”	ტინისხიდის გზატ 4	596 09 00 09
8.	”მზიური”	ცხინვალის გზატ	591 92 18 78
9.	“ჩინებული”	ქუთაისის ქ.	599 75 54 35
10	“შანზელიზე”	სტალინის გამზ 14	037 27 58 81
11	”ნამცხვრის სახლი”	სტალინის გამზ 22	599 57 78 23
11	“Coffegizer”	ქუთაისის ქ.4	574 54 01 10
12	”არტ-კაფე”	შტალინის გამზ 10	59565 25 64
13	“ვიქტორია”	აღმაშენებლის გამზ 76	
14	“შარდენი”	სტალინის გამზ. 17	595 61 53 52
15	“საჩვენო”	ჭავჭავაძის ქ. 51	599 11 77 37

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №

1. სახელწოდება – პედაგოგიური ინსტიტუტი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი – 1925 წელი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხვო ბარათი №

1. ს 1. სახელწოდება – გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №20
3. სახეობა – არქიტექტურის
4. თარიღი – 1935 წელი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხვო ბარათი №

1. სახელწოდება – სასტუმრო “ინტურისტი”
2. ადგილმდებარეობა/მისამართი - საქართველო, ქ. გორი, სტალინის გამზ. №26
3. სახეობა – არქიტექტურის
4. თარიღი – 1953 წელი

ძირითადი ინფორმაცია

გორის რეგიონი, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში 1930 წლიდან არსებობს და მოიცავს: 112 სოფელს; 22 საკრებულოს.

გორის რეგიონის საზღვრებია:

ჩრდილოეთით – ჩრდილოეთი ოსეთი;

აღმოსავლეთით – კასპი;

დასავლეთით – ქარელი;

სამხრეთით – ბორჯომისა და წალკის რაიონები.

ფართობი: 1375.9 კვ.კმ;

მოსახლეობა: 150 216 ათასი;

კლიმატი: სუბკონტინენტური, ზომიერად თბილი,სტეპურიდან ნოტიოზე გარდამავალი, ვაკეზე საშუალო წლიური ტემპერატურაა 11 ჩ,მთიან ზონაში-7.70ჩ. მოსალოდნელი მაქსიმალურიტემპერატურა +37 გრადუსია, მინიმალური - -37 გრადუსი.

ნალექების რაოდენობა: ვაკეზე – 585 მმ; დაბალმთიან ზონაში – 608მმ;მაქსიმალური – 760 მმ, მინიმალური – 330 მმ;

მთელი წლის განმავლობაში ქრიან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები; მთიან, სამხრეთ ნაწილში ქრის მთა-ხეობათა ქარი;

მდინარეები: რაიონის ტერიტორიას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კვეთს მდინარე მტკვარი, რომელსაც ერთვიან მდინარეები: მარცხნიდან ლიახვი და მარჯვნიდან ტანა. გარდა ამისა, რაიონის ტერიტორიას გაივლიან მდინარეები:

პატარა ლიახვი, მეჯუდა, ჭარებულა, ძამა და თეძამი. ლიახვისა და მისი შენაკადების სათავეები კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზეა, ხოლო ტანასა და თეძამისა – თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთაზეა.

მდინარეები გამოიყენება სარწყავად და ენერგეტიკული მიზნით (1990 წლიდან აღნიშნული დანიშნულებით მათი გამოყენება გაძნელებულია რაიონის ეკონომიკური მართვის მოშლის გამო).

ნიადაგი: მაღალნაყოფიერიადა გამოიყენება სოფლის მეურნეობაში მებაღეობა-მებოსტნეობისა, მევენახეობისა და მარცვლეული კულტურებისათვის.

მცენარეული საფარი: ვაკეზე კულტურული მცენარეულობაა, მდინარეების გასწვრივ გვხდება ჭალის ტყეები (ბოლო წლებში თითქმის მთლიანად გაიჩეხა მათი საწვავად გამოყენების მიზნით!); თრიალეთის ქედზე ფოთლოვანი ტყის საფარია.

ცხოველთა სამყარო: გვხვდება ძუძუმწოვრები: გარეული ღორი, შველი და ირემი (ამჟამად იშვიათია!), მგელი ტურა, მელა, ფოცხვერი, მურა დათვი და სხვა; მღრღნელები;

ქვეწარმავლები, ამფიბიები;

თევზები: კალმახი, ციმორი, მურწა, წვერა და სხვა.

ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებით და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთი მონაკვეთი გადიოდა საქართველოზე და ეს გზა მტკვრის ორივე სანაპიროს მიუყვებოდა. უპირატესობა ეძლეოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამავალ გზას. იგი გაივლიდა მცხეთას, მუხრანს, სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და მცხეთამდე აღწევდა. აქედან კი არაგვის ხეობით ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა.

გორი, გორის რეგიონი შიდა ქართლის ის მხარეა, რომელიც მის შუაგულში მდებარეობს, სადაც იკვეთებოდა დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მომავალი გზები, თუმცა იგი არა მარტო სავაჭრო გზათა შესაყარი იყო, არამედ მნიშვნელოვან თავდაცვით ციტადელსაც წარმოადგენდა.

შიდა ქართლში ადრინდელ ბრინჯაოს ხანაში ყალიბდება "მტკვარ-არაქსის" კულტურის ორიგინალური ვარიანტი. გორი ყოველთვის შიდა ქართლის დიდმნიშვნელოვან თავდაცვით ცენტრს წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში გორისა

და გორის ციხის დაპყრობით შიდა ქართლის აღება მთავრდებოდა, რის გამოც ქართველები უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ გორს.

გორი

გეოგრაფიული მდებარეობაა:

ზღვის დონიდან 585 მ სიმაღლე,

აღმოსავლეთის გრძედის 44^0 75'

ჩრდილოეთის განედის 41^0 58'

თბილისიდან დაშორება 78 კმ,

ჰავა ზომიერად თბილი,სტეპურიდან ნოტიოზე გარდამავალი,

საშუალო წლიური ტემპერატურა 10,9,

მოსახლეობა 68,5 ათასი (ქალაქისმოსახლეობის ძირითადნაწილსქართველები შეადგენდნენ, მაგრამ ამჟამად მისი მოსახლეობა მრავალეროვანია).

შიდა ქართლში, მდინარეების - მტკვრისა და ლიახვის - შესართავთან, გაშენებულია პატარა, მაგრამ თავისი მდებარეობითა და არქიტექტურით მომხიბვლელი ქალაქი გორი. მისი

შემოგარენი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ყოფილა დასახლებული. ანტიკური პერიოდის მრავალი ნივთიერი ფასეულობა გამოამზეურა სხვადასხვა დროს ამ მიდამოებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. გორზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზები და ამდენად იგი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გეოგრაფიულ პუნქტს

წარმოადგენდა. გორის ისტორიული ციხე-სიმაგრე მეტად უნიკალურია წარსულის სხვა ძეგლებს შორის. ამ ციხის ირგვლივ წარმოიქმნა ის ქალაქი, რომელსაც ისტორიული მისია ხვდა წილად – ყოფილიყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე უფრო ტონის მიმცემი კუთხის - შიდა

ქართლის - ადმინისტრაციული ცენტრი საუკუნეთა მანძილზე.

გორი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები გვაუწყებენ, რომ აქ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე

უნდა არსებულიყო ქალაქური ტიპის დასახლება. გორის ტერიტორიაზე უძველესი

არქეოლოგიური ძეგლია ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, მტკვრის ნაპირას, ადგილ ღამბარეულზე. ნაპოვნი კერამიკა ტიპობრივია ძვ. წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის.

1946 წელს გორის ციხის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე მეწყერმა გააშიშვლა ანტიკური ხანის კულტურული ფენა. არქეოლოგებმა ნახეს ალიზის კედელი, თხელკედლიანი ქვევრები, წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტი, შავპრიალა და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები. არქეოლოგიური მონაპოვარი მეცნიერებმა ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მიწურულითა და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი საუკუნეებით დაათარიღეს. ამავე ხანის სამარხი აღმოჩნდა ციხის აღმოსავლეთით. სამარხებში ნაპოვნია თიხის ჭურჭელი, მონეტები, მძივები, სამაჯურები და სხვა სამკაული. აღსანიშნავია ქვის მრგვალი ქანდაკების თავი, რომელიც მეცნიერების აზრით, ანტიკური ხანისა უნდა იყოს.

გორი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გზათა გადაკვეთაზე მდებარეობდა და მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას შიდა ქართლზე. როდესაც ქართველები თბილისს ჰკარგავდნენ, მმართველობის ცენტრი მათ ყოველთვის გორში გადმოჰქონდათ საიდანაც ისინი მტრის განდევნის გეგმებს ანხორციელებდნენ. გორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

ქართლის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი პოლიტიკოსები თავის გეგმებს საერთაშორისო სიტუაციას უკავშირებდნენ.

საუკუნეების განმავლობაში გორი ხელიდან ხელში გადადიოდა, ინგრეოდა და შენდებოდა, და მხოლოდ XVIII საუკუნის 40-იან წლებში გორი

საბოლოოდ განთავისუფლდა უცხოელი დამპყრობლებისაგან. ციხე-ქალაქმა აღორძინება დაიწყო. შეიქმნა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გორი სამაზრო ქალაქად იქცა. XIX საუკუნის 70-იან წლებში აქ წარმოიშვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი კერა. უამრავ დამთვარიელებელსდა ტურისტს იზიდავს

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

1935 წელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და საქართველოს



მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. გორში გაიხსნა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც დროებით იქნა განთავსებული ყოფილი კათოლიკე პადრების საცხოვრებელ შენობაში იმ პირობით, რომ მუზეუმს შემდგომში გამოენახებოდა შესაფერისი შენობა. აღნიშნული შენობა მე-17 საუკუნისაა.

1937 წლიდან მუზეუმში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოავლინდა და შეიკრიბა თვითმყოფადი, უძველესი ქართული კულტურისა და ყოფის ამსახველი მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატები, რომელთა გარკვეული ნაწილი მსოფლიო უნიკუმს წარმოადგენს.

თავისი არსებობის 65 წლის მანძილზე მუზეუმს დღემდე შეემატა 100 ათასზე მეტი სამუზეუმო ექსპონატი და სამეცნიერო დამხმარე მასალა, რომლებიც უადგილობის გამო უსისტემოდ არის გამოკეტილი ფონდსაცავში.

მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალებს შორის დიდ ყურადღებას იმსახურებენ არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის,

ნუმიზმატიკის, ეპიგრაფიკის, ჰერალდიკის, პალეობოტანიკის ჭედური ხელოვნების უძველესი უნიკალური ხელნაწერები. ადრეული ბრინჯაოს ხანის დროს არსებული მიწათმოქმედების მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქართველთა უძველეს წინაპრებს ხორბლეულისა და მევენახეობის კულტურის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ამის

დასტურია მუზეუმში დაცული დანახშირებული სახით შემორჩენილი ქართული ერის უძველესი ეკონომიკის მაუწყებელი ხორბლეულის ნიმუშები და 5 ათასი წლის წინადროინდელი მესაქონლეობისა და გუთნური ხვნის არსებობისათვის გამწევი ძალის გამოყენების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა.

მუზეუმის ფონდშია დაცულია IX-X-XI საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები, ასევე ლიტერატურულ მემკვიდრეობის ნიმუშები და საარქივო დოკუმენტური მასალები. ასევე, მუზეუმში დაცულია ქართული სულიერი კულტურის, მუსიკის, მცირე ქანდაკების, ჰერალდიკის, პოლიქრომული კედლის მხატვრობის, მესაქონლეობის, ლითონწარმოების და სახალხო სანახაობის ამსახველი მასალა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს წინა აზიისა და ქართველ ტომთა უძველესი კულტურის მჭიდრო კავშირზე.

სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი

სამუზეუმო კომპლექსი ოიოსებ სტალინისა, რომელმაც ბავშვობა თავის მშობლიურ ქალაქ გორში გაატარა

სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი საქართველოს გულში მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქალაქ გორშია დავანებული.

ანტიკური აკროპოლისი – გორის ციხე და მოდუდუნე მტკვრისა და ლიახვის შესაყარი, კავკასიონის მთათა ციალი ლაჟვარდში მიმზიდველ კოლორიტს უქმნის მას.

სამუზეუმო კომპლექსი სტალინის მემორიალური სახლით, საგამოფენო დარბაზებით და სტალინის პირადი ვაგონით მუდამ გულთბილ მასპინძლად

ეგებება დამთვალიერებელს.

ციხის მახლობლად, ქართული აგურითა და ალიზით ნაგებ სახლში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა იოსებ სტალინმა (ჯუღაშვილმა) გაიხსნა სტალინის სახლ-მუზეუმი დამცავი პავილიონის სვეტებით არქიტექტორი ა. ნეპრინცევი) 1937 წლის 10 ნოემბერს.

თვით მუზეუმი მემორიალური სახლის ჩრდილოეთით აღმართულ ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს მე-20 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შედევრია (არქიტექტორი ა.ქურდიანი). როგორც მემორიალური სახლის, აგრეთვე მუზეუმის შენობის ფასადი შემკულია ქართული მრავალსახოვანი ჩუქურთმით.

სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმში ექსპონირებულია სტალინის ბავშვობისა და ყრმობის, მისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისის, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდისა და სერთოდ, სტალინის მოღვაწეობის ფოტოასლები, პროკლამაციები, გაზეთები, მემორიალური და ნივთიერი მასალა.

სტაციონარულ გამოფენასთან ერთად, დამთვალიერებელს შეუძლია გაეცნოს ფონდების ღია ჩვენების დარბაზს, სადაც წარმოდგენილია საჩუქრების მცირე ნაწილი, მიძღვნილი სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი სხვადასხვა ქვეყნებიდან და აგრეთვე მუზეუმისათვის.

1985 წლის 9 მაისიდან ექსპონირებს მუზეუმის პარკში სტალინის პირადი ვაგონი სისადავით გამორჩეული სამუშაო კაბინეტით, მისღებითა და სხვა.

სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი იოსებ სტალინის ფენომენისადმი. 1996 წელს მუზეუმთან დაფუძნდა სტალინის ფენომენის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო –კვლევითი ცენტრი.

გორის ციხე



Don Christophoro De Casteli.
Gori Castle. XVII c. 1642.

გორის ციხე გორის განუყრელი ნაწილია. იგი მდებარეობს გორის ცენტრში, აღმართულია კლდოვან ბორცვზე და ამაყად გადმოჰყურებს ქალაქს. გორის ციხის უძველესი ისტორიული წარსულის დამადასტურებელ მასალას იძლევიან არქეოლოგიური აღმოჩენები. განვითარებულ ფეოდალური პერიოდის



ნაშთებთან ერთად ციხის ქვედა ფენებში მიკვლეული იქნა ადრინდელი ფეოდალური და ანტიკური დროის მასალები, ანტიკური დროის ნაგებობათა კედლის ნაშთები.

1946 წლის 5 თებერვალს მეწყერის მოქმედების შედეგად, ციხის ჩრდილოეთ ფერდობზე გამოჩნდა ციტადელის ზღუდის ნაწილი, რომლის სიგანე სამ მეტრს აღემატება. ზღუდე ნაგებია ნახევრად გამომწვარი ალიზისაგან. გარედან მოპირკეთებულია ქვიშაქვის კვადრებით. ციტადელი თავისი კონსტრუქციით ანალოგიურია ბაგინეთის, უფლისციხის, ურბნისის, კასპის ნაგებობებისა. არქეოლოგიური აღმოჩენები საშუალებას გვაძლევენ ფეოდალური გორის ციხის ადგილზე ვივარაუდოთ ანტიკური დროის აკროპოლისის არსებობა.

გორის ციხე ნაგებია ქვითკირის დუღაბზე რიყისა და ნაკოდი ქვით. ციხე რამდენიმე საამშენებლო ფენისაგან შედგება. ფეოდალური ციხის გოდოლები და ზღუდე დაშენებულია ანტიკური აკროპოლის ნანგრევებზე. ციხის ციტადელის ბორცვის ქვედა ნაწილში სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან სამ სარტყლად შემოვლებული ჰქონია გალავნის სახით კედლები, რასაც ადასტურებენ შემორჩენილი ნაშთები.ციხის სამხრეთი მხარე ნაგებია სქელკედლიანი გალავნით, რომელშიც ჩაშენებულია სართულიანი გოდოლები. შემორჩენილია მთავარი შესასვლელი კამაროვანი კარიბჭით. ციხის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია კლდეში ამოკვეთილი ხორბლის შესანახი ხარო, რომელიც გადახურული ყოფილა. დასავლეთ კედლებს შუა ჩასასვლელია მდინარე ლიახვიდან წყლის ამოსატანად დამცავი ნაგებობით. წყალს აუზში ინახავდნენ, რომლის ზომებია: სიგანე – 12 ფუტი, სიგრძე – 12 ფუტი, სიმაღლე – 16 ფუტი. ციხის დასავლეთი ნაწილი ე.წ. ”ცხრაკარიანი”, უკეთ არის შემონახული.

შუა საუკუნეებში მტერთა უამრავი ურდოების შემოსევის შედეგად გამოწვეულმა ნგრევა-აოხრებამ ციხის მრავალგზის აშენება-გადაკეთება მოითხოვა.

ისტორიული ცნობებით, გორის ციხე ერთერთი უდიდესი ციხე-სიმაგრე იყო მთელ საქართველოში და მტრის შემოსევის დროს ის არა მარტო ქალაქის, არამედ მახლობელი სოფლების მოსახლეობის თავშესაფარსაც წარმოადგენდა. მტერზე მოპოვებულ გამარჯვებათა სინონიმად ხალხში ეხლაც შემორჩენილია გამოთქმა: "ეგ არის და გორის ციხე".

1920 წელს მიწისძვრამ საგრძნობლად დაანგრია გორის ციხე.

სარესტავრაციო სამუშაოები მრავალჯერ ჩატარდა:

XI საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ;

XVII საუკუნეში როსტომ მეფის მიერ;

1774 წელს მეფე ერეკლე მეორემ ქონგურები დააშენა გორის ციხეს;

1938-39, 1952-53, 1960-65 საბჭოთა სახემწიფომ.

ქალაქის შუაგულში ამაყად აღმართულ გორის ციხეს მტკვარგაღმიდან ქალაქის მოსახლეობის საყვარელი სალოცავი გორიჯვარი გადმოსცქერის და ასე აქმნება ანსამბლი მხატვრული სიტყვის ოსტატთაგან ათასგზის ხოტბაშესხმული ერთი მთლიანი და მომხიბვლელი სანახაობისა, გორი რომ ეწოდება მოკლედ. გარდა გორიჯვრისა, გორში მრავალი ეკლესია იყო:

1. გიორგი ძლევამოსილის ქართული ეკლესია (თარიღდება XII საუკუნით) ;

2. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია (მთავარანგელოზის) ეკლესია (თარიღდებოდა XVII საუკუნით);

3. ღვთისმშობლის ხარების ეკლესია (იხსენიება XVIII საუკუნეში);

4. ღვთისმშობლის (ოქონის) ეკლესია (გორში ითვლებოდა მთავარ ეკლესიად, აშენების თარიღი დაუდგენელია);

5. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია;

6. დედოფლის ეკლესია;

7. ამილახვრების ეკლესია;

8. ორი ეკლესია გორის ციხის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე;

9. სომხური ეკლესიები: ღვთისმშობლის; ღვთისმშობლის მიძინების; ქრისტეს აღდგომის; წმინდა სტეფანეს.

ამჟამად, გორში მოქმედებს ღვთისმშობლის ორი ეკლესია.

გ ო რ ი ჯ ვ ა რ ი

ქ. გორის სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, საკმაოდ მაღალ გორაზე აგებულია გორიჯვრის ეკლესია, სადაც ისტორიული წყაროების მიხედით დაკრძალულია წმინდა გიორგის თავი. ამავე ეკლესიაში ინახებოდა საკურთხევლის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც გორელ მემამულეს გიორგი ამილახვარს ეკლესიიდან სახლში გადაუტანია. მისგან ჯვარი შეუძენიათ 1920 წელს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმისათვის. ამჟამად, გორიჯვრის საკურთხევლის წინ დასადგმელი ჯვარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის განყოფილების მუდმივ ექსოზიციაშია წარმოდგენილი.

ჯვარი მოჭედილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც რელიეფური ჭედვით გამოსახულია წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების 15 სიუჟეტი. ჯვრის ქვედა ნაწილზე მოთავსებული 16 სტრიქონიანი წარწერა გვატყობინებს, რომ მეფე ალექსანდრეს ჯვარი შეუწირავს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისათვის, რათა მეფე განეკურნა მძიმე დაავადებისაგან. ისტორიული წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ წარწერაში მოხსენებული პირი - ალექსანდრე არის გაერთიანებული საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412-1442). ისიც ცნობილია, რომ მეფე ალექსანდრე მძიმედ ყოფილა დაავადებული და შემდეგ განკურნებულა. ამდენად, მოჭედილი ჯვრის შესრულების თარიღი 1439-1442 წლებით უნდა განისაზღვროს.

მეფე ალექსანდრე I საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პიროვნებად არის მიჩნეული. მან შესძლო აღედგინა პოლიტიკურად ერთიანი საქართველო, რისთვისაც ხალხმა "დიდი" უწოდა. გარდა ამისა, მან მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციის მხრივ. ამ მიზნით 1425 წელს შემოიღო გადასახადი – კომლზე 40 თეთრი.

ვერტიკალური მკლავის ქვედა ნაწილზეა მოთავსებული, გვაუწყებს, რომ იგი 1707 წელს შეუჭედიათ თავად გიორგი ამილახვრის შეკვეთით. ჯვარს გააჩნია კონუსური მოყვანილობის ვერცხლით შეჭედილი ქუდი, რომელიც XIII საუკუნეშია შესრულებული.

გორიჯვრის საკურთხევლის წინ აღსამართავ ჯვარზე არსებული სიუჟეტები გამოირჩევინ მაღალ პროფესიულ დონეზე გააზრებული კომპოზიციებით, მწყობრივ ფორმათა პლასტიკური შეგრძნებით, მხატვრულად გამომსახველი საერთო იერით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ქართული ჭედური ხელოვნება ერთგვარად დაქვეითების გზაზე იყო, გორიჯვრის XVსაუკუნის საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვარი გვევლინება ლითონზე პლასტიკის იმ ბრწყინვალე ნიმუშად, რომელმაც შემოინახა ძველი ხელოვნების ტრადიციები, რაც ძირითადად სიუჟეტების რთულ კომპოზიციურ აღნაგობასა და სკულპტურულ ფორმათა მოდელირებისს მაღალ დონეზე შესრულებით გამოიხატა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალაბანოვი ი. ბალაბანოვი ა. – ტურიზმის ეკონომიკა, მოსკოვი 1999წელი.
2. ბირჟაკოვი მ. – ტურიზმის თეორია, თბ. კულტ. და ხელოვნების უნივ. თბ.2004, 270გვ.
3. მეტრეველი მ. – ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, თბ. 2001 173გვ.
4. შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია
5. შუბლაძე ვ. – ტურიზმის დაჩქარებული განვითარება-სიღარიბის დაძლევის ფაქტორი. რედაქტორი ნოდარ ჭითანავა 2006 წ, 254გვ.
6. შუბლაძე ვ. – საქართველოს ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი. დისერტაცია, თბილისი 2004წ. 147 გვ.
7. შუბლაძე ვ. – საქართველო და ტურიზმი, თბილისი 2004, 176 გვ
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – წელიწდეული 2015,
9. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია – 2007 წელი, სტატისტიკური მონაცემები.
10. გორის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გორი 2016 წ.
11. **Developing Sustainable Tourism, Guide for Local Authorities, A Tourism and Environment Publication, WTO, 1998.**
12. **Guide for Local Authorities on Developing Sustainable Tourism WTO 1998.**

ინტერნეტ საიტები:

1. www.statistics.ge
2. www.wto.org.com
3. www.Touringori.ge